

ზელიგ ჩაპვეტაპც  
(ვასო ბიძინა)

პეპერი ხარი და  
„ნენვა – გლეჯის ბაზარი“

„აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,  
რომ აჩერიოს მარტო მინანი,  
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,  
რომელიც უშლის თესლისა ამოსვლას“.

ი. ჭავჭავაძე

„ვისაც არ სწამდეს, რომ შრომა ქვეყნად  
შემოქმედების ღვიძლი ტომია,  
იმას დაეცეს სუსკელა ერთად  
დედამიწაზე რაც ატომია“.

გ. ტაბიძე

## ნინასიტყვაობა

ჩემი პუბლიცისტური სტატიების კრებული, რომელსაც „ბე-ბერი ხარი და წენვა-გლეჯის ბაზარი“ დავარქვი, წარმოადგენს გაგრძელებას მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩემს მიერ გამოქვეყნებული წიგნისა: „ხმა ამოიღე, თუ ხარ ცოცხალი“. ამ წიგნებში შეტანილი თითოეული სტატია მაჩვენებელია იმ დიდი წინააღმდეგობებისა, რომლებიც ქართველი კაცის წინაშე აღიმართა „პერესტროიკის“ დაწყების დღიდან და დღემდე ძნელადგადასალახავ წინააღმდეგობებად რჩებათ.

რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიაში არც ერთი ერი ისე არ დაზარალებულა „პერესტროიკისაგან“ მიღებული „თავისუფლებით“, როგორც – საქართველო. ეს დაზარალება მოითხოვს შესწავლას, რათა აღმოფხვრილ იქნას მისი გამომწვევი მიზეზები, რომლებიც დღემდე არ კარგავენ ძალას და ქართველი კაცის საუბედუროდ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ აქტიურობას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, საზოგადოებრივი შინააშლილობა, წარსულის მავნე გადმონაშთები და ქართული დემოკრატიის ლიბერალური კანონები ხელს უწყობენ, „წენვა-გლეჯის“ ბაზრის გამტკიცებას და გაძლიერებას. ხალხის სულიერი ძალა, რომელიც ძირითადი საყრდენია ერის განვითარებისა, საუბედუროდ ორივე ფეხით კოჭლობას. ჩვენსავით, გზაჯვარედინზე ცხოვრობენ ჩვენი მეზობლები, მაგრამ ჩვენსავით არ უჭირთ.

ქართველი კაცი, მიუხედავად იმისა, რომ 200-ზე მეტი პარტია და პოლიტიკური საზოგადოება პატრონობს, მაინც უპატრონოდ თვლის თავს და ცხოვრებას სკეპტიკურად უყურებს, რადგან ხედავს, რომ ერის: ზნეობრივი, ინტელექტუალური და ეკონომიკური ცხოვრება უკან მიგორავს და უფსკრულს უახლოვდება.

სკეპტიციზმში ჩავარდნილ კაცს წისტალგია ჰეგვრის ილუზორულ სიამოვნებას. იხსენებს უფასო სხავლას, მკურნალობას, მედიკამენტებზე, ტრანსპორტზე და სურსათზე ხელმისაწვდომ ფასებს.

ხალხი თავის უდღეულ ინტელიგენციასთან ერთად ოცნებობს ახალ პოლიტიკურ პარტიაზე, რომელმაც ერთ უნდა გადაარჩინოს. ამ პარტიის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს, მიიყვნოს ხალხი განვითარების იმ დონემდე, რომ შესძლოს ერთმანეთისაგან გაარჩიოს სიკეთე და ბოროტება, ჭეშმარიტება და სიცრუე, ილუზია და საბო-

ლოო ანგარიშში ღვთაებრივი და სატანური მოქმედებები. არა ობიექტურად მოაზროვნე კაცი იტყვის, ამას რა დიდი გარჩევა უნდა. ეს ისედაც იცის ხალხმა. „რაც ბრიყვისთვის ცერცვია, ის ბრძენისთვის ცეცხლია“, ამ საკითხებს რომ ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან, მიტომ არის ხალხი ამ დღეში. თაღლითი კაცისთვის და განსაკუთრებით ბრიყვისთვის სიკეთეა ის, რაც პირადად მას არგია, ბოროტებაა ის, რაც მას ვნებს. მათი გარჩევის დროს, თუ გვინდა, რომ ჭეშმარიტების ჩარჩოდან არ ამოვვარდეთ, მხედველობაში უნდა ვიყოლიოთ, პატიოსანი შრომელი კაცი, გავითვალისწინოთ მისი საქმიანობა და მიდრეკილება, რაც ჭეშმარიტებასთან მიგვიყვანს. აქ აქცენტირება უნდა გავაკეთოთ სიტყვა პატიოსწებასთან. მარტო შრომა არ კმარა. კარგი კაცობის ტიტულის მისალებად, რადგან მრომით ბევრი შრომობს, ოღონდ სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა საშუალებებით. ზოგჯერ კაცი შრომობს, გონია რომ ღვთაებრივ საქმეს აკეთებს (პატიოსანი შრომა ღვთაებრივი საქმეა), სინამდვილეში კი სატანას ემსახურება. როცა ბოძზე მიკრულ ჯორდან ბრუნოს შესახებ დედაბერს უთხრეს: „ბებია, ამ კაცს უთქვამს, დედამინა ბრუნავსო“, გაკვირვებულმა თქვა: „უი, რა უთქვამს ამ წანების წარმომადგენლისო, წავიდა, ფიჩხი მოიტანა, მეცნიერს ფეხებთან დაუყარა“ და კმაყოფილი წავიდა სახლში, დარწმუნებული რომ საღვთო საქმე გააკეთა. სინამდვილეში კი სატანას გაუწია სამსახური. ასეთი გულუბრყვილო ადამიანები ყველგან ბევრია და მათ შორის საქართველოშიც ბევრს ნახავ.

რაც შეეხება სიცრუეს, რომლის წინააღმდეგ ჯერ ბიბლიამ აიმაღლა ხმა და მოუწოდა ხალხს, „არ იცრუო“, ხოლო შოთა რუსთაველი 800 წელია ყურში ჩაგვყვირის რომ „კაცი ცრუ და მოღალატე, ხამს ლახვრითა დასაჭრელადო“. მაინც ყველგან და მათ შორის საქართველოშიც დიდ პატივშია მისი მიმდევრები და დამცველები. ისინი იმოდენა პატივში ჰყავთ, რომ დეპუტატებად და პრეზიდენტებადაც კი ირჩევენ. კონსკურსში ის კანდიდატი იმარჯვებს, რომელიც ხალხს პარაშუტივით გაბერავს ტყუილებით. ფაშიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ადოლფ ჰიტლერი წერდა: „ფართო მასები, თავიანთი პრიმიტიული შეგნებით დიდი სიცრუეს მსხვერპლი უფრო ხდებიან, ვიდრე წვრილმანისა, რადგან წვრილმან სიცრუეს თვითონაც მიმართავენ. დიდი სიცრუესათვის კი მათ ფანტაზია არ ჰყოფნით“. ქართველი კაცი რაინდული ბუნებისაა, რაც მის გადარჩენაში პოეტურობასთან

ერთად წამყვან როლს ასრულებდა. აქ საჭიროა გავიხსენოთ გალაკტიონის ლექსი: რომელშიც იგი იხსენებს იმ დროს, როცა: „პოეტი იყო არა მარტო პოეტი, პოეტი იყო ბედუინი და მეომარი, პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი, იყო გრიგალი, იყო შერყევა. იყო მსოფლიოს ძალა ურღვევი, მისთვის არ იყო რამ შეფერხება. იგი უყვარდათ როგორც ნუეგში“.

თუ ძველი საქართველო პოეზიამ გადაარჩინა, ახალსაც გადაარჩინს, თუ ქართველი კაცი პოეზიას ხელახლა პოეტების საქმედ აქცევს.

პუშკინი წერდა: „Гения и злодейство несовместимы“.

როცა სატანამ პოეზია გიუ-პოეტების საქმედ აქცია, მაშინ დაიწყო საქართველოს ნგრევის აქცია. ძველ კაცებს ახსოვთ: 90-იანი წლების დასაწყისში გორბაჩოვმა დარეკა თბილისში: „შემოდით ესენგეში და გავაჩერებ ოსებსო“. ესენგეში შესვლა დიდი ხეირის მომტანი არ იყო, მაგრამ იგი აუცილებლობას წარმოადგენდა დროის იმ მონაკვეთში და შევარდნაძის ხელში შევიდა კიდევაც (თუმცა მალე გამოვიდა). გავიხსენოთ რით უპასუხეს ხალხის რჩეულებმა გორბაჩოვს. ლენინის მოედანზე მოიწვიეს ხალხმრავალი მიტინგი და დაიწყეს მუშტების ქნევა ჩრდილოეთისკენ. ეს მუშტების ქნევა რისი საბაბი გახდა ყველა ქართველ-მა კარგად იცის. 2000-იან წლებში, როცა „ხალხის რჩეულებმა“ რუსთაველის პროსპექტზე თავყბადამტკრეული ბიჭები დაპყარეს „გიუ-პოეტები“ გახარებული მღეროდნენ: „დარია, თუ ავდარია, მიშა მაგარია-ო“. აი, სანამდე დაეშვა ქართული პოეზია, რომელიც „შიშის ზარს სცემდა“ შემოსულ მტერს და ერის მოლალატესაც.

ერთი გერმანელი პროფესორი ამტკიცებს: მსოფლიო რომანტიკული პოეზიის მწვერვალი ბაირონი კი არა ბარათაშვილიაო. მისი პოეზია ნამდვილად არის უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი რაინდის სულიერი თვისება. გავიხსენოთ მისი შეხედულება ერეკლე მეფის გადაწყვეტილებაზე: მეფე ასე მიმართავს რუსეთთან საქართველოს შეერთების შეურიგებელ მოწინააღმდეგეს სოლომონ ლიონიძეს:

„ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა, მე ეგ ყოველი არ ვიცი განა? მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის რა მოვიგონ უკეთეს ამის?“

პარადოქსული ფაქტია ის ამბავი, რომ არსებულ სინამდვილესთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებული „მერანის“

ავტორი ერეკლეს გადაწყვეტილებაზე დუმს. „პერესტროიკისგან“ გამოჩეკილი გიუ-პოეტები ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ „ძირს რუსეთის დამპალი იმპერიაო“ და მანამდე იქნიეს მუშტები, სანამ რუსებს თბილისის შემოგარენში 1500 ტანკი არ შემოაყვანინეს, და თუ სარკოზის შუამავლობა არა, ვინ იცის რა მოხდებოდა.

პედაგოგები ამბობენ: ყოველი უნარი ვარჯიშში ვითარდებაო. მიკვირდა რომ იმოდენა მოაზროვნე, როგორიც პლატონი იყო, თავის „იდეალურ სახელმწიფოში“ პოეტებს ცხოვრების უფლებას არ აძლევდა. ამ სტატიის წერაში მიხვდა ჩემი ბებერი ტვინი, რომ პლატონი გიუ-პოეტებისგან იცავდა თავის იდეალურ სახელმწიფოს და არა ჭეშმარიტი პოეტებისგან.

აკაკი წერეთელი ამბობს: „ყოველ კაცს აქვს უფლება, ილაპარაკოს სისულელე, თუ ეს სისულელე ხალხს არ ვნებს და თუ ვნებს, უნდა დაეშალოს“. კარგი იქნება თუ ქართული დემოკრატია ამ მოთხოვნას გაითავისებს და გიუ-პოეტებისათვის ცენზურას დააწესებს, თორემ ისინი წარყვნიან ქვეყანას. გადახედეთ ჩვენს უურნალ-გაზეთებს, რომლებიც სავსეა პორნოგრაფიული სურათებით და ათასნაირი ვულგარული გამოთქმებით.

საზოგადოებამ და პირველ რიგში მათმა, ვისაც პრეტენზია აქვს საზოგადოების მართვისა, ყურადღება უნდა მიაქციონ ანგარიშიანობას და დაგეგმილი საკითხის შესასრულებლად გამოსაყოფა საშუალებებს. შერეკილი შშენებლები ქვეყანას კი ვერ ააშენებენ, დაანგრევენ. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ შერეკილმა ჯეელებმა ჩინეთიდან ორ მლნ-ად ღირებული ნაძვის ხე ჩამოიტანეს საახალწლოდ. საქართველოში იმდენი ნაძვის ხეა, რომ მის შესაძენად ჩინეთში შერეკილი კაცის მეტი არავინ წავა. მიშას დიდად არ მოსწონს თბილისი. ადგა და პარლამენტის შენობა ქუთაისში ააგო, რომლის აგება აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგან ძველი მთავრობის მიერ აშენებული სასახლე თავისუფლად აკმაყოფილებს პარლამენტის მოთხოვნებს. ქუთაისის სიკეთე თუ გინდა, პარლამენტის შენობაზე მეტი საჭირო იმდენი რამ არის გასაკეთებელი, რომ ბუღალტერი ვერ ჩამოთვლის. 400 მლნ-ით რამდენი სიკეთის გაკეთება შეიძლებოდა ამ დამშეული, 180 მანეთზე მიჩერებული ხალხისთვის. მისმა წინა პრეზიდენტმა, ხელი მოაწერა მეორე 400 მლნ-ად ღირებული ტაძრის მშენებლობას. ასეთ ადამიანებს საზოგადოების მართვის კი არა, თავისუფალი მოქალაქის ტიტულსაც

ძნელად მისცემდა სამართლებრივი სახელმწიფო. რა გეპარლამენტება და რა გეტაძრება იმ ხალხის პატრონს, რომელთა ქვეყანაში 180 ლარით აცხოვრებენ ორპარასკევდარჩენილ ბეპრებს, რომლებსაც 180 მანეთი წამალშიდაც არ ჰყოფნით და სამეფო კარი თუ მიღლიარდებიან ვალშია გახვეული, მათ წყალობაზე მიჩრებული ორპარასკევდარჩენილი ბეპრენ წათესავების ვალში ეხვევა. ასე რომ შერეკილი ჯეელები ვერც ხალხს ემსახურებიან და ვერც ღმერთს.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ კაცის სამსახური სხვაა და ღმერთისა სხვა, სასტიკად ცდება. ვინც პატიოსან კაცს პატიოსნად ემსახურება, იგი ღმერთსაც სამსახურს უწევს და – პირიქით, ღმერთის სამსახური კაცის სამსახურიცაა.

ქრისტიანობამ თვითონ აკრძალა ღმერთისადმი კაცის შეწირვა, რაც შეიძლება ითქვას, უდიდესი რევოლუცია იყო ადამიანის შეგნებაში. მაგრამ თუ 400 მლნ-ები ტაძრებს, პარლამენტებს და შადრევნებს მოახმარე და ხალხს ლუკმა-პური გაუძვირე, ამისთვის კაციც მოგემდურება და ღმერთიც. რადგან ეს იქნება მობრუნება კერპთაყვანისმცემლობისაკენ. ერმაც და ბერმაც უნდა იცოდეს, რომ ღმერთს ეს ტაძრები და სასახლეები ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად სჭირდება და არა დასამშევად.

ახლა, როცა საქართველო, წენვა-გლეჯის ბაზრის „ცენტრია, ყოველი მხრიდან ჯიჯგნიან. მათ ამის საშუალებას აძლევთ ქართველი კაცის ფანტასმაგორია. ქართველი კაცი უნდა დაუახლოვდეს რეალურ ცხოვრებას და გულში ჩაიბეჭდოს ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „თვით უპატრონეთ თავის თავს, ნუ იმედოვნებთ სხვაზედა“. შეგახსენებთ დავით გურამიშვილის სიტყვებს: „აგებულებით მყოფელი აროდეს გაღარიბდება“, როგორი „აგებულებით“ ცხოვრობს ქართველი კაცი, ამას ხომ ყველა ხედავს. აიღებს ვალს და ჩინურ ნაძვისხეს იყიდის. საამქროების და სახელოსნოების მაგივრად შადრევნებს დააგეგმარებს მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაგივრად. „კროტებად“ წოდებული მოტობლოკებით აავსებს მაღაზიებს, იმას კი ვეღარ ანგარიშობს, რომ ჩვენი გლეხის გაჭირვებას „კროტები“ და „ქუტები“ კი არა, აიეტის ცეცხლმფრქვეველი ხარებიც ვერაფერს მოუხერხებენ. ასეთმა უყაირათობამ, უანგარიშობამ და უგეგმურობამ ერთიანად გაანადგურა რესპუბლიკის მრეწველობა და მთელი ისტორიული ეპოქით ჩამოარჩინა სოფლის მეურნეობა და ქვეყანა 17 მილიარდიან ვალში გახვია.

გლეხს ფერმერი დაარქვეს, აქაო და ამერიკაში ფერმერები მდიდრები არიანო და ესეც გამდიდრდებათ. რაიკომებს გამგეობები დაარქვეს, აქაო და რაიკომი უსამართლო იყო, გამგეობა სამართლის განსახიერებაათ. საბჭოებს – მუნიციპალიტეტი, სპეკულაციას – ბიზნესი. მაგრამ სახელების გამოცვლამ უწყებებს ვერაფერი შესძინა და რაც იყო იმავე შინაარსით დარჩა.

გავიხსენოთ სერვანტესის პერსონაჟის, სანჩო პანსას სიტყვები: „როგორც არ უნდა შემმოსოთ, მე მაინც სანჩო პანსა ვიქწებიო“. ასე რომ არ გამოუცვლია ფერმერის ტიტულს გაძვალტყავებული გლეხის ცხოვრების შინაარსი, მისი ბედი უცვლელი იყო კაცობრიობის ცხოვრების 5500 წლის ისტორიის მანძილზე და უცვლელი რჩება. ნოე ჩხიკვაძის 100 წლის წინათ დაწერილი ლექსი, „ბოგანო“, ისეთი სიზუსტით ასახავს თანამედრობე ქართველი გლეხის ცხოვრებას, გეგონება, გუშინ დაუწერია:

„ოხვრით, ქვითინით გამოკეტა ტიალი ქოხი,  
ტიალი ქოხი, ტანჯვის ბუდედ გადაქცეული,  
ღმერთი ახსენა, ხელთ აიღო შინდისა ჯოხი,  
და დუხჭირ ყოფნის გზას გაუდგა ბედით ეული.  
ბევრი ენვალა ბეჩავ გლეხმა, ბევრი ეწამა,  
არ გასტეხოდა ტოლთა შორის ნამუსი, პირი.  
მაგრამ არ იქნა, არ დაინდო იგი ზეცამა.  
არ მოაშორა იმას ტანჯვა და გასაჭირი.  
მოხსნა, მოთესა, ნიალვარმა ლექსად უქცია,  
გამოაცალა მთელი წლისა სარჩო, საღსარი,  
მღვდელი, მოხელე, მეზობელი მას მიუსია  
და ნამოსახლსა დაამგვანა მისი სახლ-კარი.  
ღმერთი ახსენა, ხელთ აიღო შინდის ჯოხი.  
დუხჭირ ცხოვრების გზას გაუდგა ბედით ეული“.

ბედით ეული კაცი, გაქცევით ცხოვრებას ვერ აუმჯობესებს. მისი ოცნება მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ილუზორულია, ხოლო რეალურად მან მხოლოდ ადგილის გადანაცვლება გააკეთა იმ „წენვა-გლეჯის ბაზარში“, რომელშიც ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„რყვნა წაწყმედა და ლალატია, სადაც ძმა ხარბობს სისხლსა ძმისასა, სადა შური, ზაკვა, ძულება და ჰედის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა“.

ეს „წენვა-გლეჯის ბაზარი“ სატანას აქტიურობის და ადამიანისადმი ღვთისგან ნაწყალობები არჩევანის წყალობით საზოგადოების მუდამ განახლებად ცხოვრებაში პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებებს სატანის წინაშე და იარსებებს მანამ, სანამ კაცთა ცხოვრება ვერ შექმნის ისეთ სახელმწიფოს, რომლის ძირითადი საზრუნავი იქნება პატიოსანი ნების მქონე ადამიანი და არა პლუტოკრატები, ობლოკრატები, სპეკულანტები, თაღლითები, გაიძვერები და ათასგვარი ძალლები და მამაძალლები.

სამართლებრივი სახელმწიფო, რომელზედაც პატიოსანი ადამიანები უხსოვარი დროიდან ოცნებობენ და შეძლებისდაგვარად იბრძვიან კიდეც მის დასამყარებლად, დაახლოვებს საქონლის საბაზრო ღირებულებას თვითლირებულებასთან. ამით მოსწყვეტს „წენვა-გლეჯის ბაზარს“ თავისი მასაზრდოებელი წყაროდან. მასაზრდოებელ წყაროს მოწყვეტილი „წენვა-გლეჯის ბაზარი“ მომენტალურად შეწყვეტს არსებობას და ისტორიას ჩაბარდება.

ეს იქნება დემოკრატიის ნამდვილი ზემინი და გამარჯვება.

ზელიმ ჩაკვეტაძე

22.XI.2018 წ.

P.S.

შორეულ მომავალში, როცა ჩვენს ცხოვრებას პროფესორები ახალგაზრდებს გააცნობენ, ისინი ასეთ დასკვნას გამოიტანენ: დიდი გამძლეობის ყოფილან ჩვენი წინაპრები, თორემ „წენვა-გლეჯის ბაზარს“ ვერ გადაურჩებოდნენო.

## მშიერი ერი და მაძლარი ჰერი

„რომელი მაღლად იტყოდეს სიცრუესა, დამდაბლდეს“  
ბიბლია

გორბაჩოვისეული „პერესტროიკით“ აცუნდრუკებულმა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა საშინელ დღეში ჩააგდეს თავისი ერი.

რუსეთის იმპერიის დაშლა ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. მის დაშლაში მონაწილეობა მიიღო ქართველმა ხალხმაც, მაგრამ არა ისეთი, რომ კვეხნით ავიკლოთ ქვეყანა, ჩვენ დავშალეთ რუსეთის თვალუწვდენელი იმპერიაო. რუსეთის იმპე-

რია დაშალა ცხოვრების განვითარების კანონზომიერებამ და არა დიდებაცობის მანიით შეცყრბილ ცალკეულ ინდივიდთა მუშტების ქნევამ მომაკვდავი იმპერიის გასაღიზიანებლად, შე აგრესორო, მოგიღებთ ბოლოსო.

კიდევ კარგი, რომ მსოფლიო დემოკრატიულმა აზრმა შესძლო, რომ მომაკვდავ ვეშაპს, არ მისუა საშუალება კუდი მოექნია, თორემ რა დღეში ჩავარდებოდა მრავალჭირნახული საქართველო, ეს საკითხი კომენტირებას არ საჭიროებს. ვფიქრობ, რომ იმპერიის ნგრევას ყველაზე მოხერხებულად კომუნისტური პარტია შეხვდა, მათ იმის შიშით, რომ ცალკეული პარტიების ბრძოლა სახალხო აჯანყებაში არ გადაზრდილიყო, დაინტეს ყოველგვარ დათმობებზე წასვლა. ლენინის ძეგლი ანტიკომუნისტებმა ისე იოლად მოაძვრეს, თითქოს იგი ქალაქში უნებართვოდ დადგმული კომერციული ჯიხური ყოფილიყო. საბჭოურ ძალისმიერ უწყებებს მეამბოხეთა გაღიზიანებაც კი აუკრძალეს. რა მოიგო ამით კომპარტიამ?!

XX საუკუნის 90-იან წლების კომუნისტები არ ჰყავდნენ არც რევოლუციურ მიამიტებს და არც პოლიტიკურ საჭურისებს. ისინი თანამედროვე პოლიტიკური ცოდნით კარგად იყვნენ შეიარაღებული და შეძლებს თავისი პირადული ინტერესების დაცვა არტილერიის გამოყენების გარეშე. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ მუშტოსანი ჯეელები ქვეყნის მართვას ვერ შეძლებდნენ და მინისტრების რბილ სავარძლებში ჯდომა მათ მოუწევდათ, ხოლო სახალხო აჯანყების შემთხვევაში ყველაფერს დაკარგავდნენ. ჩაუშესკუს ტრაგედია დიდი გაკვეთილი იყო „წითელი ანგალოზებისათვის“.

მართალია, ცალკეული დისიდენტები მოხვდნენ მაღალ თანამდებობებზე, მაგრამ ეს მოჩვენებითობა იყო. „დემოკრატიას მიტმასწებული კომუნისტების წყალობით ისინი მაღე გაათავისუფლეს და მათ სავარძლებში ქურქგამოცვლილი მედროვეები ჩაბრძანდნენ. რადგან საზოგადოების დიდ ნაწილს სწამდა, რომ ისინი მდგომარეობას გამოასწორებდნენ. გავიხსენოთ, რამოდენა იმედით მოიწვიეს საქართველოში ედუარდ შევარდნაძე. ამ ქართველმა ტალეირანმა ყველაფერი თავისი პირადი და ახლობლების ინტერესების დასაცავად გააკეთა. მაგრამ უბრალო ხალხის სასიკეთოთ – ვერაფერი. რაკი ტალეირანი ვახსენეთ, გავიხსენოთ ფრანგული ოუმორი, „ტალეირანს რაღაცაში დასჭირდა, თორემ ისე არ მოკვდებოდაო“.

თუ შევარდნაძე ქართველიო ტალეირანია, იგი პრეზიდენტობი-

დან არ გადადგებოდა ისე, თუ ეს გადადგომა არაფერში არგებდა.

ცხოვრება გამუდმებული ბრძოლაა მამასა და შვილს შორის. მაგრამ ეს ბრძოლა მცირე გამონაკლისის გარდა, მტრობაში არ გადადის. იგი იფარგლება ხან ძველის ბატონობის დროებით შენარჩუნებით, ხან კი ახლის დამკვიდრებით. არც ერთი შვილი არ ეუბნება მამას, შენ უფლება არა გაქვს არსებობდეო. მაგრამ, მამა შენი შეხედულებები მოძველდა, ახლა სხვა ცხოვრება მოდის და მე უნდა დამიჯერო, ასეთ მიმართვას ხშირად მოისმენ ყველა სახლში.

შევარდნაძე ხალხმა შეისწავლა. მას იგი ახსოვს ჯერ კიდევ „კომისომოლა“ ბიჭი, შემდეგ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბოლოს ქართული ეროვნული სახელმწიფოს მშენებელი. მაგრამ ვერც „კომისომოლია“ გადაარჩინა, ვერც რუსეთის იმპერია და ვერც ეროვნული სახელმწიფო ააშენა.

ხალხში მომწიფდა საკითხი მისი გადადგომის შესახებ, მაგრამ სანამ ხალხი აუჯანყდებოდა გაყინული ხელფასებისა და პენსიების შემოქმედს, მან დაასწრო და სმკ-ს მიერ დაჩეკილ ბიჭებს გადასცა ძალაუფლება.

გაგრძელდა ყველაფერი ისე, როგორც ეს წინა თაობის მიერ იყო გაანგარიშებული.

რაც შეეხება ეროვნული სიმდიდრის განაწილებას, რომელ-საც პრივატიზაცია დაარქვეს, ყველაზე მომგებიანი შეიქნა ერის ელიტარული ნაწილისათვის, მცირე რამ სახელმწიფოსთვის და ძარცვა მასებისთვის.

სპეცულაცია, რომელშიც მე ავკაციას ვგულისხმობდი, განვითარების ზენიტში ავიდა საგაზითო სტატიაში „ვერ შევარგებთ „ხალხს“ პრივატიზაციას“ („სამტრედიის მაცნე“ 30-X-1992 წ.) ვწერდი: „როგორც კი გაიგეს, გლეხს მინა მისცესო, დაადვეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, საწვავ-საცხებ მასალებს და საქველმოქმედო შემოტანილ საქონელს იმოდენა ფასი, რომ გაძვალტყავებულ გლეხს ხერხემალი გადაუმტვრიეს „ახლა მას ნამდვილად შეუძლია თავი ინუგებოს ლორთქითანიძის სიმღერით „დრამხტი-ტარო, დრიმხტი-ტარო, მიწის ზემოთ მაინც ვარო“. .

უურნალ „თბილისურ ამბებში“, რომელშიც ილუსტრირებულ ფერებში ნახავთ მერის ფანჯრიდან დანახულ თბილის, იტყვი, თბილისი და მასთან ერთად მთელი საქართველო ვარდოსნებს სამოთხედ გადაუქცევიათო. მაგრამ გახედე ბებერი გლეხის ქოხიდან ან დასანგრევად განწირული „ხრუშჩივეკებიდან“ თა-

ნამედროვე საქართველოს და დაინახავ 38 ლარიან პენსიას, 50 ლარად ღირებულ ტომარა პურის ფქვილს, ათასობით უმუშევარს და მანანალას, ლუქმა-პურისთვის საზღვარგარეთ გადახვენილ ახალგაზრდობას, ყუთებში ჩამჯდარ საბერძნეთში თუ თურქეთში მიმავალ ქალებს და მოისმენენ ახლახან შეთხულ ხალხურ სი-მღერას: „პარტია და კომკავშირი სანატრელი გაგვიხდა“.

ამ სიმღერის შთამაგონებელი არის შევარდნაძისეული დე-მოკრატია, რომელმაც განაცხადა: ჯერ მოსამართლებს და მინისტრებს მივხედოთ, შემდეგ ხალხსო. მისი აზრით, კარგად დანაყრებული ბერი კარგად ილოცებს და მრევლს გადაარჩენს. შევარდნაძის დემოკრატებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მხო-ლოდ მრევლის ცხოვრებით მცხოვრებ ბერს შეუძლია ხალხის გადაარჩენა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიზანს ვერ მიაღწევს და ბერი და ერი ერთად წანყდება.

სწორედ შევარდნაძისეული დემოკრატიის წყალობით განაწილ-და სახელმწიფო საკუთრება, გაჩნდა პირტიტველა მილიონერი ბიჭების მთელი პლეადა და პაუპერების არმია.

რა დაწერეს, რა ააშენეს ამ ბიჭებმა ასეთი, რომ დროის უმ-ცირქს მონაკვეთში მილიონერები გახდნენ? მოცეკვავე შადრევნე-ბი?! ლამაზი სკვერები?! თბილისური ამხანაგობები?! ოკუპაციის მუზეუმი?! ვერც ერთი მათგანისათვის მშერი ქვეყანა მათ მი-ლიონებს ვერ მისცემდა. მათ მილიონებს შევარდნაძისეულმა დემოკრატიამ ჩაუყარა საფუძველი და გაამაგრა კიდევაც. ახლა მათ ხელშია მილიონები და მძიმე არტილერიაც.

საშუალოდ მოაზროვნე კაცისათვის გაურკვეველია საქართვე-ლოს მილიტარიზაციის საკითხი. რისთვისაა საჭირო ეს უზარ-მაზარი სამხედრო ხარჯები, ვისგან დაიცავს თავს ქართული მთავრობა თავისი არტილერიით? თურქეთისგან?! რუსეთისგან?! ირანისგან?! თუ თავისი ხალხისგან?! – ვერც ერთისგან.

საღად მოაზროვნე კაცისათვის გასაგებია, რომ ქართველი კაცის ბედი დამოკიდებულია მსოფლიოში მიმდინარე დემოკრა-ტიულ პროცესებზე და არა არტილერიაზე. თუ ერი მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს ვერ აჰყვება, მას ვერავი-თარი მილიტარიზაცია ვერ გადაარჩენს.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
5.X.2006 წ.

## დემოკრატიის შუალა და მისი არეალის განვითარების პათეოლოგია

არ დაიზარო არსად არასდროს  
სიცრუისა და ტირანის გმობა  
ჰერის

მოდის ქართველი კაცი უხსოვარი დროიდან და მოისწრაფვის სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისაკენ.

„პერსტროიკის“ პერიოდში, როცა საზოგადოებამ ხმა აიმაღლა კომუნისტური უსამართლობის წინააღმდეგ, იმ დროინდელი დისიდენტები დიდ იმედს იძლეოდნენ, რომ რუსული იმპერიის ნანგრევებზე დემოკრატიულ სახელმწიფოს შექმნიდნენ, მაგრამ რაც შექმნეს ყველამ იცის...

მათი პოლიტიკური მექანიზმები „მსოფლიო დონის პოლიტიკოსად“ წინადებული ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მისი წინამორბედებივით დასავლეთის იდეოლოგად მოევლინა საქართველოს და ინყებს მისებურ ზრუნვას სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე.

მისი იდეების გამტარებელმა სააკაშვილმა დააგვირგვინა მისი წინაპრის „ეროვნულ-დემოკრატიული: იდეები და ქართველ ხალხს „დემოკრატიის შუალაში“ ამოაყოფინა თავი.

ჩავიხედოთ ნაციონალების სათაყვანებელ შუალაში, რომელ-საც მიმმადიდებლები ისე სცემენ თაყვანს, როგორც მუსულმანები ყურანს და ქრისტიანები სახარებას.

შევეხოთ მატერიალური დოვლათის წარმოების და წარმოებული დოვლათის განაწილების საქმეს.

ცხოვრების მიმდინარეობამ გვიჩვენა, რომ ქართულ ბიზნესს განვითარება უქირს. მისი გაჭირვების ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი გაჩენისთანავე დაავალდებულეს ხალხი და მთავრობა გამოიკვება, რაც მას თავისი გამოუცდელობის გამო არ შეეძლო. მას, როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად სჭირდებოდა მოვლა, პატრიობა, გაზრდა და დავაუკაცება. ასეთი პატრიობა მისთვის არავის გაუწევია. მხოლოდ შეღავათი მიიღო იმით, რომ უფლება მისცეს შემოტანილი თუ ადგილზე წარმოებული პროდუქცია გაყიდოს ისე, როგორც მას აწყობს. ბიზნესის ეს შეღავათი მძიმე ტვირთად დააწვა საზოგადოებას. ძალაში შევიდა კანონი: საქონლის ფასს განაპირობებს მასზე მოთხოვნილებაო. ნაცვლად

იმისა, რომ საქონლის ფასი უნდა განისაზღვრებოდეს მასზე და-ხარჯული შრომის ღირებულებით.

ალბათ ამ მდგომარეობამ ათქმევინა მიხეილ სააკაშვილს: „სა-ქართველოში საუცხოო ბიზნეს გარემოაო“. დიახ, დედაბერს რომ რამდენიმე კოლოფო წამალში მთელი თვის პენსიას დაატოვებინებენ, დიდ საქვეყნო საქმე გააკეთებ, ბიზნესს გააძლიდრებ, სახელ-მწიფოს ბიუჯეტში ფულს შეიტანს და დედაბერსაც განკურნავ.

„საქართველოში მედიკამენტების ფასი 3-ჯერ 4-ჯერ აღემა-ტება იმავე მედიკამენტების ფასს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში“ (ჟურნალი „გზა“, №49, 3-9-12 2015წ. ხაუნა ჩიგოგიძე). საქმეში ჩაუხედავი კაცი იტყვის: სახელმწიფოს უჭირს და რა უნდა ქნასო. სახელმწიფოს რომ უჭირს, ამაზე ვერავის შევედავებით, მაგრა იმ დედაბერს ულხინს?! ვინ უნდა გასწიოს გენერლობა გაჭირვე-ბისგან ხალხის დასახსნელად მთავრობამ თუ...

საქართველოში სანარმოო ძალების წინსვლა არ იქნება, სანამ ეგ დემოკრატიის შუქურა იბატონებს.

ქვეყანაში გამეფებულია სპეკულაცია, რომელსაც საქმეში ჩაუხედავმა კაცებმა კომერცია უწოდეს. აი რას წერს სკოტი კო-მერციის შესახებ: „კომერცია აახლოებს ერებს, გაჭირვებას უმსუ-ბუქებს ხალხს და დიდად უწყობს ხელს დოვლათის დაგროვებას“. აი, როგორ ესმის ევროპელ კაცს კომერცია, ჩვენი ქართველი ევროპელები კი კომერციას სპეკულაციის სინონიმად იყენებენ.

ძნელად თუ ვინმე დაასახელებს ჩვენში ცხოვრების ისეთ დარგს, სადაც სპეკულაცია თავისი განვითარების ზენიტში არ იყოს. მთა-ვრობას უნდა შევახსენოთ ლევ ტოლსტიონის აზრი: „რომ ყოველგვარი შენაძენი, რომელიც არ შეესატყვისება მასზე დახარჯულ შრომას, უპატიოსნოა. უპატიოსნობის წინააღმდეგ მთელმა საზოგადოებამ და პირველ რიგში მთავრობამ უნდა იბრძოლოს, რადგან ერთი მსხვერ-პლია და მეორე სამართალდამცავი. საუბედუროდ ვერც ერთი იბრ-ძივის და ვერც მეორე. ამ უმოქმედობით ქვეყნას განადგურებისკენ ექაჩირდიან. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ისე პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, უპატიოსნო გზით აშენდება, შემცდარია.“

თუ გადავხედავთ განაწილების პრინციპს, იგი იმავე გზით მიდის, რომლითაც შევარდნაძის დროს მიდიოდა. „2015 წლის ბიუჯეტში ხელისუფლების შენახვის ხარჯი 43%-ია. დედამიწის ზურგზე ვერ იპოვით სახელმწიფოს, სადაც ერთი მუჭა ხელისუ-

ფლების შენახვა ამდენი ჯდება და მთელი ერი წელებზე ფეხს იდგამს” (ჟურნალი „გზა“ №49, 3-9-12.2015წ. თამთა ადეკვილი).

შევარდნაძემ თავის დროზე დაგვიმედა, რომ ყველაფერი ავტო-მატურად დალაგდებოდა. მაგრამ მაშინ არავის დაბადებია კითხვა – ვის სასარგებლოდ? ვხედავთ, რომ ლაგდება ყველაფერი, მაგრამ არა ხალხის, არამედ მარტოლდება პრეროგატივების სასარგებლოდ.

ჩვენს ხალხს დიდად არ ეხატებოდა გულზე მოსკოვის დიქტატი თბილისზე, მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ იგი დემოკრატიის შუქურის დიქტატზე ძნელი არ ყოფილა. თუმცა ბევრი სიკეთე არც იმას გაუკეთებია, მაგრამ ამან სულ წყალს გაატანა უბრალო ხალხის ბედი. თუ გადავხედავთ სტატისტიკას, აღმოჩნდება, რომ რუსეთში ჩვენს ფულზე გაანგარიშებით მინიმალური პენსია 438 ლარია. გამოდის რომ, რუსეთის ეკონომიკური სივრციდან გამოსვლით უბრალო პენსიონერი ყოველთვიურად ჰკარგავს 252 ლარს. ჰკითხეთ პურის ქერქზე მიჩერებულ ბერიკაცს, ულირს თუ არა 252 ლარად რუსოფონების ლოზუნგი: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“ და რუსების ლანძღვა-გინების 25 წლიანი სერიალი. თუ კარლ მარქსს დავესესხებით, რომ „ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია“, პასუხი უთქმელადაც მიგნებული იქნება.

მაშ ვის ულირს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები დიდ რამედ? ცხადია პრეროგატივებს.

ესპანური ანდაზა ამბობს: „თუ სახედარს ჰყავს სამი ბატონი, მგელი გახდება მისი პატრონი“. რუსოფონები აქეთ თურქებს ემეგობრებიან, იქეთ ევროპას ეკეკლუცებიან, გადაღმა ამერიკას ეთაყვანებიან. იმას ვერ ხვდებიან, რომ არც ერთი მათგანი საქართველოს ინტერესების დასაცავად რუსეთს არ დაუპირისპირდება. მათ მეხსიერება დალატობთ, თორმე აუცილებლად დაიმახსოვრებენ 80-იანი წლების ბოლოს მოსკოველი დიქტორის ნათქვამ სიტყვას: „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსებთან ხუმრობა არ შეიძლება“. ეს დარიგება რომ ნაციონალებს გულთან მიეტანათ, საქართველო აგვისტოს დღეებს ასცდებოდა. მიშმადიდებლებმა თავისი ლანძღვა-გინებით მიაღწიეს იმას, რომ რუსებს ქვეყანა ააწიოკებინეს. ამაზეა ნათქვამი „მუტრუკი თავის კუნტრუშით დედას მგლებს შეაჭმევსო“. ახალი მთავრობა აგრძელებს წინა კაცების აზრებს და საქმეებს. ბატონმა ივანიშვილმა ზენიტში აიყვანა შევარდნაძის სიბრძნე. გავიხსენოთ

მისი სტატია მინისტრების შესახებ: „თუ მინისტრს 100 ლარი ექნება ჯამაგირი, მას კორუპციისაგან ვერ დაიჭერ ვერაფრით“ (გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №24 17-23 2013წ.). ივანიშვილის შეხედულებით მინისტრს კოლოსალური ხელფასი უნდა მისცე, რომ არ იავკაცოს. ხოლო რაც შეეხება ხალხს, „ბუნჩულა საქონელს“, პურის ქერქითაც დააკმაყოფილებ. ხალხი პურის ქერქს ხრავდეს და მისი მინისტრი იღებებოდეს, ეს ვერაფერი სამართალია. მინისტრმა ხელი უნდა შეუწყოს წარმოების განვითარებას, შეაძლებინოს ხალხს დოვლათის შექმნა და კი ბატონო, 5000 ლარი მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პროკრუსტის სარეცელზე უნდა დააწვინონ.

საღად მოაზროვნე კაცისათვის გასაგებია, რომ ქართული მთავრობის მუშაობის ძირითადი მიზანი არის საზოგადოების ზედა ფენაზე ზრუნვა.

ბებრებმა იციან და ჯელებმა უნდა ისწავლონ კანტის აზრი: „პოლიტიკოსმა მუხლი უნდა მოიყაროს მხოლოდ სამართლის წინაშე“, თუ უნდა სამართლიანი სახელმწიფოს შექმნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი კაცი იყო, არის და იქნება გამსახურდია-შევარდნაძე-სააკაშვილის დემოკრატიის შუქურაში.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
1.II.2016 წ.

## ქართული დემოკრატია და მისი საგანანათლებლო საქმიანობა

„მთავარი ძალა რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში არის ცოდნა, განათლება“  
ი. გოგებაშვილი

ჰაინრიხ ჰაინრიხ გვასწავლის: „ყველა დღე შედეგია გუშინდელისა, თუ გვინდა შევიცნოთ, რა სურს ამას, უნდა გავიგოთ, რა სურდა მას“. სკოლა იყო და იქნება საზოგადოების ზრუნვის №1 საგანი. მის ზრუნვაზე არც მთავრობა ამბობს უარს. მაგრამ მოქმედების მიზანი სხვადასხვა აქვთ. საზოგადოება ცდილობს სკოლა იყოს მისი განვითარების და წინავლის გარანტი. მთავრობა კი მუდამ იმის ცდაშია, რომ სკოლა გამოიყენოს თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად.

70-იან წლებში ბერიკაცმა მითხრა: მასწავლებლობა ნიკოლოზის დროს დავიწყეო. კითხვაზე რას გიხდიდნენ ჯამაგირს, პასუხი ასეთი იყო – 27 მანეთს. რა შეიძლებოდა გეყიდა ამ ფულით? –

საშუალო ხარიო, იყო პასუხი.

70-იან წლებში „კომუნიზმის მშენებლობის გაშლილ პერიოდში ერთი თვის ხელფასით 8 მასწავლებელი ვერ იყიდიდა ხარს.

ეკონომიურად დაძაბუნებული მასწავლებელი, პოლიტიკურად დაძაბუნებულ საზოგადოებას იძლევა. შემოდის სკოლებში რაიკო-მის და ცე-ას მდივნების დიტქატურა. მათ დიქტატს ვერავინ გაექ-ცეოდა. ხრუშჩოვის ხელში დაიწყო მცდელობა სკოლა – კოლექტი-ვების შექმნის შესახებ. რომლის განხორციელება მის ავტორს არ დასცალდა. ობიექტური მიზეზების გამო, თორემ საზოგადოება მის აზრს აუცილებლად მიიღებდა, ვინ გაბედავდა პროტესტის გამო-თქმას ფოლადის კბილების კრაჭუნის შიშით. ხრუშჩოვის „სიბრძნე“ ააცილა ლმერთმა სკოლას, მაგრამ იგი განაკვეთიანების ჭაობში ჩავარდა. წამოვიდა რაიკომების „გენიალური აზრები“ ვისაც მასწა-ვლებლობა უნდა მენაკვეთეობაც უნდა უნდოდესო. საქართვე-ლოს სოფლის მოსახლეობა, რომელიც რესპუბლიკის 50%-ზე მეტს მოიცავს, მთლიანად ჩავარდა „ყოვლისშემძლე მასწავლებლის“ ხელში, რომელიც მენაკვეთეობასაც ეწეოდა, მეაბრეშუმეობასაც, მეძროხეობასაც და მელორეობასაც. მასწავლებელი რომელიც კა-ნონის მიხედვით ჰომო ურბანური უნდა იყოს, ჰომო საპიენსობაც წართვეს და პარტიის კლაკიორად აქციეს.

90-იან წლებში საქართველოს პრეზიდენტმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ მასწავლებლის საქმე პოლიტიკა არ არისო. ეს აზრი მთავრობამ მაშინვე მიიღო. ცხადი გახდა როგორც გუშინ-დელი ისე დღევანდელი დღის სურვილიც მთავრობის შეხედულება იმის შესახებ, რომ აპოლიტიკური მასწავლებელი აპოლიტიკურ საზოგადოებას შექმნის ეს სადაო საკითხიო არ არის და არც ის იქნება სადაო, რომ აპოლიტიკური საზოგადოება ბრძოლას ვერ შეძლებს და მთავრობის მონა-მორჩილი იქნება. ხდება ხოლმე ბრძოლის რაიმე უსამართლობის წინააღმდეგ. მაგრამ იგი ორგანიზებულ ძალას არ წარმოადგენს და სწრაფად იშლება.

ტირანია ათასნაირ ხრიკებს მიმართავდა და მიმართავს ხა-ლხის დასამორჩილებლად, მაგრამ საბოლოო ჯამში ყოველ ტი-რანს ბოლო ეღებოდა. ნერონიდან დაწყებული XXI საუკუნემდე უამრავი ტირანის დასახელება შეიძლება, მაგრამ როგორც ადი-ლიური ანდაზა ამბობს: „ევეყანაზე ვერავინ შესძლო სიმართლისა დაჩოქება და სიცრუის ამაღლებით დედამინის აქოთება“.

დემოკრატიის აპორტმეიხრეები ოდითგანვე დიდი მონდომებით და ოსტატობით მუშაობდნენ, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს გადაეჭრათ დემოკრატიის სასიცოცხლო ძარღვი, რომელიც ყოველთვის წარმოშობდა სიყვარულს, მეგობრობას, ჰუმანიზმს და კაცთა შორის ურთიერთგაების იდეებს.

ალიგიერი დანცე წერდა: „სატანას ბეწვებს ვეჭიდებოდი, იგი მინის მთელ სიმაღლეზე გახიდულია როგორც ღერძი უშველებელი“ ამ უშველებელ ღერძთან ბრძოლის ყველაზე დიდი საშუალება მაინც სკოლაა. იგი ყველგან მოქმედებს და მუშაობს იმ დავალების შესაბამისად რომელსაც მას უყენებენ. ჩვენში სკოლა და მასწავლებელი აპოლიტიკურია, მაშინ როცა საქმე სახალხო ინტერესებს ეხება. თორემ როცა საქმე მთავრობის ინტერესებს ეხება, მაშინ იგი ძალზე აქტიურია. მისი აქტიურობა ჩანს არჩევნებში სამთავრობო პოლიტიკის გატარების საქმეში. დარბიან სოფელში საარჩევნო ფურცლებით და ბანკნოტებით გულს შეგინუხებენ კითხვებით ხმას ვის აძლევონ და სხ.

გარდაქმნას მოითხოვს როგორც საშუალო ისე უმაღლესი სკოლები. საშუალო სკოლა ჯერ კიდევ კომუნისტების ხელში, რუსული ტერმინოლოგით რომ ვთქვათ „პროხოდნო დვორად“ აქციეს, რომელსაც ყველა ამთავრებდა. მაშინ ამას ჰქონდა ტრაბახის მნიშვნელობა. პარტიას უნდოდა ეთქვა დასავლეთისთვის, შეხედეთ, როგორი ჰუმანისტები ვართ, განათლების გარეშე არავის ვტოვებთო. სკოლებში დირექტორებს უხვად მოჰქონდათ რაიკომების დადგენილებები, მასწავლებლებმა ორიანის გარეშე იმუშაოსო, როგორ შეიძლება სოციალიზმის პირობებში ოროსნები გვყავდესო. არ ისნავლა ზარმაცმა ყმაწვილმა გაკვეთილი და სოციალიზმი რას უშველის მის უცოდინრობას. მაგრამ წერს მასწავლებელი სამიანებს. მთავრობაც კმაყოფილი ჰყავს, ბავშვიც და მშობელიც. იქთ დასავლეთი სკდება გულზე, რა განათლებული ხალხი ჰყავს საქართველოსო.

სამიანის გაუბრალოებამ საშინელი ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებაზე. ის არარაობად ქცეული სამიანი ბევრ კაცს უწერია უცხო ენაში, მაგრამ რამდენი მათგანი გაგაგებინებს აზრს თუნდაც მარტივი წინადადებით უცხო ენაზე? - ცოტა, რამდენი კაცი ამოხსნის მეათე კლასის საპროგრამო ამოცანას მათემატიკაში? - კიდევ ცოტა, რამდენი კაცი შესძლებს გადმოსცეს აზრი წერილობით მშობლიურ ენაზე? ცოტა და ცოტა. ყველაფერი ცოტა მხოლოდ დიპლომები გვაქვს უამრავი.

თუ გადავხედავთ უმაღლესი სკოლების საქმეს, ნამდვილად გასაკვირია. არა მგონია, ასე პატარა ქვეყანაში იყოს სადმე იმდენი უმაღლესი სკოლა, რამდენიც ჩვენშია. ხშირად მოისმენ ასეთ რამეს ცაგერის უმაღლესით, წყალტუბოს ინსტიტუტით, ზესტაფონის უნივერსიტეტით და კიდევ სხვა. ...კეთდება ფული, ივსება ბირჟები დიპლომიანი ბიჭებით, რომელთა დასაქმება სახელმწიფოს არ შეუძლია და კიდევაც რომ შეეძლოს, შეძლებენ კი ზემოთ ჩამოთვლილი უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულები ინტელიგენციის ტვირთის ზიდვას? ხალხს უთქვამს „მკვლავი მოსინჯე, ლონე გაიგე, ვიდრე მძიმე ტვირთის მხრებზე დაიდებ“.

ჰომეროსს უთქვამს „ამ ქვეყნად ყველაზე დიდი სატკივარი ცარიელი სტომაქიაო“, როცა ეს დიდი სატკივარი კაცს შეაშინებს, მოვა მთავრობაში ცაგერის უმაღლესი მაქვს დამთავრებული და მამუშავეთო, მთავრობის მოხელე რას აგებს, კაცს მოიმადლიერებს, დაასაქმებს და თუ ცაგერის უმაღლეს სკოლაში მიღებული განათლება იმ კაცს სოფელს ვერ ააშენებინებს, მას ხომ გაუჩინს ჯამაგირს. ამ ჯამაგირის ფასად იგი ქვეყანას მოუმზადებს ისეთ კადრებს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

საქართველოს განათლების სისტემა აუცილებლად საჭიროებს რეფორმას. რეფორმამ უნდა გაითვალისწინოს:

1. 3-იანის (რომელსაც ახლა რაღაც სხვა დაარქვეს) ავტორიტეტის ზრდა. ნიშანი სამიანი უნდა იწერებოდეს მაშინ, როცა ბავშვი გადმოსცემს საპროგრამო მასალას და ხანდახან საჭიროებს ოსტატის ჩარევას. ამ დონემდე რომ ხალხი ავიყვანოთ ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი კაცი პატარა დაბრკოლებით ისაუბრებს ევროპულ ენებზე, ამოხსნის საშუალო სირთულის ალგებრულ ამოცანებს და გადმოგვცემს აზრს წრილობით მშობლიურ ენაზე გრამატიკის და სტილისტიკის მოთხოვნათა შესაბამისად. ეს ყველაფერი ყოვლისშემძლე რაიკომის ყოვლისშემძლე პირველ მდივანს (რომლებსაც ახლა რაღაც სხვა ჰქვია) შეაძლებინოს ღმერთმა და ხალხს რავა წავეჩიხები. თუ ზემოთ ნათქვამი მოთხოვნა შესრულდება არც მსოფლიო დონის პოლიტიკოსებს შეეშლებათ ერთმანეთში ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი. არც პრეროგატივები შეაგულიანებენ ქართველებს „მაგარი უთხრათ, მეგობრებო“ „კრემლი უკან იწევსო“ არც დემოკრატიის შექურის არქიტექტორები აურევენ ერთმანეთში შოთა რუსთაველს და გრ. ორბელიანს. ისიც მოვისმინეთ, რა უჭირს მერე რუსთაველი და ორბელიანი თუ შეეძალა, მაგივრად პოლიტიკა-

ში კარგად ერკვევაო. საეჭვოა, რომ ქართული სკოლა დამთავრებული კაცი, რომელიც ზემოთ დასახელებულ შეცდომას დაუშვებს, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პრობლემებს არჩევდეს.

2. აუცილებელია სწავლების დიფერენციაცია. ბავშვს მიეცეს საშუალება განვითარდეს თავისი უნარის მიხედვით.

3. უმაღლეს სკოლებში მიიღონ გამოცდები მაღალკვალიფიცირებულმა სპეციალისტებმა და გაუქმდეს დემოკრატიის შუქურის მიერ მოწონებული ეროვნული გამოცდები. დიდი ხნის წინათ ერთმა პროფესორმა განაცხადა ეროვნულმა გამოცდებმა გამოგვიგზავნა ფილოლოგის ფაკულტეტზე ყმაწვილი, რომელმაც გალაქტიონის სამი ლექსი ვერ დაასახელაო, როგორ მოგიმზადოს პროფესორმა ასეთი ყმაწვილისგან ფილოლოგი?!

4. მთიან რეგიონებში სკოლამაგვარი წარმონაქმნების საფუძველზე უნდა შეიქმნას სკოლა ინტერნატები. რა საქმეს გააკეთებს ისეთი სკოლა რომელშიც იმდენი ბავშვია, რამდენიც მასწავლებელი. მასწავლებელმა რომ წორმალურად იმუშაოს 10-15 მსმენელი მაინც უნდა ჰყავდეს თითოეულ კლასში.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
18.V.2016 წ.

## ქართული ღემოკრატიის პარადოქსები

ვიღაც-ვიღაცები მექანიკურ  
თოჯინასავით დაგვექმნავთ და ამის  
შემდეგ ანგარიშმიუცემლად მივდივართ,  
კი არ მივდივართ, მივერივართ,  
კი არ მივქრივართ, მივფრინავთ,  
სანამ კატასტროფას არ წავანყდებით.  
კ. გამსახურდია

„პერესტროიკამ“ დასაბამი მისცა საქართველოში ძველი ღირებულებების ნგრევას და ახლის უნდობლობას. სსრკ-ს დაშლა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დასავლეთის ერთ-ერთი უდიდესი საზრუნავი იყო და არა ორი ქართველის დამსახურება.

ფაშიზმა, რომელიც სსრკ-ს შეურიგებელ მტრად თვლიდა თავს, თავისი ავკაცობით მისი სიცოცხლე გაახანგრძლივა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მან თავისი ცუდკაცობით კომუნისტებს გადააჭარბა, რამაც მისი განადგურების საკითხი პირველ რიგში დააყენა მთელი კაცობრიობის წინაშე.

ამერიკაში XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში რეფერენცუმზე დასმულ კითხვაზე: რომელი გავანადგუროთ პირველ რიგში – ფაშიზმი თუ კომუნიზმი, მოსახლეობის 86%-მა პირველი რიგი ფაშიზმს დაუთმო, 13%-მა კომუნიზმს, 1%-მა თავი შეიკავა. მართალია, პირველი ადგილი ფაშიზმს დაუთმეს, მაგრამ არც მეორე იყო შორს. ომისშემდგომ პერიოდში ბრიტანეთის ლომი ნახტომისათვის ემზადებოდა, მაგრამ ამერიკისგან თანხმობა ვერ მიიღო და შეჩერდა.

ომის შემდგომ პერიოდში ამერიკაში სტუმრად ჩასულმა ჩერჩილმა განაცხადა: ფაშიზმი გავანადგურეთ, რაც შეეხება კომუნიზმს, 40-45 წლიწადში სსრ-კა უნდა გაქრეს მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან.

სსრკ-ს დამანგრეველი ძალა, როგორც ზემოთ ითქვა, დასავლეთია, მაგრამ საკითხავია, მისი დამანგრეველი შენ აგაშენებს? შენი ერთგული მეგობარი გახდა?! აფრიკული ანდაზა ამბობს: „თუ ნიანგმა შენი მტერი შეჭამა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი შენი მეგობარია“.

ქართველმა კაცმა, რომელსაც 3000 წლის კულტურის ისტორია აქვს, 400-მდე უმაღლეს სკოლას ინახავს და იმდენ უმაღლესდამთავრებულს ნახავ ყოველ ბირჟაზე, რამდენსაც ისურვებ, აფრიკელი კაცისგან უნდა ისწავლოს არც თუ ისე ძნელად გასაგები სიბრძნე, რომელზეც საუბარი გვაქვს, ეს ხომ ნამდვილი პარადოქსია.

90-იან წლებში გორბაჩიოვმა დარეკა თბილისში, შემოდით სნგ-ში და გავაჩერებ ოსებსო. ჯეელებმა მოიწვიეს მრავალათასიანი მიტინგი და ხალხი დააიმედეს: მაგარი უთხარით, მეგობრებო, კრემლი უკან იწევსო. ესეც პარადოქსია, რომ ერის საკმაოდ დიდმა ნაწილმა ირწმუნა, რომ მსოფლიო გიგანტი ქართველი ჯეელების შიშით უკან იწევდა.

გადის დროის მცირე მონაკვეთი და ქართულმა უფერულმა ინტელიგენციამ სახელმწიფოს სამართავად ედუარდ შევარდნაძე მოიწვია, ნასწავლი და ავტორიტეტული კაცია, გაჭირვებიდან გამოგვიყვანსო. მაგრამ რა გაკეთდა? – გაიყინა ხელფასები და 8 ლარიანი პენსიები და მისი ცოლისგან ბრძნული დარიგება მიიღეს ქართველმა ქალებმა: „კარგი დიასახლისი 8 ლარით ოჯახს შეინახავს“ ამაზე დიდი პარადოქსი სად უნდა ეძიო. პარადოქსულია ის ფაქტიც, რომ გერმანიის გამაერთიანებელმა აჭარა

და გურია ვერ შეარიგა. ასეთ მუშაობაზეა ნათქვამი: „მინახავს ერთი პირუტყვი გორსა თუ ახალ გორსაო, თავისთვის მუტრუკს აკეთებს, სხვებს კი უმზადებს ჯორსაო“. გადის დრო, ტყუილებით და დაპირებებით თავმოძულებული ხალხის მხარდაჭერით გათამამებულმა ჯეელებმა „მსოფლიოს დონის პოლიტიკოსი“ აყიროსავით მოისროლეს კაბინეტიდან და ხალხს მიშას ღვთაებრივ წარმოშობაზე დაუწყეს საუბარი. ერთმა პრეროგატივმა იგი დავით აღმაშენებლსაც კი შეადარა. დიდება შენდა, უფალო, სად ერის გადამრჩენელი დავით აღმაშენებელი და სად პოტენციური დამნაშავე მიხეილ სააკაშვილი.

ცხოვრების დინამიკამ ასპარეზზე ივანიშვილი და მისი ოცნებისტები გამოიყვანა, რომლებმაც პარადოქსებით აავსეს ხალხის ცხოვრება, როცა მეოცნებე დავით წარმანიას უთხრეს: დედაშენი საარჩევნო ბიულეტენებს ჩიჩიბავდაო. მან ეს დანაშაული დედობრივი ზრუნვის ისტინქტით ახსნა. ეს კაცი დიდი ხანია ხელმძღვანელობს რესპუბლიკის უდიდეს ქალაქს. და თუ ისურვებ, ქართული დემოკრატიული არჩევნების ობიექტურობაზე ორსაათიან ლექციას წაგიკითხავს. განა ეს პარადოქსი არაა? რესპუბლიკა ვალებშია ჩაფლული, იღებენ ვალებს და აკეთებენ შადრევნებს, ინვევენ მომღერლებს უცხოეთიდან, არემონტებენ თეატრებს ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რა გეშადრევანება რა გეოპერება, რა გეთეატრება იმ კაცის პატრონს. რომელსაც ასე უთქვამს: „დამთქნარების მეშინია, ბავშვები რომ ხახადალებულს დამინახავენ, მომცვივდებიან და მეხვენებიან, ჭამ რაცხას, ბაბაია და ჩვენც გვაჭამეო“.

ადოლფ ჰიტლერი გვმოძლვრავს: „ეკონომიკური მიზეზები მეორე ან სულაც მესამე პლანზე არიან. წინ ყოველთვის ხალხის სულიერი ძალა დგასაო“. ეს დარიგებაც უცნაური პარადოქსია, როგორც ზემოთ ითქვა, არავითარი ჯავრი არა აქვს შენი ოპერის იმ გაჭირვებულ კაცს, დამთქნარების რომ ეშინია.

რამდენიმე წლის წინათ სააკაშვილმა წალენჯიხაში ასეთი სიბრძნე გადმოაფრქვია: „უყურეთ ტელევიზორს და გაიგებთ როგორ ცხოვრობთო“, უცნაური რჩევაა. თურმე ტელევიზორით უნდა გაოიგოს კაცმა თავისი ეკონომიკური სივიწროვე. უიმისოდ ვერ გაუგია.

ადამიანებს რომლებსაც დამთქნარების ეშინიათ, ხშირად აუწყებენ საინფორმაციო საშუალებები, რომ იხარჯება ფული

დიდი რაოდენობით ისეთ საქმეებზე, რომელთა გადადება შესაძლებელია. ტელევიზორზე გადასცეს, რომ რომელიღაც სატელევიზიო არხმა 110 მილიონი ლარი დახარჯაო. ლმერთო, შენ გადააფარე შენი კალთა ამ რეგვენ ქვეყანას, რომელიც შიმშილით გაძვალტყავებულ ხალხს პურის მაგივრად 110 მილიონად ლირებულ ინფორმაციას აწვდის.

ჩამოთვლილ პარადოქსებზე პასუხისმგებლობა მთლიანად ევალება მთავრობას და არა ხალხს. რადგან ხალხი ის ფენომენია, რომელსაც სამართლიანი კაცი ვერ დასჯის, რადგან მას მარტო თავისი კი არა, ათასობით თალღითის ცოდვები საკუთარი მხრებით გადააქვს და კიდევ რაღა დასჯა სჭირდება მის გაჭირვებას?!

12.II.2017 წ.

ზელიმ ჩაკვეტაძე

## რუსები, რუსისტები, რუსოფონები და რუსოფილები

„თუ მოქიშპეს ვერ ერევი,  
ზავს ნუ ჩათვლი სამარცხვინოდ;  
შეურიგდი რომ ანაზდად  
არ დაკარგო ყველაფერი“  
საადი

2017 წლის 12 მაისს ტელევიზორზე იყო საუბარი, რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ. საუბარი იყო ერთ ბერიკაცასა და ჯეელებს შორის.

ჩემთვის უცხო არ არის არც ბერიკაცის წინდახედულობა და არც ჯეელის შემართება. (ჯეელი ოდესალაც მეც ვიყავი, ბებერი ახლა ვარ). გამახსენდა გალაკტიონის ლექსი: „ზნეობის სიტყვა ყრმას თუ შესვენის გამოცდილი და შეუდრეველი, სხვაგვარად ისმის ოხვრა ბებერის, როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი“.

მიუხედავად იმისა, რომ ჯეელები სწავლულობას ამჟღავნებდნენ, ბებერთან მაინც შორს იყვნენ. ეს დაშორება არის ნაკლი არა მარტო ქართული არამედ კაცთა მთელი მოდგმისა. ჯეელი ბებერს არ უჯერებს და ბებერი ჯეელს არ ეთანხმება. ეს დაპირისპირება ჯეელის სასარგებლოდ წყდება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს აზრის გატარებისათვის საჭირო დროს და სივრცეს, ძალას და წინააღმდეგობებს. თუ ეს ფაქტორები

ვერ გაითვალისწინა, მაშინ იგი უმწეოა იმ იდეების გატარებაში რომლისთვისაც იღწვის ასეთ შემთხვევაში იგი ძველთან წააგებს (ვერ დანერგავს სიახლეს).

ბებერი ანგარიშიანია, მან იცის თავისი ძალა და მოკრძალებულია, ჯეელს „რომელსაც სხვისი მუშტი არ მოხვედრია, თავისი ორფუთიანი ჰერნია“ და კადნიერობს. ბებერი ზრუნავს შეახსენის ჯეელს თუ რისი შემძლეა, მაგრამ გარემოება ამის საშუალებას არ აძლევს. ის იცნობს იმ არმიას რომელმაც რუსების ლანძლვა-გინებაში თავი ისახელა, 5000 მანეთიანი სამსახურები მიიღო და თუ საჭირო იქნა მილიონიან ბრბოს გვერდში ამოიყენებს. მის გვერდით კი რამდენიმე ჭკვიანი კაცი დადგება (რომელთა რიცხვი ძალას მცირეა), ამიტომ იგი თავს იკავებს და ვერ უცხადებს მოპირდაპირეს: „რომ რუსეთთან ომი და კიკლაობა ქართველ კაცს ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს. იცის ბებრმა, რომ ვაჟა-ფშაველა ასე გვმოძლვრავს“. „თვით უპატრონეთ თავის თავს, ნუ იმედოვნებთ სხვაზედა“. ბრიყვი უნდა იყო კაცი, რომ დაიჯერო შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეზე მდებარე საქართველოსათვის, რომლის ტერიტორია ოსეთ-აფხაზეთიანად 69.7 ათას კილომეტრს შეადგენს, ვინმებ ბირთვული ომი დაიწყოს (ასე ღმერთმა ნუ შეშალოს კაცობრიობა).

რუსოფონები ყოველნაირად ცდილობენ სახელი გაუტეხონ რუსებს და ქართველი კაცის თვალში არამზადებად და ყაჩაღებად აქციონ. ისინი ანგარიშს არ უწევენ რუსი ხალხის უზარმაზარ კულტურას, რომელმაც კაცობრიობას მისცა პუშკინი, ლერმონტოვი, დოსტოევსკი, ლევ ტოლსატონი და მრავალი სხვა ამ გიგანტების ქვეყანა შეუძლებელია ისეთი ბარბაროსი იყოს, როგორც მას რუსოფონები გვიხატავენ. ამ ხალხის მთავრობასთან შეუძლებელია, რომ გონიერმა კაცმა მეგობრული ურთიერთობა ვერ დაამყაროს, თუ სტრატეგიის შესაფერის ტაქტიკას გამოიყენებს.

მე „ხალხის მიერ არჩეულ მერებს და პრეზიდენტებს“ ერეკლე მეფეს ვერ შევადარებ, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ მიუხედავად წინააღმდეგობებისა რუსის ჯარი საქართველომ მშვენივრად გამოიყენა XIX საუკუნის განმავლობაში საგარეო საქმეებში. გაიხსენეთ ახალციხის, ახალქალაქის, ბათუმის და სხვათა შემოერთება დედა სამშობლოსთან.

რუსოფონებმა თავისი მუშტების ქნევით აფხაზეთი და ოსეთი დაკარგეს და იმ გადარეულ რუსებს 1500 ტანკი შიდა ქართლში შე-

მოაყვანინეს და რომ დასავლეთის ინიციატივა არა ისინი თბილისშიც შემოვიდოდნენ, მიუხედავად მიშას „ლაზიკების“ წინააღმდეგობისა.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს სტატიის ავტორი რუსეთის იმ-დროინდელ მთავრობას ამართლებდეს, რომ მართლა სასამართლო არსებობდეს, მე ორივე მხარის დასჯას მოვითხოვდი. პირველის დასჯას ტუტუცობისთვის, მეორის – ბარბაროსობისთვის. ნამდვილად ბარბაროსი უნდა იყოს ხელმწიფე, რომ ტუტუცი მიშას მუშტების ქნევით გაღიზიანებულმა 1500 ტანკი გამოგზავნოს იმ პატარა ერის ასაწიოკებლად, რომელიც შიმშილის ქვეშ დაუგდია და თუ, ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას ღმერთმა ხელი მოუმართა, „ეს დამშეული“ ხალხი წინა აზიის ან ევროპის ქვეყნებში გაიფანტება, ან ადგილზე შეიმშილით გაწყდება.

რაც შეეხება რუსოფილებს, უნდა აღინიშნოს, რომ ერს ყოველთვის მართებს სხვა ერებისადმი ყურადღება, პატივისცემა და დაფასება.

ჩემს საგაზეთო სტატიაში „რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ინტერპრეტაცია“ აღნიშნულია, რომ „ურუსეთოდ ცხოვრება არ შეიძლებას“ მქადაგებლები პარაშუტივით ბერავენ რუსეთის ავტორიტეტს, თითქოს იგი არჩენდა საქართველოს. საქართველოს კი არავინ არჩენდა, არამედ თავის კუთვნილს დებულობდა (იხ. „სამტრედიის მაცნე“ 19-V-1994 წ) 90-იან წლებში ახალგაზრდობის სული მედგა და მეც ვენერდი ანტიკომუნისტურ პროპაგანდას, მაგრამ ანტიინტერნაციონალურს არასდროს; რადგან ჩემი აზრით, წითელ ეშმაკებს უნდა მოღებოდა ბოლო და არა ეკონომიკურ და კულტურულ კავშირს ხალხთა შორის.

საქმეში ჩატარებული ადამიანები რუსებს აბრალებდნენ სსრკ-ს ხალხების ჩამორჩენილობას. ვისაც 80-იანი წლების ბოლოს ქუთაისში ლენინის მოედანთან კიროვის ქუჩის დასაწყისში გაუვლია, ემახსოვრება ჯელების მიერ გამოკრული პლაკატი „Коммунизм это русское чмо“. რატომ აბრალებენ მარტო რუსებს კომუნიზმს? როცა იგი ევროპულია და რუსეთის იმპერიაში მის დამკვიდრებაზე ქართველებმა დიდი ინიციატივა გამოიჩინეს. გაიხსენეთ მიხა ცხაკაია, სერგო ორჯონიშვილი, საშა გეგეჭკორი, ფილიპე მახარაძე და თვით სტალინი. ისინი არავის არ ჩამოუვარდებოდნენ კომუნიზმის იდეების გავრცელების საქმეში. საინტერესოა რა უფლებით უწოდეს მას „русское чмо“ როცა იგი ევროპეისკიც არის და გრუზინსკიც.

სახოგადოებამ უნდა გამოიყენოს გონება და არც რუსოფილე-

ბს და არც რუსოფონებს არ უნდა აჰყვეს, რადგან პოლიტიკაში მთავარია თავის ტვინი (ჭკუა) და არა გული და ემოციები. როგორც კაცთა, ისე სახელმწიფოთა შორის არსებობს ერთგვარი პოლიტიკური საზომი, რომლითაც იზომება ორ მხარეს შორის ურთიერთობის უარყოფითი და დადებითი მოვლენები, თუ დადებითი სჭარბობს, მაშინ პატარა და უმნიშვნელო უარყოფითს აღარ მისდევენ და ხელშეკრულებას დებენ მეგობრული ურთიერთობის შესახებ. არ არის საჭირო პოლიტიკური ჩხირებისა და უნდა დაუკვირდე და გაიგებ, რომ არც რუსი ივანი ილოცება ეკლესიაში „ღმერთო კომუნისტები შეიწყალეო“.

რაც შეეხება რუსისტების პროპაგანდისტულ მუშაობას იგი აუცილებლად მოითხოვს გაუმჯობესებას. სწავლულმა კაცებმა პროპაგანდისრტები უნდა შეამოწმონ და ისე გააგზავნონ ხალხთან სასაუბროდ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ღობებურების მოდებულ ფილებთან და ფობებთან და არა ხალხის ინტერესების დამცველ პროპაგანდისთებთან.

ბებრებს ახსოვს და ჯეელებმა უნდა დაიმახსოვრონ, რომ ადამიანში უნდა გძულდეს მასში ჩამდგარი სატანისეული მიღრეკილებები და არა საკუთრივ ადამიანი. რუს კაცში რომ მანკიერების მეტს ვერაფერს ხედავს, ასეთი კაცი თვითონ არის მანკიერი და იგი ვერც ეროვნულ ღირებულებებს დაიცავს და ვერც ინტერნაციონალურს, რადგან მისი აზრი ფაშიზმისკენ მიექანება.

18.V.2017 წ.

ზელიმ ჩაკვეტაძე

## პოლიტიკური დაწყობისტები

„რომელმან შექმნა სამყარო... კაცთა მოგვცა ცხოვრება, გვაქვს უთვალავი ფერითა“  
შოთა რუსთაველი

პოლიტიკური დალტონიზმი, რომლითაც დაავადებულია ქართული პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი, შეიძლება ატავიზმიც იყოს და არა მარტო პოლიტიკური სიბეცე.

ჯერ კიდევ 40 წლის წინ ხალხის დიდ ნაწილს სწამდა, რომ

თუ საკოლმეურნეო ნაკვეთს ყველა დაამუშავებდა, მატერიალური დოვლათი შეიქმნებოდა და სოფელი აშენდებოდა. ეს შეხედულება ისე ძლიერი იყო ლეჩეუმის სოფლებში, რომ ადამიანებს ერთმანეთს აძულებდა. კოლექტივის მენაკვეთეს უნაკვეთო კაცი არ მოსწონდა. იგი სოფელზე არ ზრუნავსო.

კომუნისტურმა პარტიამ შექმნა ჰომო საბჭოელი, რომელიც პოლიტიკაში მხოლოდ წითელ ფერს არჩევდა. იმდროინდელი ადამიანისთვის რომ გეკითხა: რა სჭირდება სოფლის შენებასო, გიასუხებდა: ნაკვეთი უნდა აიღო, კარგად დაამუშავო და სოფელი აშენდებაო. ჰომო საბჭოელს ვინ მისცემდა იმდენ განათლებას, რომ ეთქვა: „სოფლის შენებას სჭირდება რენტაბელური შრომა, მოწინავე ტექნიკისა და გამოცდილების დანერგვა და შრომის მაღალი ორგანიზაცია და არა ბეკოს ვირივით პირდაპირ ჩანჩალი.

ახალგაზრდობაში მომისმენია, რომ მხოლოდ ამერიკაში 300 ინსტიტუტი (ალბათ ცალკეული კათედრები) იკვლევს ჰომო საბჭოელის უცნაურ დალტონიზმს, რომლის გამო იგი წითელი ფერის მეტს ვერაფერს ხედავსო.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ამერიკის პრეზიდენტმა რეიგანმა ურჩია მიხეილ გორბაჩივს, ჩაანათე პროექტორები შენს წარმოებებში და გაიგებ თქვენი პოლიტიკის არსაო. ძველ კაცებს ახსოვთ, რომ იმ პერიოდში იყო ტელევიზორზე ასეთი გადაცემა: „გარდაქმნის პროექტორი“, რომელმაც საზოგადოების შეგნებულ ნაწილს თვალებზე ლიბრი ააცალა და დაანახა წითელი კოლექტივების და ნაკვეთების „მწარმოებლურობა“.

XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო ბიზნესის ქება-დიდება. თანამედროვე ყმანვილს რომ ჰკითხო, სოფლის შენებას რა უნდაო, დაგარიგებს: ნადი ქუთაისში იყიდე კარტოფილი, ამოიტანე სოფელში, ორმაგად გაყიდე და შენც აშენდები და სოფელიცო. შენ კი აშენდები მანეთში თუ ორი მანეთი მიიღე, მაგრამ სოფლის შენება საეჭვოა.

ასეთია სოფლის ვაიმშენებელთა დალტონიზმი. ისინი მხოლოდ კოლექტივს და ბიზნეს ხედავენ. თუ კოლექტივი საერთო კეთილდღეობისაკენ მიისწრაფვოდა და ცხოვრებას კაზარმისტის თვალით უყურებდა, რაც უდავოდ ფანტაზია იყო, ბიზნესმენი პირადი მოგების მიზნით მანევრირებს და ხალხს თავის სამსახურს ამადლის, თქვენზე ზრუნვის გამო არა მძინავსო. თურმე იმერელი ქორ-ვაჭრები (ახლებურად ბიზნესმენები) იმისთვის ყიდულობენ

ახალქალაქიდან ჩამოტანილ კარტოფილს, მოაქვთ და ჰყიდიან სოფელში, რომ ხალხს საკუები არ შემოაკლდეს.

ჩვენ ვიცით, რომ სასაქონლო პროდუქტის გადაადგილება ფულს საჭიროებს, მაგრამ 50 კმ-ზე გადატანისთვის რომ საქონელს თავის საბაზრო ღირებულებას 100 და ზოგჯერ 150% დაარიცხო, ეს უსამართლოდ მიგამინია.

საზოგადოების გატყავების წესს და უფლებას მთავრობა იძლევა და იმერელი ქორ-ვაჭარი (ბიზნესმენი) სულელი ხომ არ იქნება, რომ ეს წყალობა არ გამოიყენოს.

მთავრობა, რომელიც თავისი სახელმწიფოს შიგნით საქონლის ღირებულების ნიველირებას ვერ ახდენს, პოლიტიკური არსებობის ღირსი არ არის.

ქვეყნის სამართავად უნდა მოვიწვიოთ და ავირჩიოთ ისეთი კაცები, რომლებიც ხვდებიან, რომ წითელი და ცისფერი ფერების გარდა სამყაროში არსებობს უამრავი სხვა ფერიც და გაითვალისწინონ სტატიის ეპიგრაფში გამოთქმული აზრი.

საქართველოში 200-მდე პოლიტიკური პარტია და საზოგადოება ყოფილა. მათ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების გამო ჩვენი გაძვალტყავებული ქვეყნის მთავრობა აფინანსებს აქამ და მრავალფეროვან საქმიანობას ვენევითო. სინამდვილეში ეკონომიკაში ჩანს ერთი – ბიზნესი, ხოლო საგარეო საქმეებში – ევროატლანტიკა. ასე რომ გარეგნულად ქვეყნა თითქოს მრავალფეროვანია, შინაარსობრივად კი იგი ერთფეროვანია. ყველა პოლიტიკოსი (მე არ ვგულისხმობ პოტენციურ ძალებს, რომელთა გარეშე ქვეყნას დაღუპვისაგან ვერავინ იხსნის) კომუნისტებივით, ფაშისტებივით და ბეკოს ვიროვით ერთ გზას ადგანან (ბიზნესი და ევროატლანტიკა ერთი გზის ორი ტოტია) გარეგნულად ისე იყურებიან, თითქოს მართლა „დემოკრატიის შუქურა“ იყონ. სწორედ ამ გარეგნულობამ ათქმევინა ზესახელმწიფოს პრეზიდენტს, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატია მთელი მსოფლიოსთვის სამაგალითოა“ (გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 2017წ., 12-18 ივნისი №24).

საქართველოს დემოკრატია რა სამაგალითოა, ამას თუ სწორი ინფორმაციას მიაწვდი, ზესახელმწიფოს პრეზიდენტი კი არა, სრულიად უბრალო ადამიანიც კი მიხვდება.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
20.V.2017 წ

## ქართული დემოკრატიის საქველმოქმედო მუშაობა

„სოციალურ საკითხებს არ შეიძლება ქველმოქმედის პოზიციიდან მიუღვე. ეს უშედეგო და სასაცილოა“.

სოციალური საკითხების გადასაჭრელად საჭიროა მთელი ჩვენი ცხოვრების კულტურულ-ეკონომიკური რეორგანიზაცია, რომელიც ხალხის ფუნქცირ მდგომარეობას ბოლოს მოუღებს.

**ადოლფ ჰიტლერი.**

ქართულმა დემოკრატიამ საზოგადოების ეკონომიკური მდგო-  
მარეობის გაუმჯობესების მიზნით წინა პლანზე წამოწია ქველმო-  
ქმედება და თუ ასე გააგრძელა, შეიძლება იგი სიღარიბესთან ბრ-  
ძოლის ძირითად საშუალებად აღიაროს. რამდენიმე წლის წინათ,  
როცა ხალხმა ლაპარაკი დაიწყო პარლამენტარების კოლოსალურ  
ხელფასებზე და პრემიებზე, მთავრობის კაცებიდან გაისმა დაიმე-  
დება, ისინი მაღალ ხელფასებს და პრემიებს იმიტომ ღებულობენ,  
რომ ნათესავებს დახმარება გაუწიონო. უცნაური დაპირებაა,  
პარლამენტარმა რომ მის ბიძაშვილს დახმარება გაუწიოს სხვის,  
ბიძაშვილს ამით რა შეღავათი ექნება?!

ქველმოქმედება კარგი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ მასზე  
დაყრდნობა, სახელმწიფო ეკონომიკის და კულტურის საქმეში,  
როგორც ეპიგრაფშია ნათქვამი, „უშედეგო და სასაცილოა“.

ქველმოქმედება შეიძლება შენი შესაძლებლობის ფარგლებში  
გაუწიო ქვრივებს, ობლებს, ბებრებს და ინვალიდებს. მაგრამ  
ლომებივით ვაჟკაცების გაიგივებას ინვალიდებთან და ობლებთან  
ვერც ერთი კრიტიკულად მოაზროვნე კაცი ვერ გვაპატიებს.

ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით „ვარდების რევოლუციის“  
მომდევნო წლებში დაფინანსდა ხელფასები და პრემიები; პრეზი-  
დენტის, დეპუტატების, მინისტრების და მაღალი თანამდებობის  
საჯარო მოხელეებისათვის (იხ. მისი წიგნი „საქმით ნათქვამი“). რა  
ვქნათ, ივანიშვილს მადლობა გადავუხადოთ ჩვენი „ხალხის რჩეუ-  
ლების“ ქვრივ-ობლებთან და ინვალიდებთან გატოლებისათვის?

არა. ხალხის რჩეულებმა თვითონ უნდა გაუწიონ ქველმოქმე-  
დება ქვრივებს და ინვალიდებს.

რა კარგად ეტყობა ბატონ ივანიშვილს „მსოფლიო დონის პო-  
ლიტიკოსის“ ინტელექტუალური გავლენა. შევარდნაძემ ერი და  
ბერი გათიშა ერთმანეთისაგან და ხალხი დააიმედა, ჯერ მოსა-

მართლებს და მინისტრებს დავანაყრებ და შემდეგ ისინი ხალხს მიხედავენო (მაძღარი ბერი კარგად ილოცებსო). მას რომ ფრანგულ ლიტერატურაში ჩაქედა, აუცილებლად წაიკითხავდა ჰიუგოს შეხედულებას ერის და ბერის ურთიერთობის შესახებ, რომ „ფუფუნებაში მყოფი სხვის ტანჯვას ვეღარ თანაუგრძნობს, მდიდარი მღვდელი სრული უაზრობა“. დრომ დაგვანახა, რომ ვიქტორ ჰიუგოს კაცთა ბუნება „მსოფლიო დონის პოლიტიკოსზე“ უკეთესად სცოდნია. ახლა, როცა ეს სტატია იწერება, ტელევიზორი ჩართულია მაესტროს არხზე, რამდენი გაჭირვებული ყოფილა საქართველოში (აქამდე ჩემი თავი მარტოხელა მეგონა, თურმე მილიონიანი არმიის წევრი ვყოფილვარ. ღმერთს რომ ნაპოლეონის ნიჭი მოეცა, არმიის ფორმირებას დროის მცირე მონაკვეთში შევძლებდი).

რამდენი თხოულობს დახმარებას, ჰენსიას, სამუშაოს. „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ნაყრდებიან კოლოსალური ხელფასებით და პრემიებით და ხალხს დაპირებებით ჰკვებავენ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში შევარდნაძემ ისეთი ტყვილი დაახეთქა სამტრედიაში საარჩევნო კომპანიაზე, რომ ბარონ მიუნჰაუზენს შეშურდებოდა. მილიონი სამუშაო დაგილის დამპირებელმა 1 000-ც ვერ გამოხახა, ისე „გაისროლა კაბინეტიდან უცნაურმა გრიგალმა“.

ზემოთ ნათქვამ არმიას ქველმოქმედის პოზიციიდან რომ მიუდგე, როგორც სტატიის ეპიგრაფშია ნათქვამი „უშედეგო და სასაცილოა“, აქ მოვიშველიერ დოსტოევსკის შეხედულებას – „მოწყალების გაცემით მინიჭებული სიამოვნება ამპარტავნული და უზნეო სიამოვნებაა. ეს მდიდარი კაცის განცხრომაა, აქამ და სიმდიდრე და ძალაუფლება მაქესი და მათხვარზე მალლა ვდგევარო. მოწყალება ათასირებს გამკითხავსაც და განკითხულსაც და ვერც მიზანს აღწევს. ვინაიდან ამრავლებს მხოლოდ გლახაკებს. ზარმაცებს ალარ უნდათ ხელის განძრევა ისე ეხვევიან მოწყალების გამცემთ. მერე და რას მიაღწევ იმ საცოდავი გროშებით?! – მეასედსაც კი ვერ აკმაყოფილებთ. მოწყალების გაცემა ახლანდელ საზოგადოებაშიც უნდა აიკრძალოს კანონით“ („ეშმაკინი“. გვ. 364 გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1990 წ.).

ადამიანები მთავრობასთან დამოკიდებულებაში სამ კატეგორიად იყოფიან.

1. ერთნი ფიქრობენ, რომ მთავრობა ვალდებულია მათი მსახური იყოს.

2. მეორენი თვლიან, რომ ხალხი ვალდებულია მთავრობას ემსახუროს უპრეტენზიოდ.

3. მესამენი ფიქრობენ, რომ ხალხი მთავრობას უნდა ემსახურებოდეს და მთავრობა ხალხს.

დაკვირვებული კაცი სწრაფად მიხვდება, რომ დასახელებულთა შორის სწროია მხოლოდ მესამე.

დანტეს უთქვამს, „ცუდად გაგებულ მოძღვრებამან მთელი ქვეყანა სიმცდარის გზაზე დააყენა“.

„უკულმართად ხვნამ და თესვამ“, რომელშიც ქართველი კაცი არავის არ ჩამოუვარდება, „ის შედეგი გამოილო“, რომ ზოგმა კაცმა ქველმოქმედება გაუხადა ვალდებულებად მთავრობასაც და ზოგიერთ შეძლებულ მოქალაქესაც.

ერთმა პრეროგატივმა ისიც კი თქვა: „დაურიგოს ივანიშვილმა ამომრჩევლებს ას-ასი მანეთიო. ველარ გაგიგია კაცს, რატომ უნდა მომცეს ივანიშვილმა ასი მანეთი. მას ჩემი ვალი არასდროს არ ჰქონია. ზოგი კაცი იტყვის, ბევრი ფული აქვს და იმიტომო. ჰქონდეს, ბატონო, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, თუ იგი პატიოსანი შრომით აქვს შეძენილი, თუ ყაჩაღობით და ცუდკაცობით, მაშინ მას სახელმწიფომ უნდა მოუაროს და არა რიგითმა მოქალაქემ.

ნურავინ იფიქრებს, რომ მე ან ჩემს მიერ ჩემს აზრზე დამოწმებული მოაზროვნენი ქველმოქმედების წინააღმდეგი ვიყოთ. თუ კაცს სიამოვნებს, რომ ადამიანს პატივი სცეს, ჩვენ ამას მივესალმებით. მაგრამ მოვითხოვთ, ეს ქველმოქმედება გამომდინარებდეს კაცომოყვარეობის ბუნებიდან და არა თავის გამოჩენის და საზოგადოებასთან და მთავრობასთან თვალთმაქცობის მიზნებიდან.

აქ უნდა მოვიშველიოთ დემოკრიტეს აზრი: „უნდა მივეჩვიოთ ქველ საქმეებს და არა ლაყბობას ქველ საქმეებზე, ფუჭმეტყველ ფარისევლებზე და ტირანებზე, რომელთა სიტყვასა და საქმეს შორის მუდამ უფსკრულია.

8.VII.2017 წ.

ზელიმ ჩაკვეტაძე

## „პერესტროიკა“ და ქართული პოლიტიკური აზროვნება

„როს ბედისხერა ბუნების წესს შეეჯახება,  
იქ უეჭველად უდღეური ჩიდება ნაყოფი,  
როგორც ნათესი ჭირნახული მწირ ნიადაგზე“  
**დანტე**

XX საუკუნის 80-იან წლებში მთავრობის კაცებმა დაიწყეს ლაპარაკი რაღაც „პერესტროიკაზე“, რომლის შინაარსი აუცილებლად მოითხოვს განმარტებას.

„პერესტროიკა“ რუსულ-ქართულ ლექსიკონში ასეა განმარტებული: 1. გადაკეთება, შეცვლა, გარდაქმნა. 2. ხელმეორედ მომართვა, აწყობა. ხალხმა, ჯეელების პროპაგანდას აყოლილმა, პირველი განმარტებით გაიგო იგი და დროის და მდგომარეობის გაუანგარიშებლად შეუტია საბჭოთა ხელისუფლებას.

გორბჩიოვმა, რომლის დიქტატით იმდროინდელ სსრკ-ს უნდა ევლო, „პერესტროიკა“ გაიგო ისე, როგორც იგი მეორე პუნქტშია ნათქვამი. მისი გაგებით უნდა მომხდარიყო რუსეთის იმპერიის ხელმეორედ მომართვა, აწყობა. 80-იან წლებში გორბაჩიოვმა კითხვაზე, არის თუ არა მოსალოდნელი სხვა პოლიტიკური პარტიების შექმნა, ასეთი პასუხი გასცა: „არა, კომუნისტურ პარტიას შესწევს უნარი, გაუძღვეს სსრკ-ს ხალხებსო“. ასე რომ, კომუნისტურმა ელიტამ „პერესტროიკა“ გაიგო ლექსიკონში განმარტებული მეორე პუნქტით, ხალხმა – პირველით.

გრიბოედოვს უთქვამს: „все несчастье человека, это горе от ума“. პარადოქსულია ის ფაქტი, რომ ქართველმა კაცმა ისე იმ-ლად ანდო საბრალო ჯეელებს დაკანონებულ მთავრობასთან დაპირისპირების საკითხი, თითქოს იგი ლობის ჩხირი ყოფილიყო. აქ ნამდვილად შეეჯახა ბედისხერა ბუნების წესს. ხალხი, რომელსაც ჰყავს ინტელიგენციის უზარმაზარი არმია, წინ დაუდგა დესპოტური სახელმწიფოს ტანკებს უთოფოდ და უზარბაზნოდ. აქამ და, სროლის უფლება არა აქვთო. ხალხს ჰქონდა 20-იან, 30-იან და 50-იან წლებში ჩატარებული წითელი რეპრესიების გამოცდილება. სწორედ ბედისხერის ცხოვრების წესთან შეჯახებამ გამოიწვია კარგად შესწავლილი წითელი გაკვეთილების დავიწყება.

წითელი გაკვეთილების მომსწრე და მცოდნე ბერიკაცმა, რომელსაც გონივრული და უდაოდ კეთილი სახალხო ინტერესები ამოძრავებდა, ხალხს მოუწოდა: „დამშვიდდით, ცუდი რამ არ

მოხდეს, ეკლესიაში ავიდეთ, ვილოცოთო“. მას პერესტროიკის იმედებით გათამამებულმა ჯეელმა მიკროფონი გამოსტაცა და საზოგადოებას მიმართა: „ნუ გეშინიათ, იჯექით, არაფერი არ მოხდება 25 მარტსაც ასე იყო, ვერაფერს გაგვიძედავენო“ („კო-მუნისტი“ 25.IV. 1989 №39).

თურმე კომუნისტები, რომლებმაც სიცოცხლე გაუმნარეს უდიდესი სახმელეთო იმპერიის ხალხებს, თქვენს ცხვირწინ მიან-გრ-მოანგრიეს ჰიტლერის მიერ შეკონიერებული იმპერია და თავის სასარგებლოდ შეცვალეს მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, ვერა-ფერს გაუბედავენ საწყალ ჯეელებს.

ნურავინ იფიქრებს, რომ ერი საბრალო ჯეელების ამარა ყო-ფილიყო დარჩენილი. ერი, თუნდაც პატარა, ღმერთმა ნუ გასწი-როს ისე, რომ გამოცდილი და ჭკვიანი ადამიანები არ ჰყავდეს. გავიხსენოთ რამდენიმე მათგანი: 1. ჯანსუდ ჩარკვიანი „პასუხის-მგებლობა ეკისრება ორივე მხარეს ფორმალებსაც და არაფორ-მალებსაც. პირველს იმიტომ, რომ ვერ შეაფასა და ვერ ახსნა სიტუაცია. მეორეს იმიტომ, რომ ლაპარაკი არ ისურვა არსებულ მთავრობასთან“.

ვისაც საშედრო საქმეში ცოტათი მაინც ჩაუხედავს, დაგვე-თანხმება იმაში, რომ ტანკი არის საშუალება დიდი სახმელეთო ჯარების გასარღვევად და არა ქალაქის ბიჭების დასაწიოკებლად. ბიჭებს ოდითგან აწიოკებდნენ საქართველოში, მაგრამ დიდ ია-რალს მათ წინააღმდეგ არ იყენებდნენ. ქართულმა კომპარტიამ, სულიდან ხორცამდე გაკოტრებულმა, კიდევ ერთხელ მოისურვა მასების უსიტყვო მორჩილება, რაც უდაოდ უსამართლობა იყო.

რაც შეეხება მეორე მხარეს, მისი დაცვა ძნელია, რადგან მან ვერ შეაფასა ტოტალიტარული სახელმწიფოს დესპოტური საფუძველი და უიარალო ბიჭები ტანკების წინაშე დააყენა, აქამ და „ვერაფერს გაგვიძედავენო“. ასეთი ბიჭები (ლიდერები) ერის მართვის უნარის მქონე არ არიან. ის რომ მათ ლაპარაკი არ ისურვეს მთავრობასთან, მძიმე დანაშაულია.

რაც შეეხება გოგო-ბიჭებს, ისინი უცოდველნი არიან, რადგან მათ არ იცოდნენ და არც შეიძლებოდა სცოდნოდათ, ვის უპი-რისპირდებოდნენ და რა მოუვიდოდათ. მათ თავები გამოტენილი ჰქონდათ კომუნისტების აგენტი პედაგოგებისგან: რომ პარტია ხალხის მზრუნველი მამაა, პარტია უდიდესი პატიოსნებაა, რომ

ღმერთი ცაში კი არა, მოსკოვში ზის, რომელსაც დღე და ღამე არ სძინავს ხალხზე ზრუნვით. ასე აღზრდილ და დამოძლვრილს სჭირდება არა უბრალოდ შემგულიანებლური, არამედ მენტორული დარიგება: რომ სიმართლის უკან თუ ძლიერი მუშტი არ არის, მაშინ პატიოსან კაცს თავის სიმართლეს დამხრჩალი ძალლივით შემოახვევნ ყელზე. ამ ქვეყნად ბევრს უნახავს ძლიერი ხელისუფლება, მაგრამ სიმართლის უფლება – არავის. მას ჯერ კიდევ ჰომოსაპიენსი ეძებდა. ახლა ჰომოურბანუსი ეძებს, მაგრამ ამაოდ. იგი, როგორც თეოლოგები ირწმუნებიან, ცაში სუფევს და კაცთა ამქვეყნიურ ცხოვრებას ნაკლებად სწყალობს.

რაც შეეხება ჯარისკაცს, იგი თითქმის უბრალოა. მის მიერ ჩადენილი ცოდვა ძირითადად მიეწერება იმას, ვის ბრძანებასაც იგი ემორჩილება. ჯარისკაცმა ოდითგან ორი მოქმედება იცის: „вперед кали, назад контакта“. რუსმა ჯარისკაცმა მითხრა, „мы люди приказа, скажут стреляй, будем стрелять, скажут стой, будем стоять“. ასეთნაირად დამოძლვრილ კაცთან სამართლიანობაზე და დემოკრატიაზე ლაპარაკი უბრალოდ ძნელი კი არა, შეუძლებელია. კომუნისტების დაცვას ვერ ვიკისრებ, მაგრამ ხომ შეიძლება იმათაც გაუწიო ცოტაოდენი ანგარიში.

ჯეელების მიერ შეგულიანებული პროტესტანტები, კომუნისტებისგან გადადგომას მოითხოვდნენ, რაც შეუძლებელი იყო იმის გამიო, რომ ისინი მოსკოვთან ვასალურ დამოკიდებულებას იყვნენ და გადადგომის დადგენილებას მის გარაშე ვერ მიიღებდნენ. ეს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინათ ჯეელებს, რომელთა უმრავლესობას წითელი სკოლები ჰქონდათ დამთავრებული და მეტ-ნაკლებად ჩახედული იყვნენ სსრკ-ს პოლიტიკურ სამზარეულოში. აյ საჭიროა მოვიშველიოთ ჭაბუა ამირეჯიბის აზრი: „კაცობრიობის ისტორიაში არ არსებულა ხელისუფლება, რომელსაც უპატივებია ვინმებსთვის განზრახვა, დაამხოს არსებული ხელისუფლება“. კომენტარებს არ საჭიროებს ის აზრი, რომ რაც არსად და არასდროს მომხდარა, არც არც მოსკოვზე მიჯაჭვულ თბილისში მოხდებოდა.

გურამ ყორანაშვილი წერდა: „ქართველთა სანუკვარი იდეების აღსრულება ჩვენს ახალგაზრდობას დღეების და თვეების საქმედ მოეჩვენა. ეს დიდი შეცდომა იყო. მაგრამ საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით გაცნობიერება ჩვენმა ახალგაზრდობამ სამწუხაროდ ვერ

შეძლო. ამისთვის მას არც აზროვნების სიღრმე ეყო და არც ცხოვრებისული და იტორიული გამოცდილება („კომუნისტი“ 16.IV. 1989 წ.).

მწერალი კონსტანტინე გამსახურდია წერს: „როცა ოცნება შესაძლებლობისა და რეალურის ფარგლებს გასცდება, ამას ქიმერას ეძახიან.“

ზემოთ დასახელებულ პიროვნებათა აზრებით მტკიცდება, რომ საქართველოს ჰყოლია აშკარა ძალები, რომლებიც შექმნილ მდგომარეობას თავს გაართმევდნენ, რაც მოვლენათა სიღრმის წვდომის უნარიანობით მტკიცდება.

ერის ერთ-ერთი უბედურება ის იყო, რომ პერესტროკით გათამამებული ჯეელები კომუნისტურ ძალებს შეურიგებელ მტრებად მიიჩნევდნენ (მათთან საუბარზეც კი არ დათანხმდნენ), ხოლო ჭეშმარიტად ინტელექტუალურ ძალებს არარაობად მიიჩნევდნენ და თვიანთ თავს მოსეებად თვლიდნენ. სწორედ ამ მდგომარეობამ მიიყვანა ისინი იმ გარემოებამდე, რომელსაც 90-იან წლებში ეროვნულ-გამანადგურებელი მოძრაობა ვუწოდე. ეროვნულ-გამანადგირებელმა მოძრაობამ შიმშილის ბრჭყალებსი ჩააგდო 5 მლნ. კაცი (გაზ. „სამტრედიის მაცნე“ 19.V.1989 წ.). უფრო ადრე იმავე გაზეთით მკითხველს ვაუწყე, რომ „თუ სუსტნერვებიან ჯეელებს ერი აყვება, შესაძლებელია იგი მთლიანად დაიღუპოს“ („ჩვენი პოზიცია“ 17.X.1991 წ.).

ეროვნულ-გამანადგურებელმა მოძრაობამ განვითარების პიკს სააკაშვილის ხელსი მიაღწია. თუმცა აქტიური პოზიციების შენარჩუნებას დღესაც ცდილობს მიშმადიდებლობა, ისე შეუდარებელია ეროვნულ-გამანადგურებელ მოძრაობაში, როგორც 37 წელი კომუნისტურში.

ახლა, როცა ეროვნულ-გამანადგურებელი მოძრაობის წყალობით ქართველი ხალხი ფიზიკური, ზნეობრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კატასტროფების წინაშე დგას, ხალხის რჩეულები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან – „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო“. მაშინ, როცა მათი დამოუკიდებელი საქართველო ორივე ფეხითაა გაბმული რუსულ ხაფანგებში სოხუმსა და ცხინვალში. მის შველას თეთრი დათვის შიშით ვერც „მეგობარი“ ამერიკა ბედავს, ვერც „სათაყვანებელი“ ევროპა და ვერც „მოძმე“ თურქეთი. არა და ის ხაფანგები უკვე შეეზარდა დაჭერილ ფეხებს.

ზემოთ ჩამოთვლილ კატასტროფებთან ერთად მოსალოდნელია

სოციალური კატასტროფაც. ერს, რომელსაც ქეჩიში შიმშილი მიჯ-დომია და ზურგში 15 მილიარდი ვალი მოკოტრებია, გულს უკლავს გაჭირვებული დედაკაცის ძახილი: „ბაშვები მომძახიან, დედა მშია- დედა მში-ა-ო“. ეს მაშინ, როცა მისი გათაღლითებული თანამემამუ- ლე აბსოლუტურ ფუფუნებაში ცხოვრობს. როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს: მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა, მით რომე სიცოცხლე უდგას სალის ყინულის ტახტზედა“.

ზელიმ ჩკვეტაძე, პენსიონერი

25.VIII.2017 6.

## 306 არის დამნაშავე?

„ყველანი, ყველანი, ყველანი ციხეში“  
მიხ. სააკაშვილი  
„მდიდარი და ღარიბი ყველა დასაჭრია“  
კინოფილმიდან „ვერს უბნის მელოდიუმი“

მედიის საშუალებებმა საზოგადოებას აუწყეს, რომ ქართულმა სასამართლომ გაასამართლა საქართველოს ექსპრეზიდენტი და დემოკრატიის შუქურის არქიტექტორი ბატონი მიხეილ სააკაშვილი.

ვისაც იგი ტელევიზორზე უნახავს, როგორ გაჰკიოდა ეპიგრა- ფში გამოთქმულ სიბრძნეს, თუ შლეგია, იტყვის ეს კაცი ჩემი ჭკუ- სააო, თუ ბრძენია – შეშლილია ეს კაცი ჭკუიდან და პატრონი თუ არ გამოუჩნდა რაღაცას გააფუჭებსო. თუ ვინმე ეტყოდა პატრონის მეტი რა ჰყავსო, გაკვირვებული იყითხავდა – მერე რას შვებაო?!.

მას იურიდიულად უამრავი პატრონი ჰყავდა, პრაქტიკულად შედარებით ცოტა, მაგრამ კარგად ორგანიზებული. მისი პრა- ქტიკული პატრონის ძებნა ვინრო სპეციალობებს უნდა დაევა- ლოს, თორემ ფართო დებულებებით მსჯელობამ შეიძლება შეც- დომაში შეგვიყვანოს.

მან როგორც ტირანთა წესია, გადიდეკაცების შემდეგ მოითხო- ვა ხალხის უსიტყვო მორჩილება. საზოგადოებამ ვერ მიიღო მისი პრეტენზიები და დაინყო პროტესტის გამოხატვა. მისი, როგორც დიქტატორის, ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ძალა პრაქტიკულად არის 2007 წლის მოწვევის პარლამენტი, რაც ისე აშკარად ჩანს, რომ საჭირო არ არის ვინრო სპეციალობების დამოწმება, მან ხალხის მიერ მინიჭებული ყველა უფლება აიყარა და მიშას ჩააბარა – აქამ

და ჩვენ რაღა უფლებები გვჭირდება. როგორ შეიძლება მიშა რამე-ში შეცდესო. თუ დამტკიცდება, რომ ეს დანაშაული პარლამენტმა შეგნებულად ჩაიდინა, მაშინ იგი დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს. თუ დანაშაული აღმოჩნდება შეუგნებლად ჩადენილი, მაშინ ხალხია დამნაშავე თავისი ბედი რომ „ტვინიან“ ბიჭებს ჩააბარა. მას შეგვი-ძლია მიუუთითოთ, შევახსენოთ, გავასაყველუროთ, მაგრამ დასჯით ვერ დავსჯით, იგი თავისთავად ისჯება, რადგან ყველა გაჭირვება მასთან ისე მიედინება, როგორც ზღვისკენ მდინარეების არმია.

პარადოქსულია ის ამბავი, რომ 140 კაციან პარლამენტში, როცა პრეზიდენტს ტუსალების შეწყალების უფლებას აძლევდნენ, ერთი კაციც არ აღმოჩნდა პრაქტიკოსი სწავლული, რომ ეთქვა... ეს უფლება პრეზიდენტს უნდა მიეცეს იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვა-ქვს ისეთ დამნაშავესთან, რომელსაც არა აქვს ჩადენილი ზედმეტად მძიმე დანაშაული, ტუსალობის პერიოდში თავი გამოიჩინა მაღალი დისციპლინით და შრომის სიყვარულით (სერვანტესმა, რომელსაც მთავრობის ფული შემოეხარჯა, ღარიბი იყო და გადასახადების ამკრეფად მუშაობდა, ციხეში დაუწერა კაცობრიობას „დონ-კიხოტი“) ასეთი კაცის გათავისუფლებაზე ხალხი კი არ დაგსჯის, პირიქით მო-გეხალმება, მაგრამ შენ რომ ხულიგანს გაათავისუფლებ, რომელიც ქალაქში დამბაჩას უბათქუნებს და ბიჭებს დანებს „უჩხუტურებს“, გაგლანდავს და დაგსჯის, აბა რა ქნას? – დაგაჯილდოვოს?!

ჰიტლერი, იმ პარლამენტს, რომელიც მე და ჩემნაირ კაცებს „აზრთა სამჭედლო“ გვგონია, „ენის ქავილს“ ეძახდა. ინტუიციით ვგრძნობ, რომ ის სულნანყმენდილი უფრო ახლოსაა ჭეშმარი-ტებასთან, ვიდრე ჩვენ. ერთადერთი პრაქტიკოსიც რომ გვყო-ლებოდა პარლამენტში, რომელზედაც ზემოთ მქონდა საუბარი, მიშასაც გადაარჩენდა დანაშაულისაგან, პარლამენტსაც და ამით დამნაშავეთა სამყაროს ორი ერთეულით შეამცირებდა.

თუ შევეხებით მიშას განათლებას ხალხური ტრადიციების და ჩვეულებების საქმეში, სიკეთეს ვერაფერს დავინახავთ. გავიხ-სენოთ 2008 წლის აგვისტო, მიშას მილიონიანი არმია და მათი ტაშ-ფანდურა, დემოკრატიის შუქურის არქიტექტორი აქ ტაშ-ფანდურას ორგანიზატორად გვევლინება. ქართველ კაცს გლო-ვას და მიცვალებულის დაფასებას ვერავინ ასწავლის. ამ ტაშ-ფანდურაში ძირითადი დამნაშავე პრეზიდენტია. ხალხს აქტიური წინააღმდეგობა არ გაუწევია, იმიტომ რომ მან მთავრობის მომ-

დურება არ მოისურვა: მიცვალებულებს მაინც აღარაფერი შველის და მთავრობას ნულარ გავანაწყენებთო და 400 დაუმარხავი მიცვალებულის პატრონმა პრეზიდენტის თაოსნობით გამართა ტაშ-ფანდურა, რაც ერის გაუპატიურებაა და დასჯას იმსახურებს.

ქართული კულტურისა და ლიტერატურის ქურუმს კარგად რომ ჩაეხედა „ვეფხისტყაოსანში“, გაიგებდა როგორი გლოვა იცის ქართველმა კაცმა. მამის სიკვდილით გამოწვეული მწუხარების შესახებ რუსთაველის ტარიელი ამბობს:

„მე წელიწადამდის ბნელსა ვჯექ საწუთრო გაცუდებული,  
დღისით და ღამით ვვაებდი სულდადებული“ (სტ. 335)

როცა ნესტანმა მამის სიკვდილი გაიგო:

„ქალი საპრალოდ მამას სტირს ბულბულისა მსგავსია,  
თმა გაიგლიჯა, გაყარა, ღანვი ცრემლითა ავსია,  
იხოვს და იგლეჯს ძახილით სტირს სიტყვა საფოუარე,  
სისხლი და ცრემლი თვალთაგან ჩამოსდის გარე უარე“ (სტ. 1591).

კომენტირებას საჭიროებს ასათიანის ლექსი, რომელსაც მეტაშ-ფანდურები მღეროდნენ: „ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ“.

პოეზიას, როგორც ხელოვნების დარგს, აქვს თავისი სპეციფიკა, რომლის მიხედვით იგი ცხოვრებას ასახავს. ის, რაც ხელოვნებაში ხდება, შეიძლება რეალურ ცხოვრებაში სისულელე იყოს. ოპერაში შეიძლება შესვლეთ ასეთ რამეს: მიდის ბრიგადირი გლეხთან ცეკვით და მიუმღერებს, კოლექტივში წამოდიო. ასეთი რომ რეალურად მოხდეს გლეხი ცოლს ეტყვის: გაუსულელებია კოლექტივს ეს კაცი და მის ცოლ-შვილს გადასძახე, მათი სულელი წაიყვანონ.

ახლა შევეხოთ ვაუა-ფშაველას, რომელსაც ჭადრის ძირში ამოსული იის გასაჭირიც კი აწუხებს. რას ამბობს მიცვალებულზე და სიკვდილზე: „სიკვდილსა გლოვა უხდება, მკვდარ ძმას ტირილი დისაო“ და არა ტაშ-ფანდურა.

შეიძლება კაცმა თქვას: ხომ მღერიან გასვენებაში მგალობლები საგალობლებსო, კი ბატონო, მღერიან საგალობლებს, რომელიც სევდიან განწყობილებას შეეფერება. მასში ისეა ხმები გაჭიმული მიწიდან ცისკენ, რომ იფიქრებ იგი მიცვალებულის სულს აცილებს მიწიდან ზეცისკენ. იგი საეკლესიო საგალობელია და არა ტაშ-ფანდურა.

ვინ არის დამნაშავე, რომ ერის პირველი კაცი მარტივ საყოფაცხოვრებო საკითხმი ვერ ერკვევა?! – პირველ რიგში სკოლა

და ოჯახი, მეორეში – თვითონ, მესამეში – მისი გარემოცვა... და ბოლოს ის, ვისთანაც ყოველგვარი ჭირი და გასაჭირი იყრის თავს – ხალხი.

თუ მოვინახულებთ სააკაშვილის მიერ აგებულ შადრევნებს და გადავხედავთ გაძვალტყავებულ ერს, რომელსაც თავისი შემოსავალი ვიტალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არ ჰყოფნის, გაგვიჩნდება კითხვა: რა ეშადრევანება ამ გაჭირვებულ ხალხს? ევროქართველებს შევახსენებ ევროპელი დალტონის სიტყვებს: რომ „ხალხს პირველ რიგში ესაჭიროება პური, მეორეში – სკოლა“, დანარჩენი შემდეგ.

გაახლებული მთავრობა აგრძელებს მიშასეულ ტრადიციებს. იგი ფულს კი არ ხარჯავს, ამტკერებს. კომპიუტერზე მოვისმინე, პარიზმა საახალწლო ცერემონიალზე გამოჰყო რვაასი ათასი დოლარი, თბილისმა მილიონ თხხასი ათასი, თბილისი ვერც სიდიდით, ვერც ეკონომიკური მდგომარეობით პარიზს საზარბაზნე მანძილზეც ვერ უახლოვდება, ხარჯებში კი ასწრებს. რატომ?! იმიტომ, რომ პარიზი ფულს გეგმიურად ხარჯავს, თბილისი კი ...

მე ჩავიარე საახალწლოდ „გამოპრანჭულ“ რუსთაველზე, უცბად ათას ერთი ლამის ქალაქში წარმოვიდგინე თავი. მაგრამ როცა პეტერბურგის ნეკრასოვისეული შეფასება გამახსენდა: „Столица наша прекрасна, богата через край, житъе в ней нищним трудноe, милионером рай“ – გუნდა წამიხდა.

მე ვიყავი სამებაში, მასზე აუგს პირველი მეჭორეც ვერ იტყვის. მისი არქიტექტორისათვის ალალია მარადიული ძეგლი, მაგრამ დამკვეთისათვის – არა. რადგან სამება შეუფერებელია საქართველოს ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისათვის. თბილისი რომ აფთიაქების, ლომბარდების და ბანკების ქალაქად იქცა, შევლა უნდა. იგი SOS-ის სიგნალს იძლევა. მადლობელი ვარ ჯაბა ექიმზე, რომელსაც უგრძენია ეს სიგნალი და ქვეყანას აუნყა „ჯობია ფული ექიმებში და წამლებში კი არა, სწორ და ჯანსაღ კვებაში დახარჯოთო“. მე ამას ვიტყვი, რომ ცარიელი სტომაქის პატრონს არც ეოპერება და არც ებალეტება, არც ეთეატრება და არც ეტაძრება. როგორც პომეროსი გვასწავლის: „ამ ქვეყნად ყველაზე დიდი სატკივარი ცარიელი სტომაქია“. ხოლო არც თუ ისე შორეულ წარსულში სერვანტესმა თქვა: „ჩვენი სხეულის კარგადმყოფობა კუჭჭი იჭედება“. მე ასკლეპიადების მოძღვრებისგან შორს

ვარ, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ სტომაქი საშინლად პრეტეზიულია ყველას მიმართ და ვინც არ უნდა იყო შენ, მატერიალისტი თუ იდეალისტი, უყურადღებობას და აბუჩად აგდებას არ გაპატიებს. შენი მატერიებით და იდეებით დროის გარკვეულ მონაკვეთში დაგაგდებს ძირს და დაგაყენებს მოუსავლეთის გზაზე. ზემოთ დასახელებული SOS ყველამ უნდა გაიგონოს, გაიაზროს და ხელი უნდა შეუწყოს სასურსათო პრობლემის გაგადწყვეტას. ამ საქმეში გენერლობა ასკლეპიადებმა უნდა გასწიონ, რადგან ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა ყველას საქმეა, მაგრამ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა მაინც მათ მოეთხოვებათ, პროფესიული და სამსახურეობრივი სპეციფიკის გამო.

თუ გავიხსენებთ ნეკრასოვის ლექსს: „В мире есть царь, етот царь: беспощаден. Голод назвоние ему“, მივხვდებით, რომ „ამ მეფის“ შეუბრალებლობას წინ ვერავინ ალუდგება. მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს აუცილებლად, დროულად და ხარისხიანად, რისთვისაც საჭიროა, სანარმოო ძალების ამუშავება და წარმოებული დოვლათის განაწილებაში სამართლიანობის დაცვა. არ უნდა მოხდეს ისე, როგორც ფრანგულ ანდაზაშია ნათქვამი „ვიზაც შრომობს, პურის ქერქს ხრავს, ვინც არ შრომობს, ხოხბის ხორცით იწყობს სადილს“.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
30.I.2018 წ.

## შაური – შენ, შაური მე, შაური მამაშენე

„კაცი ის არის, ვინც ხელიდან არცერთ შემთხვევას  
არ უშვებს ისე, სარგებელი არ გამოსძალოს“  
(გოგოეს „ფაუსტიდან“)

1992 წლის ზამთარში, როცა უკვე გამოცხადებული იყო პერესტროიკის ნაწყალობები დამოუკიდებლობა, ქართველები დაერივნენ ერთმანეთს და მათი სათაყვანებელი რუსთაველის პროსპექტი სამხედრო პოლიგონად აქციეს. მთავრობა თავის პრეზიდენტიანად ბუნკერში შედენეს და გარედან ცეცხლს და რკინას ესროდნენ. გარეთ მყოფები არ ეშვებოდნენ: დაგვნებდით თორებ გაგათავებთო. პრეზიდენტი და მისი კაცები გაჰყვიროდნენ: ხალხის მიერ არჩეული მთავრობა ვართ, თქვენ უნდა დაგვემორჩილოთო. პრეზიდენტი პრინციპზე დადგა და განაცხადა:

ორი კაცის მეტი რომ არ დარჩეს საქართველოში, მაინც მე უნდა ვიყო მათი პრეზიდენტით. მისმა იდეოლოგმა პეტრიაშვილმა ხალხს გამოუცხადა: სხვა იარაღი თუ არა გაქვთ, ჯაყვები ჩაიდევით ჯიბეში და ისე ჩამოდით თბილისში პრეზიდენტის დასაცავადო.

საკითხავია, რატომ მაინც და მაინც „მე“ უნდა ვიყო პრეზიდენტი?! მართალია, „მამაჩემის“ დიდკაცობას ვერავინ უარყოფს, მაგრამ... ეს მაგრამ არის კაცის და ერის თავის ტკივილი, ცხოვრებაც მარტივად მოიმართებოდა და სახელმწიფოც, რომ ეს მაგრამ არ გვიშლიდეს ხელს. „მე“ დიდი კაცის შვილი ვარ და ამიტომ სამართლიანი იქნება რომ ქვეყანა დამემორჩილოს... მაგრამ ორი საუკუნეა გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ქართველი პრეზიდენტები თითქმის არ იცნობენ, ან არ სცნობენ, მთელი ქვეყნის გასაგონად აცხადებს:

„ნიჭის მხოლოდ ზენა აძლევს კაცსა და არა გვარიშვილობა“

ამ მოწოდებას თუ „მე“ გავითავისებდი, ვერასდროს ვერ ვიტყოდი იმას, რაც ზემოთ ვთქვი: „ორი კაციც რომ დარჩეს“... ხომ შეიძლებოდა, რომ იმ ორიდან ერთს რომელიმეს ჩემზე მეტი უნარი ჰქონებოდა. ხალხის არჩევნებით დღეს ვერავის დაარწმუნებ შენს ღვთაებრივ წარმოშობაში.

1992 წლის ზამთარში მოსკოვის ტელევიზიამ გადმოსცა: თბილისში დიდი არეულობაა, მთავრობა „ბუნკერში“ ჰყავთ შემწყვდეული, ხალხი არ თმობს, მთავრობა არ ნებდება. მაგრამ საზოგადოების გარკვეული ნაწილი არაფრად აგდებს არც ხალხის და არც მთავრობის ინტერესებს... და აჩვენეს კოლმეურნეთა მოედანთან არსებული სასადილო (პივნი) მაგიდასთან მდგარი რამდენიმე მამაკაცი, რომლებიც ხინკალზე კონიაქს აყოლებდნენ და ხმაშენყობილად მღეროდნენ: „შაური-შენ, შაური-მე, შაური მამაშენს; სამ შაურად სულ გიყიდით შენ და მამაშენს“. იბადება კითხვა: ვინ არიან ეს კაცები, რომლებსაც არც მთავრობის ჯავრი აქვთ და არც ხალხის?! – ესენი არიან „მოხერხებული კაცები“, რომლებიც ერის სხეულზე ამოიზარდნენ და მას ისე შეეზარდნენ და სწოვენ სისხლს, როგორც საქონლის ტკიპა ბებერ ხარს... (ეს ტკიპა ყველაზე დიდი ღორმულელაა იმ არსებათა შორის, რომლის შესახებაც მე რაიმე მსმენია. იგი გაძლომით 250-ჯერ იმატებს წონაში. მას ნამდვილად აქვს უფლება განაცხადოს „კაცი“ ვარ და სტომაქი მაქვსო).

„მოხერხებული კაცების“ შესახებ ვიქტორ ჰიუგო წერდა: „რო-

გორც კი თავის ნაპირზე გარიყავს ზღვა რევოლუციას, მაშინვე მიესევიან მოხერხებული მოღვაწენი, რომ ნადავლი გაინაწილონ. ჩვენს დროში ამ მოხერხებულმა კაცებმა სახელმწიფო მოღვაწეთა სახელი დაირქვეს. ფესვი გაიდგა ამ სახელმა და დღეს ხალხში სახელმწიფო მოღვაწე მოხერხებულ ადამიანს ნიშნავს. მართლაც წუ დაივიწყებთ, რომ საცა მოხერხების მეტი არაფერია, იქ უთუოდ დაკნინებაც არის“.

ჩვენში „მოხერხებული კაცების“ ნაკლებობას ვერავინ იტყვის. ჰიუგოს დროინდელ საფრანგეთში თუ სახელმწიფო მოღვაწე მოხერხებული კაცს ნიშნავდა, თანამედროვე საქართველოში იგი ღმერთან არის გათანაბრებული, რაც მას ხშირად დაცინვის საგნად აქცევს.

შევარდნაძისტებმა 90-იან წლებში შექმნეს მითი: შევარდნაძემ ამერიკაში სამედიცინო კომისია გაიარა და 40 წლის კაცის ტვინი აღმოაჩნდაო. ჩვენ ვიცნობდით მეტნაკლებად შევარდნაძეს. მას 70 წლის ასაკში რომ 40 წლის კაცის ტვინი ჰქონებოდა, მაშინ იგი დეფექტური გონების უნდა ყოფილიყო. იგი რამდენიც არ უნდა ვლანძლოთ და ვაგინოთ დეფექტურობას ვერ დავსწამებთ ვერც ფიზიურად და ვერც გონებრივად.

რადგან მოხერხებაზე ვსაუბრობთ, რამდენიმე სიტყვა კიდევ ვთქვათ იმ კაცზე, ვინც გზად და ხიდად იყენებდა ყველას და ყველაფერს.

50-იანი წლების ბოლოს ნიკიტა ხრუშჩოვი ესტუმრა თბილისს. ხალხი მას უგულოდ შეხვდა. ახალგაზრდა შევარდნაძე ეახლა მას, გადაკოცნა და უთხრა: საქართველოს კომკავშირი მუდამ ერთგული იქნება სსრკ-ს კომპარტიისა და მისი ლიდერის. აქედან იწყება მისი აღზევება. გაჭალარავებულმა და მოხერხებულმა შევარდნაძემ დემონსტრაციულად დაწვა იმ პარტიის ბილეთი, რომელმაც იგი იმპერიის სათავესთან მიიყვანა და მამათელი „ყაზილარი“ მსოფლიოს კაი კაცად გააცნო. ასეთი კაცების სიუხვე მუდამ იყო და არის საქართველოში.

ორიოდე წლის წინათ მიტინგი ჩატარდა რუსთაველზე პედერასტების საწინააღმდეგოდ, ერმა და ბერმა ყველამ პროტესტი გამოთქვა მათ ლეგალიზაციაზე.

გავიდა დროის მცირე მონაკვეთი და პრემიერმა ლარიბაშვილმა ისე იოლად ააწევია ხელები პედერასტების ლეგალიზაციაზე 112 დეპუტატს, თითქოს ეს დიდი სასიკეთო საქმე ყოფილიყო. ასეთი

მოხერხებული კაცები იოლად მიდიან წინ მთავრობის სავარძლებისაკენ. პატიოსანი კაცი, როგორც ცხონებული დიმიტრი ყიფიანი ამბობდა: „იმიტომ ვერ მიიწევს მაღლა, რომ სწორი გზით მიდის“.

საჭიროა, მთავრობაში ისეთი კაცები გვყავდეს, რომლებსაც ყიფიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორი და სამართლიანი გზით უნდათ სიარული და ამის უნარიც აქვთ და არა ისეთები, რომლებსაც ოცი ხელი რომ გამოაბა, ყველას ერთად ასწევენ რომელიმე პრეროგატივის საამებლად.

თუ ერს ნამდვილად სურს არსებობის შენარჩუნება, მან უნდა განავითაროს თავისი პროგრესული ტრადიციები, მიიღოს უცხოეთიდან ის ჩვევები და ტრადიციები, რომელიც ჩვენს კულტურას წინ წასწევს, ჩვენ მივესალმებით ევროპაზე შეყვარებულ ჯეილებს, თუ ისინი: დანატეს და გოეთეს, შექსპირის და ბაირონის ჰიუგოს და ბალზაკის, ნოვალისისა და მიცეკვიჩის კულტურას შემოიტანენ, თორემ იმერელ კაცს, რომელზედაც პოეტს უთქვამს: „არიან ზრდილი იმერნი, მტერთა მიმცემნი რისხვისა“, პედერსატების დაცვაზე რომ დაუწყებენ ლაპარაკს, გადაარევ კაცს და იმ რისხვას, რომელსაც იგი მტრისთვის ინახავს, შენზე გადმოანთხევს.

ერმა აუცილებლად უნდა იზრუნოს თავისი ინტერესების დაცვაზე და „მოხერხებული კაცების“ გაპატიოსნებაზე. ისინი აუცილებლად უნდა დააყენოს კაი კაცობის და არა ციხეებისა და უცხოეთისკენ მიმავალ გზაზე. თუ სოციალურ საკითხს მოუვლი ისე, როგორც საჭიროა, ციხეებიც დაცარიელდება და დევნილთა რიცხვიც შემცირდება. მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ სოფლიდან დამნაშავე კაცის განდევნისა, რაც ჩვენში შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს: რომ აგდებს სოფლიდან სად – ვის უგზავნი, ვის რად უნდა შენი ოხერი. იგი შენია და ავად თუ კარგად შენ უნდა უპატრონო.

იმ „მოხერხებულ კაცებს“, რომლებსაც შეიძლება თაღლითები ვუწოდოთ, უნდა გამოაცალო არა არსებობის, არამედ თაღლითობის საფუძველი, თორემ ხომ ვხედავთ, რომ შენ და მამაშენს სამ შაურად გყიდულობთ. მე და მამაჩემი არაფრით არ ვართ უკეთესი შენზე და მამაშენზე, რომ ძვირად გვიყიდოს და ექვს შაურად ორივეს დაგვეპატრონება ჩვენი მამებიანად.

ზელიმ ჩაკეტაძე  
1.II.2018 წ

## მონარქისტები და პრეზიდენტი

„შვეიცარიელს რომ უთხრა, თავადი ხარო, იგი შეურაცხყოფად მიიღებს ამას და დაუყონებლივ დაგიწყებს მტკიცებას, -ჩემი წინააღმდეგ შემთხვევაში მდაბიორები იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალი თანამდებობის ღირსად არ სცობდნენ“  
პასკალი

90-აინ წლებში დაიწყო მრავალპარტიულობა და მრავალლი-დერიანობა. ლიდერობაზე მეოცნებებმა დაიწყეს გამომგონებლობა თავიანთი ემოციების დასაკმაყოფილებლად. ზოგიერთმა მათგან-მა პრეისტორიაშიც გადადგა ფეხი „საკბილოს“ აღმოსაჩენად. სა-ქართველოსა და რუსეთში მონარქისტებმა დაიწყეს ძებნა დიდგვა-როვანთა შთამომავლებისა, რომ მათი რეაბილიტაცია მოქმედინათ და ქვეყანა დიდგვაროვნობით გადაერჩინათ დალუპვისაგან. 90-იან წლებში საგაზიეთო სტატიაში ვწერდი: რუსმა ანარქისტებმა პარიზში მიაკვლიეს რომანოვების შთამომავალს ვლადიმერს და მეფობა შეს-თავაზეს. ვლადიმერმა პარიზის გაზიეთში განაცხადა, შთაბეჭდილება ისეთი დამრჩა, რომ ეს ადამიანები ჭკუაზე მწყრალად არიანო.

არც საქართველოში არიან რუსი კოლეგების მიმდევრები ჭკუასთან ძალიან ახლოს. 2000-იან წლებში ვიღაცას „შეუპრუ-ტუნა“ თავში რეალობისგან მოწყვეტილმა აზრმა: რომ დავითის დროს საქართველო ძლიერი იყო და თუ აღვადგენთ ბაგრატიონების დინასტიას, ერი აღორძინდებაო. მოიძიეს ბაგრატიონების შთამომავალი ქალ-ვაჟი და დააქორწინეს დიდი იმედებით, რომ ისინი საქართველოს ახალ დავითებს და თამარებს შესძენდნენ. უცნაურობაა ის ამბავი, რომ ადამიანებმა, რომლებიც საზოგა-დოების მართვაზე ოცნებობენ, ისიც არ იციან, რომ „ადამიანი ღვთის შვილია ყოველი და არა საჯიშე ცხოველი, რომელთანაც მეორე ცხოველის შეჯვარებით სასურველ შედეგს ღებულობენ მეჯოგები.“

ადამიანის ღვთაებრივ ნიჭიე ყველამ და ყველაზე მეტად კი თეოლოგებმა უნდა იცოდნენ, რომ დედის ორგანიზმში ნაყოფის გასულიერების დროს მასზე გავლენას ახდენენ კოსმიური ძალები (რომლის შესახებ ასტროლოგები იძლევიან მთელ რიგ განმარტებებს), ხოლო გასულიერების შემდეგ ნაყოფი ხდება ერთგვარი სინთეზი მიწიერი და ციური ძალებისა. თუ ნიჭიერება ციური ძალაა, სილამაზე ახოვანება და ფიზიკური ძალა მიწიერია და

დამოკიდებულია დედის ორგანიზმზე, მის ჯანმრთელობაზე, ნერვულ სისტემაზე და კვებაზე. დაბადების შემდეგ ბავშვი თავისი ციური და მინიერი ნიჭით აღზრდისა და გარემოს პროდუქტი ხდება. როგორსაც გაზრდი, ისეთი გეყოლება. ასე რომ ახალ დავითებზე და თამარებზე ზრუნვას არავითარი საფუძველი არა აქვს. ისანი შექმნა და გაზარდა იმ ეპოქამ, რომლის პროდუქტსაც წარმოადგენდნენ.

წარმოვიდგინოთ სასწაული, რომ დაიბადოს ახალი მეფე ერეკლე. რას იზამდა მისი ხმალი ახალ დროში?! სად ცხენი და სად ტანკი?! სად ხმალი და სად ტყვიამფრქვევი?! როცა სტალინს-ტები წინააღმდეგობას წააწყდებიან, ნატრულობენ ერთი ახლა იოსება გააცოცხლა. იმას კი აღარ ანგარიშობენ, რომ ტაქტიკა, რომლითაც სტალინი ხელმძღვანელობდა, დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე აღარ გამოდგება.

ფეოდალთა კლასი XIX საუკუნეში, როგორც ამას ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ ვკითხულობთ: დაჩიავებული, დაუძლურებული და დასაწყლებულია. მას ეროვნული ინტერესების დაცვა აღარ შეუძლია (იხ. ფრაგმენტი რომანიდან „ნარგიზების ფორზე“). „ჯაყოს ხიზნები“ ხომ ყველაზე დიდი დადასტურებაა დიდგვაროვანთა კლასის გამოფიტვისა და დაუძლურებისა.

ცხოვრებით უკმაყოფილო ხალხი გმირებით და ლიდერებით ფიქრობდა გაჭირვებიდან თავის დახსნას. ახლაც ხშირად გაისმის: ლიდერი არ გვივარება, თორემ უკეთესად ვიცხოვრებდითო. ნათქვამია, რაც ერი იგივ ბერიო. გამსახურდისა წიგნში წავიკითხე „ყოველი ხალხი იმ მთავრობის ღირსია, რომელიც მას შეუქმნია“. რაც შეეხება ლიდერს, ჯავახიშვილი გვეუბნება „ხალხი თუ ბობოქრობს, ბელადი ხის ფულუროდან ამოძრებაო“ (ე.ი. იოლად აღმოჩნდებაო). ასე რომ ლიდერის აღმოსაჩენად არ არის საჭირო პრეისტორიაში დაბრუნება, მაგრამ ქალ-ვაჟებს თუ დააქორნილებთ და დააკარვებთ, ამას ჩვენ ორივე ხელებით მივესალმებით.

ილია ჭავჭავაძე გვირჩევს: „მას ნუღარ ვსტირით რაც დამარხულა, მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“. დიახ, მომავალი უნდა მივსცეთ და არა პრეისტორია, თორემ ლამანჩელი რაინდის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

საქართველოში საკმაოდ დიდი არმიაა ადამიანებისა, რომლე-

ბსაც სწამთ დიდგვაროვნების უკეთესობა მდაბიოებზე, რაც არ მიმაჩინია სწორად. კაი კაცები დიდგვაროვნებშიც ბევრია და მდაბიოებშიც. ადამიანის სიდიადე უნდა განისაზღვროს მისი კაცობით და არა გვარიშვილობით ან ახოვანებით. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანისეული სწავლება: „ნიჭს მხოლოდ ზენა აძლევს კაცს და არა გვარიშვილობა“.

გვაროვნული უპირატესობის გრძნობას ადამიანი ზოგჯერ ყოყლორინობაში მოჰყავს, რაც თანამედროვე საზოგადოებისთვის მიუღებელია. კი არ უნდა იყოყლორინო რომ შენ დადიანი ან ერისთავი ხარ, არამედ შენს თავს უნდა დაუყენო მოთხოვნა: დადიანების მოდგმას არ მეკადრება: ქურდბაცაცობა, გაიძვერობა, სიცრუე, ყაჩალობა და ტუტუცობა. ასეთი შეხედულების კაცებს საზოგადოება ყველგან და ყოველთვის დააფასებს, დიდგვაროვანი იქნება იგი თუ მდაბიო.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
14.II.2018.

P.S.

ზემოთ მონათხობის დასამტკიცებლად, რომ ადამიანი წარმოადგენს სინთეზს მიწიერი და ციური ძალებისა, მოვიყავან ილია ჭავჭავაძის ლექსიდან: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა“. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის მიწიერი გარემო, რომლის შესახებ გალაკტიონი წერდა: „...მიჰქეროდა ის მერანი ფაფარაშლილი, რომ გადელახა დღენი ბნელნი, გზანი, ყორენი, იკანრებოდა ხალხის ბედით ბარათაშვილი, იმ ხალხის, რომელს თვალბედითი სდევდა ყორანი. ცხარე ბრძოლის ხმა ეპოქასთან გადაზრდილია ხმა ბრძოლისა და ხმა მონობის წინააღმდეგი...“. აი როგორმა ეპოქამ შობა ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულთა მთელი პლეადა. ამ ეპოქასთან პერესტროიკით გამოწვეული მოძრაობის შედარება შეუძლებელია, ისე როგორც შეუძლებელია ილია ჭავჭავაძესთან ცუნდრუკა პოლიტიკანების გატოლება.

17.II.2018.

P.P.S.

სტატიის ავტორი პლებეური წარმოშობის კაცია. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ობიექტურად მოაზროვნე დიდგვაროვანიც ზემოთ გამოთქმულ შეხედულებებს იმართება ჭეშმარიტებად მიღებს.

## პურუჟაზიული და სოციალისტური ლემოკრატიკი

„ლიბერალური დემოკრატიის ფორმალური თავისუფლება ცარიელი, უშინაარსო და შინაგანი წინააღმდეგობების მქონეა. – ფორმალურად თავისუფალი, თავის თავს მინდობილი ადამიანი ვერაფერს აწყობს და სოციალური შემთხვევითობების მსხვერპლი ხდება; სათამაშოდ იქცევა სამეურნეო კონიუნქტურის ხელში მუშაობრივად ძლიერი ფენების მონა გამოდის“. სემონ ფრანკი

თანამედროვე ადამიანი დემოკრატიის ორი სახეობის წინაშე დგას: 1. ბურუჟუაზიულის და II სოციალისტურის. აქედან პირველი გაბატონებულია, მეორე მასზე დაქვემდებარებული.

ბურუჟუაზიული დემოკრატია ევროპაში, აშშ-ში და აზიის ზოგიერთ ქვეყნებში ახერხებს საზოგადოების პოლიტიკურ მართვას და წარმოებული დოვლათის განაწილებას დიდი წინააღმდეგობების გარეშე, თავისი ფავორიტი მთავრობის მეშვეობით. ის დიდი წინააღმდეგობები, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVIII-XIX საუკუნეებში, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აღარ ყოფილა. ის პატარა დემონსტრაციები და მიტინგები, რომელსაც ხანდახან აწყობენ მოწინავე ქვეყნების ხალხები, დამახასიათებელი წიშანია დემოკრატიული მმართველობისა და მისი აკრძალვა არც შეიძლება, რადგან ხალხი აბსოლუტურად კმაყოფილი მთავრობის არც არის და არც არასდროს იქნება, რადგან საწარმოო ძალების ზრდა არითმეტიკული პროგრესითაც ვერ ხერხდება, ხოლო ხალხის მოთხოვნილება გეომეტრიულით იზრდება.

ჩვენ ვიცნობთ ბურუჟუაზიის გაუმაძლარ და მომხვეჭელ ბუნებას. იგი მუდამ ცდილობს რომ მოგება მოგებაზე დააჯდინოს. როგორც საქონლის თვითღირებულების შემცირებით, ასევე საბაზრო ღირებულების გადიდებით, მაგრამ მას ცხოვრების გამოცდილებამ ასწავლა, რომ ხალხის ინტერესების გაუთვალისწინებლობა არ მოუტანს ხეირს, (კარგი იქნებოდა ასეთი დაკვირვების უნარი ჩვენს მთავრობასაც ჰქონდა. მაშინ იგი ვეღარ დამოძღვრავდა ხალხს: „პური თუ ძვირია, ნამცხვარი ჭამეთო“. ამიტომ იძულებულია წავიდეს ხალხის წინაშე დათმობებზე. მათი ფავორიტი მთავრობის მიზანი, შეიძლება ითქვას თვითმიზანიც, ისაა, რომ მოარიგოს ხალხი და ბურუჟუაზია ერთმანეთთან – უთოფოდ და უზარბაზნოდ. ამიტომ იგი ავალდებულებს ბურუჟუაზიას, გაიღოს წარმოებული დოვლათის იმხელა ნაწილი, რომ საზოგადოების

მოთხოვნილებანი საშუალოდ მაინც დააკმაყოფილოს, რაც სო-ციალისტური დემოკრატიის აქტიურობას უნდა მიეწეროს.

თუ გადავხედავთ ქართულ დემოკრატიას, იგი მკვეთრად გან-სხვავდება მოწინავე ქვეყნების ბურჟუაზიული დემოკრატიისგან. ჩვენი ბურჟუაზიის ფავორიტი მთავრობა თვალებში შეჰვითოფინებს თავის შეფს და ცდილობს არაფერი აწყების. ხალხის მიერ იური-დიულად დაკანონიზებული მთავრობა ბურჟუაზიისგან იღებს წარ-მოებული დიოვლათის ნაწილს, რომ თავისი მოხელეები კარგად შეინახოს, ხოლო ხალხისთვის პურის ქერქი მაინც თუ გაამეტებია, სხვა რამეზე აღარ აწუხებს. სამაგიოროდ აძლევს უფლებას, ითარებოს ისე, როგორც მოესურვება. სხვას რას უნდა მიეწეროს 2018 წლის მაისში გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მიერ გამოქვეყნებბული ინფორმაცია, რომ „პენსიონერთა შემოსავლის დიდი ნაწილი მედიკამენტებზე იხარჯება... ჩვენს ორგანიზაციას აქვს გამოკვლეული, რომ ფასნამატი ხშირად 1000%-ს აჭარბებს ცალკეულ მედიკამენტებზე“ დიდი შეცდომა იქნება, რომ ასეთ მუშაობას ხალხის მომსახურეობა ვუწოდოთ, რადგან იგი ხალხის ძარცვაა ბურჟუაზიული დებულება, რომ „საქონლის ფასს განაპირობებს მასზე მოთხოვნილება“, ქართულმა დემოკრატიამ ხელში აიტაცა და თავის მუშაობის ქვაჯუთხედად აქცია.

მოვისმინე, რომ დასავლეთში კომერსანტს უფლება აქვს, გაუკეთოს საქონლის თვით ღირებულებას 12%-დე დანარიცხი საბაზრო ღირებულებაზე გადასაყვანად, ხოლო თუ ზღვარს გადააცილა, მაშინ მთავრობა ისე დაბეგრავს, რომ იძულებული იქნება თავისი სავაჭრო ობიექტი გააუქმოს, ასეთი კანონი აი-ძულებს მას, თავისი საქმიანობა დადგენილ წესებს დაუმორჩილოს, იზრუნოს ობიექტის უკეთესად მომარაგებაზე, რაც მისგან აქტიურ მოქმედებას მოითხოვს, რომლის გარეშე ადამიანი თავის ფუნქციას კარგავს, პასიურდება.

შეიძლება ითქვას, რომ ევროპელი კაცი ახლოს იყოს იმ გზას-თან, რომელსაც სოციალისტური დემოკრატიისკენ მიჰყავს ადა-მიანი, მაგრამ ქართველი კაცი მას საზარბაზნე მანძილზეც ვერ უახლოვდება. ამ სიშორის გამო დროის გარკვეულ მონაკვეთში მან ყურადღების ცენტრი უნდა გადაიტანოს ბურჟუაზიის იდეო-ლოგების მიერ დიდად მოწონებულ კერძო საკუთრებაზე და იზრუნოს მის მწარმოებლურობასა და სამართლიანობაზე.

ცხონებული ილია რომელიც სტალინის (ვფიქრობ რომ ობიექტური) შეფასებით „მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა“, გვასწავლის: „კერძო საკუთრება ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, სამართლიანად თუ უსამართლოდ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე მისევა, ვინ გინდა იყოს იგი, იაფი არ დაუკდება“. ბურუუაზიიდან უნდა მოვითხოვოთ მაღალმნარმოებლური შრომა და ხელიც უნდა შევუწყოთ, თარეშის უფლება ჩამოვართვათ თორემ 1000%-იანი მოგება არც მას აპარპაშებს დიდხანს და ხალხსაც დააზარალებს. კერძო საკუთრების ძირითად და ძლიერ დამცველს ბურუუაზიას ჰქონდა: უამი გაჩენისა და უამი ყრმობისა, რომლებიც უკვე გაიარა. ხოლო ნაყოფიერების უამს მას ოქტომბრის „სოციალისტურად“ წოდებულმა რევოლუციამ გასანადგურებლად შემოუტია და განუცხადა: „თქვენ უფლება არა გაქვთ არსებობდეთო“ არსებობა რასაც მანქანებით შეინარჩუნა, მაგრამ ნაყოფიერება დროებით შეწყვიტა და ახლა მან შუაკაცობის ულელი უნდა ქარის და მოამზადოს ნიადაგი ისეთი ნასვლისათვის, რომ ადამიანებმა წყევლა-კრულვით არ მოიხსენიონ.

საჭიროა იდეოლოგებმა ხალხს განუმარტონ, რომ არც „წითელ დიქტატურას“ და არც „დემოკრატიის შუქურას“ ჭეშმარიტ დემოკრატიასთან საერთო თითქმის არაფერი აქვთ. ისინი ისე ჰგვანან დემოკრატიას, როგორც პითეკანტროპი თანამედროვე ლამაზმანს.

იქ, სადაც სოციალისტური დემოკრატია დუმს, ხოლო ბურუუაზიული დემოკრატია თარეშობს, მთავრობა გვევლინება ისეთ აღმასრულებლად როგორც კრილოვს იგავშია ნათქვამი დათვმა ჰკითხა:

„ვერ გავიგე, სათხოვარი რა გაქვს შენო,  
მიბრძანე და აქ სუყველას ჩამოვაწყობ, როგორც ჭერსო,  
დავტორავ და ისე გავხდი, ვერ არჩევდეს რბილს და ძვალსო,  
მერე ვინ რას გაუბედავს შენს კანონს და სამართალსო“

სოციალისტური დემოკრატია ცალკეულ წინააღმდეგობათა გამო უპირისპირდება ბურუუაზიულ დემოკრატიას, როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგრამ მის თვისებებს როგორიცაა: სწრაფვა პროდუქციის თვითლირებულების შემცირებისაკენ, რაც მისგან დიდ შრომას მოითხოვს, მისწრაფებას საქმიანობისკენ, მომჭირნეობას, ყაირათობას და გეგმიურობას დიდად აფასებს.

მრავალი კაცის მიერ მრავალგზის ნალანძღვ-ნაგინები იოსებ

სტალინი გვასწავლის: „კაცი, რომელიც ანვითარებს წარმოებას, თავისთავად, თავისი ნებით თუ უნებლიერ ხელს უწყობს საზოგადოების წინსვლას“ ნურავინ იფიქრებს, რომ სოციალისტური დემოკრატია ამხანაგობიას თამაშობდეს და უმცროს-უფროსობის წინააღმდეგი იყოს, მაგრამ ეს უმცროს-უფროსობა არ უნდა ეყრდნობოდეს ჩაგვრას, ძარცვას, გაიძვერობას და სხვა მანკიერ მხარეებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ძველ ცხოვრებაში და საუბედუროდ ახალ ცხოვრებაშიც ცდილობს დამკვიდრებას.

ილიას ლუარსაბი მოურავს ასე მოძღვრავს: „თითებზედ დაიხედე, ერთი დიდია, მეორე პატარა. რისთვის? იმისთვის, რომ ღმერთს ასე გაუჩენია. დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს, აბა დაიხედე! განა არ დამიხედინა, შენი ჭირიმე, დიდიც არს და პატარაც, მაგრამ დაილოცოს ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს ხელს არ უშლიან – სთქვა ცბიერმა დათომა“.

უმცროს-უფროსობა არ იქნება ამხანაგობიას თამაში. იგი ხალხში უკამაყოფილებას და გულის ტკივილს აღარ გამოიწვევს, თუ ისე აეწყობა, როგორც ამას ჯონ მილტონი გვასწავლის:

„ჩვენ ერთნაირად მოგვიწოდებს ბუნებაც, ღმერთიც, მას ვმსახურებდეთ ვინც ყველაზე ღირსეულია, და ქვევრდომებს ყველაფერით აღემატება. მონაა იგი, ვინც უგუნურს ემსახურება. ან ღირსეულის წინააღმდეგ აღზევებულა“.

კომენტირებას მოითხოვს სოციალისტური დემოკრატიის გზის სიშორე ქართველი კაცისათვის. ეს სიშორე გამოიწვია იმ დაღმა, რომელიც ოქტომბრის „სოციალისტურად“ წოდებულმა რევოლუციამ დაასვა „ჰომო საბჭოელს“. სსრკ-ს დაშლის შემდეგ „ჰომო საბჭოელმა“ ჩაიბარა ყველა უფლება. ბიზნესიც და კომერციაც ყველაფერთან ერთად მის ხელში აღმოჩნდა, რამაც დაამუხრუჭა საქართველოში დემოკრატიის განვითარება ახალ დროში გადმოტანილი საბჭოური ჩვევები დიდ წინააღმდეგობებს იწვევს დემოკრატიულ მსოფლმხედველობასთან. მოვისმინე, რომ რომელიდაც კოოპერატივის თავმჯდომარე თავის წევრებს საწარმოს ბულალეტრიაში არ ახედებს. ასეთი მუშაობა ადამიანებს ერთმმართველობასთან მიიყვანს, რასაც დადებითი შედეგი არ მოჰყვება და ადამიანი, როგორც ეს ეპიგრაფშია გამოთქმული „ძლიერი ფენების მონა გამოვა. მას ხელში რჩება ლიბერალური ბურჟუაზიის ლიბერალური კანონი;

„თუ კი მგელმა საბრალო ცხვრის მოტაცება დააპიროს, ცხვარს ნება აქვს, რომ ის მგელი არ გაუშვას, დაიჭიროს“

ჩვენ ხშირად ვუპირისპირდებით მარქსისტებს იმაში, რომ ისინი თავიანთი ბელადის მიერ მიღებულ შეხედულებას, რომ „კერძო საკუთრება ბოროტების საწყისია“ უშუალოდ ღებულობენ.

წინაპართა აზროვნებაზე მსჯელობასას, პირველ რიგში მხედველობაში უნდა მივიღოთ ის დრო და სივრცე, რომელშიც ამათუ იმ მოღვაწეს მუშაობა უხდებოდა. მე ზემოთ ვისაუბრე იმის შესახებ, რომ თანამედროვე პირობებში ის წენვა-გლეჯის ბაზარი რომელთანაც საქმე ჰქონდა XVIII-XIX საუკუნეების ევროპას, დღეისათვის ისეა შერბილებული, რომ დიდი სოციალური დაპიროვანებანი ალარ გვაქვს, რასაც ვერ ვიტყვით მარქსისდრო-ინდელ ევროპაზე და მარქსის მსჯელობას დროისა და სივრცის გათავლისწინებით ჭეშმარიტებად ჩავთვლით.

თუ კერძო საკუთრებას შევაფასებთ, როგორც ცხოვრებისეულ მიდრეკილებას, აღმოჩნდება, რომ იგი ისეთი საშუალებაა, რომ ადამიანმა შეიძლება გამოიყენოს სიკეთისთვისაც და ბოროტებისთვისაც. დანა თავისთავად არც სიკეთეა და არც ბოროტება, მაგრამ ჯიბგირის ხელში იგი ბოროტების ჩადენის საშუალებად იქცევა, ხოლო დოსტაქრის ხელში – სიკეთის.

კერძო საკუთრება მაშინაა ბოროტება, როცა იგი ხელში უვარდება თაღლითებს და გაიძვერებს, მაგრამ ღვთაებრივი კაცების ხელში იგი დიდი სიკეთეა. ილიას ზაქროს მამა კერძო მესაკუთრეა, რომელსაც „ვერავინ ასწრებდა ვერც ხვნას, ვერც თესვას და ვერცა მკასა, ღმერთიცა იმას უხვად სწყალობდა და წყალობითა უვსებდა სახლსა“ მისი კერძო საკუთრება სიკეთეა, ხოლო მისი ბატონის ხელში, რომელთანაცა იგი სხვისი დაჩაგვრის საშუალებად ქცეულა ბოროტებაა

საკუთრების არც ერთ ფორმას არ უნდა მიეცეს ბოროტების საშუალება, რაც კაცთა ცხოვრებას წენვა-გლეჯის ბაზრად აქცევს.

არტელები, კომუნები, კოლექტივები, აქციები და კოპერატივები მაინც გაერთიანების მომხრე კაცების ჯგუფებია. რაც შეეხება ინდმეურნეს, როცა იგი შეხედავს, რომ კოპერატივში მრომა უფრო მომგებიანია, ვიდრე ინდმეურნეობაში თავისივე ნებით შეუერთდება მას და დაძლეული აღმოჩნდება კერძომესაკუთრული ტენდენცია. გამართლდება კარლ მარქსის შეხედულება, რომ

„ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია“.

რაც შეეხება წენგა-გლეჯის ბაზარს, რომელიც საუბედუროდ ყველგან ძლიერია და საქართველო ამაში პირველობას დიდხანს არავის დაუთმობს, მასტიმულირებელ ძალას დაკარგავს მაშინ, როცა სახელმწიფო შეძლებს, საქონლის თვითღირებულებას-თან დაახლოვოს საბაზრო ღირებულება, უკეთეს შემთხვევაში დაამთხვიოს ისინი ერთმანეთს. აյ შეიძლება იფიქროს კაცმა, თუ მენარმემ მოგება არ ნახა, რატომ იმუშავებსო. მოგებას სუბიექტური გაგებით ეძახიან იმ ღირებულებას, რომელსაც იღებენ არა საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის მიხედვით, არამედ მის ზევით. ობიექტურ მოგებად შეიძლება ჩავთვალოთ საქონლის დროულად და უდანაკარგოდ გასაღება მუშა ხელის დასაქმება და სხ. აյ უკვე საქმე გვაქვს ორმაგ მოგებასთან. გამყიდველი იგებს იმით, რომ მან თავისი პროდუქცია გაანალდა და მყიდველი იმით, რომ საჭირო ნივთი შეიძინა, ისე რომ იგი არც ფასში მოუტყუებიათ, არც რაოდენობაში და არც ხარისხში. თორებ რომ ამბობენ, ამ კოპერატივმა სამეურნეო წელი ამდენი ათასი მანეთის მოგებით დამტავრაო, ეს იმის ნიშანია, რომ მან მანეთიანი ნივთი თუმნად გაყიდა. ასეთი მოგებით ის ცხონდა, მაგრამ ხალხი წაწყდა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ერთი კაცი უფრო სწრაფად იცვლის მერსედესებს, ვიდრე მეორე იაფფასიან პერანგებს.

თუ გვინდა შევამოწმოთ სახელმწიფოში წარმოებული დოვლათის განაწილების სამართლიანობა, პირველ რიგში უნდა შევამოწმოთ თუ რა მანძილით უხსლოვდება საქონლის საბაზრო ღირებულება ამავე საქონლის თვითღირებულებას და რაც ახლოა ერთმანეთთან ეს ორი ღირებულება მით უფრო სამართლიანია სახელმწიფო, რაც შორსაა – პირიქით, უსამართლოა.

სახელმწიფო აუცილებლად უნდა იყოს გარანტი იმ ორი ღირებულების დაახლოებაზე რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი, რაც მას ხალხის თვალში დიდად აამაღლებს და პატივისცემისა და დაფასების ღირსად აქცევს.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
2.VII.2018წ.

## ქართული დემოკრატია და სტრაქტის კაცები

„2015 წლის ბიუჯეტში ხელისუფლების შენახვის ხარჯი 43%-ა. დედამიწის ზურგზე ვერ იპოვით სახელმწიფოს, სადაც ერთი მუჭა ხელისუფლების

შენახვა ამდენი ჯდება“.

**შურნალი „ვზა“ №243 2015.**

„უმჯობესია დიქტატორი რომელიც ხალხს ემსახურება, ვიდრე პარლამენტი რომელიც პარტიას ემსახურება“

**უინსტონ ჩერჩილი**

ყოველგვარი შემოსავალი რომელიც არ შეესაბამება მასზე დახარჯულ შრომას, უპატიოსნოა“

**ლევ ტოლსტიო**

„პერესტროიკისგან“ შობილმა ეროვნულ-გამანადგურებელმა მოძრაობამ, რომელიც ეროვნულ-გამანთავისუფლებლად მონათლეს, XXI საუკუნის 10-იან წლებში თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია. ამ დრომდე საქართველომ დაკარგა მიწების 20%-ი მოსახლეობის კონტიგენტი 5-დან 2 მლნ-მდე დაიყვანა. გაანადგურა სამრეწველო და სასაოფლო-სამეურნეო ობიექტები. თითქმის მთლაიანად მოშალა სახელმწიფო საკუთრება და ვაჭრობა. ჯერჯერობით მხოლოდ რეინიგზაა გაუყიდელი და თუ ჩვენებულ დემოკრატიას ღმერთმა ხელი მოუმართა იმასაც მალე „მიაპრადალებს“.

საზოგადოების ძირითადი ნაწილი გამოუვალ ეკონომიკურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. აღარ არსებობს მოსახლეობის ქონებრივად საშუალო ფენა. მისი მნიშვნელობანი ნაწილი წინა აზისა და ევროპის ქვეყნებს ეშვილა. ძირითადი ნაწილი პაუპერიატის რიგებს შეუერთდა „ხოლო მცირე ნაწილმა ბიზნესთან შეგუება მოახერხა, ან მთავრობის სამსახურში შეძვრა. ქვეყანას ხელში შემორჩა მოსახლეობის ორი ერთმანეთთან შეურიგებელი ფენა პაუპერიატი და პლუტოკრატია. პაუპერიატმა თუ პროლეტარიატის დონეზე მაინც შესძლო ასვლა, იგი აუცილებლად იბრძოლებს პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების მოსაპოვებლად.“

ერმა უნდა აღიდგინოს თაღლითების მიერ შელახული პატრიოტიზმის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის გრძნობები, რომელთა გარეშე მისთვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს და ისიც მხოლოდ არარაობისკენ მიმავალი. უარსაყოფია კაცთა შორის დამოკიდებულების ის შეხედულება, რომლის მიხედვით „კაცი კაცისთვის მგელია“ ამ შეხედულებამ დიდად შეუწყო ხელი უცხოეთიდან შემოსული „ფარული ხელის“ მუშაობას, რომელმაც ისედაც

წენვა-გლეჯის ბაზრად ქცეული ქვეყანა, კიდევ უფრო გააჩანავა. ამ წენვა-გლეჯის ბაზარს ქალივით სიამოვნებს რომ მას ძლიერი ხელი პატრონობს შინაც და გარეთაც. ამ ძლიერი ხელის მორევა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ ამ ქვეყნად შეუძლებელი თითქმის არაფერია. ისეთი ციხე ჯერ არ აშენებულა რომლის დანერგვა არ შეიძლებოდეს, თუ კი კაცი გონების ძალას მოიკრებს და გამოიყენებს თორემ მარტოოდენ მუშტი თუნდაც ფოლადისა ვერაფერს გახდება, თუ მას გონიერი თავი არ მართავს. იმ თითქოს აუღებელი ციხის ასაღებად № პირველ საშუალებას წარმოადგენს იმ სამი დიდი გრძნობის აღდგენა რომელიც ზემოთ მაქვს დასახელებული.

უკიდურეს გაჭირვებას და უკმაყოფილებას მოსახლეობაში იწვევს ორი ძირითადი ფაქტორი: 1. სანარმოო ძალების ჩამორჩენილობა და ॥ განანილების პრინციპის დარღვევა ჩვენში ორივე ფაქტორი ჩამორჩენილობის ზენიტშია აყვანილი. სად გაქრა იმოდენა მრეწველობა, რომელიც „კოლონიურ საქართველოს ჰქონდა?! სამამულო წარმოებისას ჩვენში ლურსმანსაც ძნელად თუ ნახავ სადმე, თორემ დანარჩენზე ლაპარაკი ზედმეტია. ქვეყანა, რომელსაც ყველაფერი შემოაქვს მიწების, ნედლეულის გაყიდვისა და ვალების ხარჯზე, განწირულია დასალუპავად. რაც შეეხება განანილების პრინციპს, არა მგონია, რომ რომელიმე ქვეყანაში ისე იყოს იგი დამახინჯებული როგორც ჩვენშია სტატიის ეპიგრაფში გამოთქმული აზრი გვატყობინებს, რომ „ერთი მუქა მთავრობის“ შენახვისათვის ერთ თავისი სახელმწიფო ბიუჯეტის 43%-ს ხარჯავს.

1941 წლის ზაფხულში სტალინმა სტუმრად მისულ მეგობარს უთხრა: „ჩვენ ომს მოუმზადებელი არ შევხვედრივართ. უკანასკნელ წლებში ბიუჯეტის 40%-ს შეიარაღებაზე ვხარჯავდით. როცა მეგობარმა უთხრა „Матю“, გაკვირვებულმა მასპინძელმა ჰკითხა: „Разве это мала“.

სამხედრო მანქანად ქცეული ევროპის წინაშე მდგარი ჩვენი თანამემამულე სახელმწიფო ბიუჯეტის 40%-ის გალებას სამხედრო საქმისათვის, დიდ რისკად მიიჩნევს, ხოლო ქართულ დემოკრატიულ მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის 43% ეცოდავება თავისი სტომაქის ამოსაყორავად და უახლოეს პერიოდში მას გაზრდის. ამის სიმპტომები უკვე არსებობს.

ვინც პრეროგატივების ჯამაგირებს გადახედავს, განცვიფრ-

დება. 2018 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2017 წელს 12 თვეში საქართველოს სახელმწიფო ელექტორაციულმდღვანელმა 346 700 ლარი მიიღო ჯამაგირის სახით, საპარტნიორო ფონდის უფროს-მა დავით სალარიძემ – 336 000 ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველმა კობა გვენეტაძემ – 234 000 ლარი.

პენსიონერებისათვის კი 2-3 წელიწადში 20 ლარიან მატებას თუ გაიმეტებენ თუნდაც ინფლაციის ხარჯზე, ესეც დიდი და საამაყო საქმე იქნება.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტები ამტკიცებს, რომ საქართველოს მთელი ეროვნული შემოსავლის უდიდესი ნაწილი რესპუბლიკის პრეროგატივების და მათი ფავორიტების სტომაქების ამოყორვას ხმარდება.

წარმოებული დოკუმენტის ასეთი განანილება გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს მდაბიო ხალხს, ხოლო პრეროგატივებს და მათ ფავორიტებს ფუფუნებაში აცხოვრებს. პირველი ცდილობს გაექცეს ასეთ ცხოვრებას, მაგრამ ვერ ახერხებს და უკიდურეს გაჭირვებაში აგრძელებს არსებობას. ხოლო მეორე – განუსაზღვრელ ფუფუნებაში მცხოვრები, ლუარსაბ თათქარიძესავით ყორავს სტომაქს ხორავით. ავსებს სახლს ანტიკვარული ნივთებით და წარა-მარა იცვლის მერსედესებს, სანამ მიქელ-გაბრიელი არ გამოუცხადებს: ამოინურა თქვენი მოღვაწეობის დრო ამ ქვეყნად ბატონი „ხალხის რჩეულო“. თქვენ დიდი ღვაწლი მიგიძლვით ამ ქვეყნიური ცხოვრების წინაშე, ფასდაუდებელია თქვენი ამაგი ამ ქვეყნად ხორავის განადგურების საქმეში, იქ ღმერთი როგორ დაგაჯილდოვებს ეს მისი ღვთაებრივი ნებაა, ხოლო ამ ქვეყნად მადლიერი თაობები, როგორც ხორავის უდიდეს გამნადურებელს ისეთ ძეგლს აგიგებენ, რომელზედაც პუშკინი იტყოდა: „Вознесся выше он главою непокорной Александрийского столпа“.

სტომაქის კაცები თაყვანს სცემებ თავისი კეთილდღეობის საფუძველს წერვა-გლეჯის ბაზარს. ხალხმა უნდა შესძლოს (ვფიქრობ რომ ადრე თუ გვიან შესძლებს) ისეთი კაცების ხელისშეწყობა და ზედაპირზე წამოტივტივება, რომელთა დახმარებით იგი შესძლებს სტომაქის კაცებთან ბრძოლას, მაგრამ ეს მანამდე არ მოხდება სანამ სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ... თბილისში ნიჭიერი ადამიანები ქუჩაში გიყრიათ“. ხოლო სტომაქის კაცები სარგებლობენ იმ სიკეთით

რომელსაც ხალხი მათზე მზრუნველი კაცებისათვის იმეტებს. მაგრამ ეს იოლად არ მოხერხდება და რადგან ცხოვრება პრძოლაა და არა სეირი ხალხმაც და იმ ნიჭიერმა კაცებმაც რომელთა ბედი იოხებ სტალინს დიდი ხნის წინათ შეუმჩნევია, ყურიდან ბამბა გამოიღონ ერთ-მანეთს მიხედონ და სტომაქის კაცების მაგივრად თვითონ მართონ თავიათი ბედი. თორემ ხელავთ, რომ სტომაქელები ისე მოსწყდნენ ცხოვრებას, რომ ხალხის გაჭირვებაზე მახსხარაობენ კიდეც. სხვას რას უნდა მიეროოს პრეროგატივის მიერ ხალხისადმი მიცემული რჩევა: „პური თუ ძვირია, ნამცხვარი ჭამეთ“.

ასეთი პრეროგატივების ხელში ხალხს დაკარგული აქვს მთავრობის ღონისძიებებისადმი რჩმენა. სხვას რას უნდა მიერწეროს ის მდგომარეობა რომ კარზე მომდგარი არჩევნების წინ დეპუტატობის კანდიდატების შესახებ ხალხში ერთსა და იმავე შეფასებას მოისმენ: „რუსეთის კაცია, ამერიკის კაცია, ევროპის კაცია, ივანიშვილის კაცია“. მაგრამ ვერავისგან ვერც ერთი კანდიდატის შესახებ ვერ მოისმენ „ხალხის კაციას“ და ამომრჩეველთა დიდი ნაწილი საერთოდ არ ცხადდება არჩევნებზე 2017 წლის 8 ოქტომბერს ამომრჩეველთა 49% არჩევნებზე არ გამოცხადდა. აი სანამდე მიჰყავს საზოგადოება მესტომაქეობას და მთავრობის უნიათობას.

ცხოვრება ცვალებადია, იგი იცვლება ხან ევოლუციურად, ხან რევოლუციურად. არსებობის შენარჩუნებას ყველა და ყველაფერი ცდილობს, მაგრამ მიუხედავად ამ აქტიურობისა ყველაფერი იცვლება ზოგი ადრე ზოგიც გვიან, მხოლოდ წენვა-გლეჯის ბაზარი რჩება უცვლელი კაცობრიობის 5500 წლიანი ისტორიის მანძილზე ეს „მათუსალა“ სიბერის მოუხედავად დასუსტების მაგივრად ძლიერდება. ანტეოსი თუ მიწიდან იღებდა ძალას, ეს დრაკონი კაცთა შორის დამოკიდებულების მგლური კანონებით საზრდოობს.

საზოგადოება ელოდება ახალ ჰერაკლეს, რომელიც მოსწყვეტს კაცთა ცხოვრებაში ფესვგადგმულ სატანას ნაშიერს თავის მასაზრდოებელი წყაროდან და დანტეს ჯოვანპხეთის ჯურლმულში გადაისროლას.

ხოლო კაცთა ძირითადი მისიაა, შეუქმნას იმუნიტეტი ბებერ ხარს (როგორც სიმბოლოს შრომის, პატიოსნების და კეთილის ძალისა) და ხელი შეუწყოს ახალ ჰერკულეს თავისი მისიის შესრულებაში.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**

**2-IX-2018წ.**

## „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მინახე!“

ბებერი ლომი ვირმა დაწიხლა,  
თქვა: რომ სიკვდილი უამესია,  
მომკალით სადმე, ძნელია, მაგრამ  
ვირისგან წიხლი უარესია.“

ი. კრილოვი

„თუ ვერ მოვუვლით, ვერ ვუპატრონებთ,  
კარგი შვილები რად გვეძადება?!“  
ვაჟა-ფშაველა

XX საუკუნის 50-იან წლებში სსრკ-ის კომპარიის XX ურილო-ბის შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა სტალინოფილებსა და სტალინო-ფობებს შორის, რომელიც დღემდე გრძელდება და გაგრძელდება მანამდე, სანამ ფართო საზოგადოება არ მიიღებს ობიექტურ ცნობებს სტალინის ავკარგიანობის შესახებ.

ამ კაცზე მსჯელობას ერთგვარად ართულებს მისი პერსონი-სადმი ხალხის დამოკიდებულება. უცნაურ კაცს ბედიც უცნაური დაჰყვა. ამ გულცივ ქვეყანაში მისადმი ნეიტრალური თითქმის არავინაა, იგი ან უყვართ, ან სძულთ, ორივე მხარეს აქვს მისადმი დამოკიდებულების ანგარიშგასანევი საფუძველი.

ჩემს საგაზეთო სტატიას „სტალინი დემოკრატი თუ დიქტა-ტორი“, რომელიც უკვე შეტანილია ჩემსავე წიგნში „ხმა ამოიღ... ეპიგრაფად წამდლვარებული აქვს ბიბლიური სიბრძნე, „არა არს კაცი, რომელიც ცხოვნდეს და არა სცოდოს“ (გვ. 101) მაშინ მე გამართლება მივეცი 30-იან წლებში სტალინის მიერ ჩატარე-ბულ არა რეპრესიებს (ამისგან ღმერთმა დამიფაროს) არამედ ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში და ერთგვარი გამართლება მივეცი კოლმეურნეობასაც, როგორც მოსალოდნელი ომის წინაშე დამდგარი სახელმწიფოს სამეურნეო ღონისძიებას.

იმდორინდელმა მდგომარეობამ სტალინი დააყენა დილემის წინაშე, ან ხელი უნდა შეეწყო კულაკურ-ბურჟუაზიული წარ-მოებისათვის და გამხდარიყო მასზე დამოკიდებული, როგორც სახელმწიფოს მარჩენალ ძალაზე, ან უნდა მოეხდინა ქვეყნის კოლექტივიზაცია“ (გვ. 102) კულაკურ-ბურჟუაზიულ მეურნეო-ბაზე ზრუნვა გამოიწვევდა ისეთ დემოკრატიას, როგორიც უკვე გვაქვს უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში. ასეთ დემოკრატიულ სახელმწიფოს რომ ჰიტლერი ძველი საბუდარი-

ვით მიანგრ-მოანგრევდა, ვფიქრობ, რომ ამას ჩვენი უპადრუკი საშუალო სკოლის საშუალო მოსწავლეც მიხვდება.

რაც შეეხება სტალინოფობების შეხედულებას, 37-ში ჩატარებულ ღონისძიებებს ბევრი უდანაშაულო კაცი შეეწირაო (თუ ეს მართლა ასეა) მაშინ ამ ღონისძიების ავტორის დაცვა არც ერთ ლვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებულ სამართალდამცავს არ შეუძლია, არა მგონია, იმაზე საშინელი ცოდვა არსებობდეს კაცთა ცხოვრებაში, ვიდრე უდანაშაულო კაცის დასჯაა. იუსტინიანეს მოძღვრება გვასწავლის: რომ უმჯობესია 100 დამნაშავე დაგრჩეს დაუსჯელი, ვიდრე მათ ერთი უდანაშაულო მიაყოლოო. ქრისტიანობას სხვა რომ არაფერი დაუმადლონ თაობებმა, იმაში მაინც ეკუთვნის ძეგლი, ღმერთებისადმი ადამიანის მსხვერპლად შენირვის ტრადიცია რომ გააუქმა. თუ ვინმე უდანაშაულო კაცის დასჯას ამართლებს, იგი საშიში და ცოდვილი სულია. იყო კი რუსეთისა და საქართველოს კულაკური ბურუჟაზია უდანაშაულო იმ სახელმწიფოს წინაშე, რომელსაც კომუნისტებმა სოციალისტური უწოდეს?! არ შევაწუხებ მკითხველს იმ ამბოხებებისა და ტერაქტების დასახელებით, რომელსაც კულაკები უწყობდნენ ახლადგაფორმებულ კოლექტიურ მეურნეობებს. ამბოხს გამართლება მხოლოდ მაშინ შეიძლება მივცეთ, თუ იგი ხალხს პროგრესისკენ ექაჩება. რაკი ჩვენ მივეცით კოლექტივს გამართლება, როგორც მოსალოდნელი ომისათვის მზადების წინაპირობას, გამოიდის რომ კულაკების მიერ მოწყობილი ამბოხებები რეგრესიული იყო და რეგრესიული ამბოხებების ჩახშობა რეპრესია კი არა სამართლიანი ღონისძიებაა. რადგან იმ დროს კოლექტივზე თავდამსხმელი აუძლურებდა სახელმწიფოს და წყალს ასხამდა სვასტიკებიანი დრაკონის წისქვილზე.

რაც შეეხება სამამულო ომს, ფართო კომენტირებას არ საჭიროებს ის საკითხი, რომ აქ სტალინი გვევლინება როგორც კაცობრიობის დემოკრატიული ნაწილის ნების აღმსრულებლი, რომლის არა მარტო მიზანს, არამედ თვითმიზანსაც ფაშიზმის დასამარება წარმოადგენდა.

ყურადღების ღირსია სტალინის დამოკიდებულება მშობლიური ერისადმი. საქმეში ზერელედ ჩახედული კაცებისგან გამოგონია, თითქოს სტალინი სამშობლოს ბედისადმი გულგრილი ყოფილი-ყო, რაც არ მიმაჩნია სწორად. იგი არ ეკუთვნოდა ძლიერთა იმ

პლეადას, რომლებისთვისაც „ყველა მიწა მშობლიურია“ სხვა დიდი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით იგი სამშობლოსადმი გულთბილი დამოკიდებულებისა იყო. მთელი ცხოვრების განმავლობაში ჯერ კიდევ ბავშვობაში დაწერილი ლექსი, რომელსაც დღესაც სწავლობენ და მღერიან, მშვენიერი ნიმუშია ქართული პატრიოტული პოეზიისა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მწვავედ განიცდის ახალგაზრდობის პერიოდში თბილისის დატოვებას. გავეცნოთ მის საუბარს 50-იან წლების დასაწყისში, რომელიც აკაკი ვასაძესთან ჰქონდა: „მე მქონდა ბედნიერება თბილისში მემუშავა. გაცხარებულ დისკუსიებში მენშევიკების უნიათობა რამდენჯერ გამოვააშკარავე, რამდენჯერ მინაზე ორთავე ბეჭით დავაკარი ცნობილი ორატორები, მაგრამ... წარმოიდგინე, რომ მუშებმა არ მომისმინეს და ბაქოში გადამისროლეს, ზოგიერთ-მა რევოლუციონერმა მოღვაწებმა. ჰმ, რა მინდოდა მე ბაქოში?! თქვენ გაგაგდეს? ისევ გულუბრყვილოდ შევეკითხე მე – დიახ, დიახ! მე მარტო მენშევიკებს არ ვუტევდი. მუშებს შორის წვრილბურუჟუაზიული თვისებების მამხილებრელიც ვიყავი. თვითონ თბილისის მუშათა კლასის წარმომადგენლებსაც ვამხელდი არა რევოლუციურ გადახრებში და მაინც და მაინც არ მოვეწონე. – რაღაც გაუგებრობას ექნებოდა ალბათ ადგილი – გაუგებრობას კი არა აგერ მომისმინე: თბილისის მუშების საქმაოდ დიდ ნაწილს გარეუბნებში მინის პატარა ნაკვეთები ჰქონდათ. იქ დადიოდნენ, მოჰყავდათ ბოსტნეული, ხილიც ჰქონდათ იმდენი, რომ ყველა-ფერი ეს ბაზარში გაეტანათ და გაეყიდათ. ეს ნაწილი მუშებისა არხეინად გრძნობდა თავს და უკვე იმათზე აღარ შესტკიოდათ გული, ვისაც ეს მცირე ნაკვეთები არ ჰქონდათ. ერთსულოვნებისა და თანაბარი აქტიურობისკენ რომ მოვუწოდებდი, ამიტომაც არ მოვეწონე ბევრს და ბაქოში მომიხდა გადასვლა. ...თითოეული ინტელიგენტი თავისკენ ექაჩებოდა საქმეს, თავის ინტერესებს უმორჩილებდა ზოგად იდეებს, როგორც ვხედავთ, საქართველოში ნიჭიერები ქუჩაში გიყრიათ! აი თქვენი თბილისიც“.

როგორც ვხედავთ, იმოდენა ინტელექტის კაცმა როგორც სტალინი იყო, ვერ მოახერხა ჩვენს მუშათა კლასთან და ვერც ინტელიგენციასთან თანამშრომლობა. აյ საქმე გვაქვს ორ ძირითად გარემოებასთან 1 ქართველი კაცის კერძო მოსაკუთრულ ბუნებასთან და || სტალინის პიროვნულ სიდიადესთან, რომელიც

თავისი გიგანტური ბუნების გამო ვერ შესძლებდა ისე დაპატარა-ვებას, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთში ჩატეულიყო. აინშტაინი ამბობს მეცნიერება არის ის, რაც არის... და არა ჰიპოთეტური ასე რომ მომხდარიყო “თბილისის მუშათა კლასმა და მისი ინტე-ლიგენციის უბადრუკმა ნაწილმა, რომელიც თავის საკარმიდამო ნაკვეთს ზოგადეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე მაღლა აყენებდა, თავიდან მოიცალა „რეგრესულად“ მოაზროვნე მოამბოხე, იოსებ სტალინი. აქ შეიძლება „პატარა“ კაცმა თქვას გაგდებულმა კაცმა შური იძია შეურაცხმყოფელზე და შეიძუ-ლა იგიო. მაგრამ ასეთი მკრეხელობა კაცს მხოლოდ შეცდომაში შეიყვანს და არა ჭეშმარიტებაში. კაცი, რომელიც კაცობრიობის უდიდეს კაცთა ასეულშია შეყვანილი არ შეიძლებოდა შური ეძია მთელ ერზე, რომლის ერთობლივი ინტერესების დამცველი არც „მენაკვეთე“ მუშები იყვნენ და არც მენშევიკები მისი ასე დაპა-ტარავება შეუძლებელი კი არა წარმოუდგენელიცაა.

რაც შეეხება რუსის ჯარის გამოგზავნას კავკასიაში, თუ გადა-ვხედავთ იმდროინდელი სტალინის მდგომარეობას, მივხვდებით, რომ იმ პერიოდში იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა იმოდენა ავტორიტეტს, რომ მთავრობის გადაწყვეტილება თავისი შეხე-დულების მიხედვით შეეცვალა, გავიხსენოთ ტროცკი, ზინოვევი, ბუხარინი და სხვები, რომლებიც ხშირად ენინაალმდეგებოდნენ მას, ასე რომ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ რუსის ჯარის გამოგზავნაში იგი უბრალოა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებების კაცს უნიათ მემშევიკების ბატონობა საქართველოში დოდად არ მოეწონებოდა.

მცდარია აზრი, თითქოს სტალინი საქართველოს ყურადღებას არ აქცევდა, მან საქართველოს საზღვრების გაფართოვებაც კი განიზრახა. ჩრდილო კავკასიაში მიწები მისცა ბერიამ იქ ქართვე-ლები ჩაასახლა, მაგრამ როგორც კანდიდ ჩარკვიანი ამბობდა: იქ არ ჩერდებოდნენ, მორბოდნენ უკან და ეხვენებოდნენ ქლუხორში ნუ გაგვაგზავნიო.

მაიაკოვსკის ლექსში: Долгую жизнь товарища Ленина нада писать и описывать за нова“ კარგი იქნება თუ სიტყვა ლენინის მაგივრად სტალინს ჩავსვამთ, რადგან ლენინი უკვე შესწავლილია და სტალინი – შესასწავლი. იგი ერთი შეხედვით ისე ახლოსაა ხა-ლხის ცხოვრებასთან, ტრადიციებთან, ზნე-ჩვეულებებთან, რომ

მისი მთელი რიგი თვისებები კაცს აფიქრებინებს, ეს კაცი ჩვენ-ნაირია. მაგრამ როცა ღრმად დაუკავირდება იტყვის ზეკაცია. საილუსტრაციოდ მოვიყვან მის საყვედლურს თბილისიდან ჩასული სტუმრებისადმი, რომელიც მას ქართული პაპიროსის კოლოფზე მიხატული ქალის დანახვაზე უთქვამს: „უშვებთ პაპიროსს და ყუთზე კი ფეხებგაფარჩეული და გულმოლლეტილი ქალი მიგირავთ. ვის წარმოადგენს ეს ქალი ძველს, ახალს, თუ მომავალ საქართველოს!... ამის დამხატვას სინდისი არ გააჩნია. ქართველი ქალი ფეხებგაჩაჩეული, გულმოლლეტილი მეძავის სახით რომ გამოუყვანია ასე საქვეყნოდ“.

ძველი რომაელები იტყვიდნენ: „გონიერისათვის ორიოდე სიტყვა საკმარისიან“. დაკვირვებული მკითხველი მიხვდება რა დიდი დამცველია სტალინი ხალხის ტრადიციული ნორმებისა.

ქართულ პრესაში გახმიანდა აზრი: „სტალინი ძალლივით ერთგული იყო რუსეთისაო“ რაც არ მიმაჩნია სწორად. აქ შემდარებელი ვერ ითვალისწინებს ვერც ძალლის და ვერც სტალინის ბუნებას. ჩერნიშევსკი ამბობდა: ის, ვინც შეადარეს, ყოველთვის დაბალია იმასთან, რასაც შეადარესო, თუ გავითვალისწინებთ ლოგიკის ულმობელობას სტალინი ამ შემთხვევაში ძალლზე დაბალია. ასეთი დამცირება ადამიანისა როგორც აქ გვაქვს,. ისეთი დანაშაულია, რომელიც არავის ეპატიება. ვიმსჯელოთ ამ ორი არსების ერთგულების შესახებ:

1. ძალლი ერთგულია ყოველგვარი პატრონისა, გლეხი იქნება იგი თუ თვითმპყრობელი ხელმწიფე, ქურდი თუ ყაჩალი, მამაცი თუ ზარმაცი, ბრძენი თუ რეგვენი, ჯეელი თუ ბებერი. ადამიანი კი თუ იგი ნორმალურია, ერთგულებას იჩენს კეთილი ადამიანებისა და არსებებისადმი. არის ადამიანების კატეგორია, რომელ-ბსაც „დებილებს“ ეძახიან, მათ უყვართ ყოველგვარი პატრონი: კეთილიც და ბოროტიც, წმინდანიც და ცოდვილიც, სამართლიანიც და უსამართლოც. კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟს ლუკაია ლაბახუას რომ პკითხვადნენ, გირტყამს ლუკაია ბატონიო? იგი ასე პასუხობდა „რა გინდა მერე შენ, მე მირტყამს, შენ ხომ არ გირტყამსო“ ბატონყმობა თუმცა დიდი ხნის გადავარდნილი იყო, მაგრამ ლუკაია მაინც არ სცილდებოდა ნაბატონარს და ძველებურად ემსახურებოდა. აი ძალლური ერთგულება. ლუკაიას-თან სტალინის გატოლება ვფიქრობ, რომ მიუტევებელი ცოდვაა.

ზემოთ მოყვანილი შედარების ავტორს მე ვიცნობდი როგორც ანტიკომუნისტურად მოაზროვნე კაცს და ვაფასებდი კიდევაც მაგრამ მაინც წამოეგო კალმის წვერზე. სხვაგან შეიძლება ბევრი გამარჯვება ჰქონდეს მოპოვებული, მაგრამ რკინის კაცთან ომმა, მიუხედავად მწიგნობრობისა და ნიჭიერებისა, ხეირი ვერ მისცა.

აქ მინდა შევახსენო სტალინოფობებს კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს კაცთა ასეულში სტალინმა თავისი საპატიო ადგილი დაიჭირა და მასზე მსჯელობისას თუ გონებას დიდი ძალა არ დაატანე და ჭეშმარიტების გზაზე არ დააყენე აუცილებლად შეცდები და საზოგადოება რომელიც რაჭველი კაცივით გვიან გებულობს ყველაფერს (გარდა ჭორებისა), ყიამყრალობის ტიტულს მოგაკერებს.

რაც შეეხება სტალინის ერთგულებას რუსეთისადმი იგი გამოწვეული იყო ინტერესთა დამთხვევით და არა ლუკაია ლაპახუა-სეული სიყვარულით. მისმა შემოქმედებითმა უნარებმა რუს ხალხში უფრო ნოყიერი ნიადაგი ნახა ვიდრე საქართველოში. მის პერსონაზე მსჯელობისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ მის მიერ შევსებული ანკეტა რომელშიც წერია, ეროვნება – ქართველი, მშობლიური ენა – რუსული. რაც ზოგიერთ შოვინისტს არ მოსწონს. ის ამბავი რომ მან რუსული ენა მშობლიურ ენად დაწერა რაც იმას ნიშნავს, რომ რუსული ხანში შესული სტალინისთვის წარმოადგენდა კომუნიკაციის უფრო დიდ საშუალებას ვიდრე ქართული. აქ საქმე გვაქვს არა კომფორტი ბმთან და ველიკორუსული შოვინიზმის თაყვანისუცმასთან არამედ სუბიექტის ცვლილებას ობიექტის აბიექტური მოთხოვნების შესაბამისად, როცა ადამიანი ხვდება უცხო ენაზე მოსაუბრე ხალხის კოლექტივში, დასაწყისში იგი მშობლიური ენის სიტყვებს თარგმნის უცხო ენაზე ან პირიქით უცხოური გადმოაქვს მშობლიურზე. მაგრამ როცა იგი თავს მოუყრის და გაითავისებს უცხოური სიტყვების საკმაო მარაგს, აღარ საჭიროებს თარგმნას და უშუალოდ გადადის უცხოურ ენაზე, უცხო ენაზე ამეტყველებულ კაცს მეხსიერების კუნჭულში შემორჩება პასიურ მდგომარეობაში გადასული მშობლიური ენის სიტყვები და მათ ადგილს უცხოური სიტყვები დაიჭირს.

სტალინმა იმდროინდელი მოთხოვნების შესაბამისად ახალგაზრდობაშივე შეისწავლა რუსული ენა, ასე, რომ ბაქოში გახიზნულ-მა რევოლუციონერმა შესძლო რუსული ენის მეშვეობით პროპაგანდისტული მუშაობა დაეწყო. პროპაგანდისტულ მუშაობას, რომ უცხო ენაზე შესძლებს კაცი, მას უკვე გადალახული აქვს ენო-

ბრივი ბარიერი უცხო ენისა და შესწავლილი ენა გვერდში ამოუდ-გება მშობლიურ ენას და ხშირ შემთხვევაში წინა ხაზზეც დგება. რუსეთში ჩასული სტალინი რუსულ ენაზე დაყრდნობით ახდენს რევოლუციას, იგებს სამოქალაქო ომს. ახდენს იმპერიის ინდუს-ტრიალიზაციას, კოლექტივიზაციას და ანადგურებს სვასტიკებიან დრაკონებს. ამდენი წინააღმდეგობების გადალახვას უცხო ენაზე დაყრდნობით იმ დროში ვერც ერთი მიწიერი არსება ვერ შეძლებ-და. ქართულ ენაზე დაყრდნობით მან ვერ მოახერხა თბილისელი მენაკვეთე მუშებისათვის და მენშევიკებისათვის გაეგებინებინა მარტივად გასაგები ჭეშმარიტება: რომ მენაკვეთეობასა და სა-კარმიდამო მიწებზე დაყრდნობა ახალ ცხოვრებას საფუძველს ვერ დაუდებდა. ხოლო რუსულ ენაზე დაყრდნობით მან რა წინა-აღმდეგობები გადალახა, ჩამოთვლილია წინა აბზაცში ადამიანის აზრობრივი უნარი აბსოლუტურად მხოლოდ მშობლიურ ენაზე დაყრდნობით მჟღავნდება და სტალინსაც თავისი უნარის აბსოლუ-რურად გამომჟღავნების საშუალება რუსულ ენაზე მიეცა (თუმცა მიუხედავად რუსული ენის კარგად ცოდნისა, იგი მაინც კავკასიური აქცენტით მეტყველებდა) მან ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბული განმარტებების გარეშე აღიარა... „მშობლიური ენა – რუსული“.

მცდარია შეხედულება, რომ, თითქოს სტალინი საქართველოზე არ ზრუნავდა, რა უნდა ექნა მოსკოვს თბილისში ხომ ვერ ჩამოი-ტანდა. რისი გაკეთებაც შეიძლებოდა იმას კი აკეთებდა. გაიხსენეთ უორდანიას მიერ გატანილი ქართული განძი, რომლის საკმაო ნაწილი დაიკარგა, ხოლო გადარჩენილი ნაწილი სტალინის ავტორიტეტით თბილისა დაუბრუნდა. მისი დაპრუნება მხოლოდ იმოდენა ავტორი-ტეტს შეეძლო, როგორიც სტალინი იყო ომის შემდგომ პერიოდში.

ის სოციალისტი იყო სულით და ხორცით, სინმადვილის განც-დით და მსოფლმხედველობით და იბრძოდა კიდეც მის დასამყა-რებლად. პიროვნების შეფასებისას ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში თუ რა დროში და რა სივრცეში უხდებოდა მას მოღვაწეობა იმ დროში და იმ სივრცეში რომელშიც სტალინს უხდებოდა მოღვაწეობა ძე ხორციელი ვერ შეძლებდა უკეთესად იმ საქმის გაკეთებას, რომელიც მან გააკეთა იმ წეწვა-გლეჯის ბაზარში, რომელშიც მას მოუწია მოღვაწეობამ ჭეშმარიტი სო-ციალიზმის გამარჯვება შეუძლებელი იყო რუსული სოციალიზმის დამყარება მან ავად თუ კარგად მოახერხა.

მის წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „...Много трудности, многое ошибок, но виновним окажусь я один“ ეს შეცდომები გამოწვეული იყო არა სტალინის დაუდევრობით ან დაბალუნარიანობით, არამედ იმ გარემოებათა და ძნელადგადასალახავი წინააღმდეგობებით, რომელთა გადალახვა ისტორიის ქარიშხალმა მას არგუნა. იგი რამდენიც არ უნდა ლანძლონ და აგინონ მისმა მოწინააღმდეგებმა, ერთი კარგი კაცისადმი მოთხოვნებს ყველაფერში დააკმაყოფილებს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ფაშიზმის დასამარება მას სრულ უფლებას აძლევს, რომ საქვეყნოდ გაიმეოროს აკაკი წერეთლის სიტყვები: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე“.

14.X.2018წ.

გ. ჩაკვეტაძე

P.S. რაც შეეხება სტალინოფონბების დამოკიდებულებას სტალინისადმი, შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი არგუმენტებისა, რომლებიც მათ უკმაყოფილების გამოხატვის ობიექტურ უფლებას აძლევს:

1. იმ უზარმაზარ ქვეყანაში, რომლის შესახებ გერმანული ოფიცირები გაჰყვიროდნენ: რა უზარმაზარი ქვეყანაა, ბოლო არ უჩანსო, თაგვი აუცილებლად წითელ კატას უნდა დაეჭირა. თუნდაც საქმიანი, ანგარიშიანი და პატიოსანი კაცი კოლექტივში ბრიგადირადაც ვერ მოხვდებოდა თუ „წითლად“ არ კაშკაშებდა.

2. უმაღლესი სკოლების არა მარტო მიზანი, არამედ თვითმიზანიც ის იყო რომ აღეზარდათ წითელი პოლიტიკის ერთგული ახალგაზრდობა და მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლა უკანა რიგებში იყო გადასროლილი. გაზეთი კომუნისტი 90-იანი წლების ბოლოს იტყობინებოდა, რომ ვარშავაში გახსნეს სეიფები, რომლებშიც ალმორწნდა 50-იანი წლების დასაწყისში მოსკოვიდან გაგზავნილი ბრძანებები რომლებსაც მიწერილი ჰქონდა გაფრთხილება „სრულიად საიდუმლოდ“, „უმაღლეს სკოლებში მიიღეთ ახალგაზრდები, რომლებიც სწავლას დიდად არ გამოედევნებიან და მარტოოდენ დიპლომებით დაქმაყოფილდებიან“.

3. მაღალ თანამდებობებზე იმის გარდა, რომ წითელი კაცი უნდა დაენიშნათ, ამასთან ერთად ის არ უნდა ყოფილიყო მაღალ უნარიანი. პოლონეთის სეიფებში ნახულ ბრძანებაში მითითებულია: წარმოების ხელმძღვანელებათ დანიშნეთ ისეთი ამხანაგე-

ბი, რომლებიც დამოუკიდებლად საწარმოს ვერ მომართავენ და საჭიროებენ ჩვენს ჩარევას.

4. კომუნისტების მცირე ჯგუფს შეეძლო თუნდაც პატარა დანაშაულისთვის კაცი საპატიმროთ გაემწესებია.

უპარტიო კაცს მხოლოდ ერთი პოლიტიკური უფლება ჰქონდა, მისულიყო საარჩევნო პუნქტში და ხმა მიეცა იმ კანდიდატისათვის, რომელზედაც რაიკომის აგენტები მიუთითებდნენ საბჭოური არჩევნები ადამიანის პოლიტიკური უფლებობის სრული დაგვირგვინება იყო.

ნითელი გზით სიარულმა ქვეყანა მიიყვანა რუსთაველის აზრის უარყოფამდე, მის პოემაში წამოყენებული აზრი (იხ. სტ 1) „რომელმან შექმნა სამყარო, ...კაცთა მოგვცა ცხოვრება გვა-ქვს უთვალავი ფერითა“, კომუნისტებმა შეცვალეს ყველა ფერი უარყვეს და ნითელი ფერის ბატონობა დააკანონეს (მათი შეხე-დულებით სამუდამოდ).

ზემოთ ჩამოთვლილი წინააღმდეგობების გადალახვა სტალინმა ვერ შეძლო: არა და მათი გადალახვა აუცილებელია.

ახლა ზოგიერთი ოპტიმისტი იმედოვნებს, რომ რაც ვერ შესძლო სტალინმა, შესძლებენ ევროპასა და ამერიკაში სასწა-ვლებლად გაგზავნილი „ხალხის რჩეულთა“ შვილები.

მართალია, პრეროგატივები ხალხს აიმედებენ საზღვარგარეთ საუკეთესო ბიჭებს ვაგზავნით და მალე გვიშველიანო, მაგრამ აგრე ფოლადის კაცი გვეუბნება „თბილისში ნიჭიერი ადამიანები ქუჩებში გიყრიათო, „აი თქვენი თბილისი“. ამ ჩვენს თბილისში იმდენ ახოვან და ლამაზ ვაჟკაცს ნახავ, რომ გამოცდილ ბუღალ-ტერს გაუჭირდება მისი ალრიცხვა, მაგრამ „მე თუ გინდა თავი მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად“ მაინც ვიტყვი, რომ სტალინზე გამჭრიახი გონებისას ვერავის ვხვდები. ამ რკინის კაცს ისე ეჯა-ჯგურებიან საქართველოს ვაიმშენებლები, როგორც ლილიშუტე-ბის ბრბო გულივერს. და ამ ჯაჯგურს მაშინ მოეღება ბოლო რიცა თბილისში ნიჭიერი კაცები ქუჩებში კი არ გვეყოლება დაყრილი, არამედ თავისი უნარის შესაფერისად გვეყოლება დასაქმებული.

ვერც ერთი ქვეყანა ვერც დიდი ვერც პატარა ვერ გაუძლებს: თაღლითების, გაიძვერების, უვიცების, მომხვეჭელების და მუქთა-ხორების მბრძანებლობასა და ნიჭიერი კაცების ქუჩაში გდებას.

ცხოვრების დიალექტიკა გვასწავლის, რომ ადამიანთა ერთიანობის შესანარჩუნებლად საჭიროა: ბრძენი მბრძანებლობდეს, მუშა მუშაობდეს, ოსტატი ასწავლიდეს და შეგირდი სწავლობდეს, საწინა-

აღმდეგო შემთხვევაში ქვეყანა დაიშლება და მის ადგილზე დარჩება ცარიელი სივრცე, რომელსაც მომავალში ვიღაც დაეპატრონება.

ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა: სტალინის მიერ დასახელებული ნიჭიერი კაცები, რომლებიც ქუჩებში ჰყრია და მასთან ერთად მთელი ერის მშრომელი და კეთილი ნების ადამიანები ჩავაბაროთ ნიჭიერ პატრონს და ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ ვირის მიერ ლომის დაწიხვლას, არც ვაჟა-ფშაველას-თანა კაცს დაასმევინებენ კითხვას „კარგი შვილები რად გვებადებაო“ არც აკაკი წერეთელს ამღერებენ „თავო ჩემოს“ არც შოთა რუსთაველისთანა კაცები მიმართავენ სოფელს: „ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებერ ტირსაო“ აღარც ბარათაშვილი დაიკანიება „იმ ხალხის ბედით“, „რომელს თვალ-ბედითი სდევ-და ყორანი“ აღარც გრ. ორბელიანი იტყვის ივერიაზე „დიდება ივერიისა მასთან (ირაკლისთან) „მარხია სამარესო“ არც ილია ჭავჭავაძე მოგვმართავს ცრემლნარევი იუმორით:

ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!

ყველა უნჯი ყველა მუნჯი, გულჩვილი და ლმობიერი;

…ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ჭკვადამჯდარი, გულხმიერი, მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცულლუტი და მანკიერი.

30.X.2018 წ.

ზ. ჩავტაძე

## მეცორული სეციაციაზი და შეგირდისეული ნოტაპენი

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად ან წერილობით, ან სხვა საშუალებებით.“

საქართველოს კონსტუტუცია მუხ. 24

„ადამიანმა უნდა გამოთქვას თავისი აზრები, ეს უფლება კი არა მოვალეობაა.“

შელი

მოწყალეო ხელმწიფეო, ვასწორებ თქვენს მიერ მითითებულ შეცდომებს ჩემს სტატიაში: „ბურუუაზიურლი და სოციალისტური დემოკრატიები“. 1. ჩასმულია ბრჭყალებში ეპიგრაფი || ფრანკის სახელი არ აღმოჩნდა „სიმონი“ (ამაზე ქვემოთ მექნება საუბარი) ამიტომ იგი ვერ შევასწორე ||| დგას და ბურუუაზიულის შუა

თქვენს მიერ მინიშნებული ნიშანი რას ნიშნავს ვერ გავარკვიე. IV. .... „რომლებსაც ადგილი ჰქონდა XVIII-XIX საუკუნეებში. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აღარ ყოფილა“ შევასწორე ასე „თმობენ აქტიურ პოზიციებს და სოციალისტური დემოკრატიის წინაშე დამთმობლურ პოზიციაზე გადადიან „V“ იგი მუდამ იმის ცდაშია“ მთავაზობთ „ცდაშია“ შევცვალო სიტყვით „ცდილობს“, რაც არ მიმაჩნია აუცილებლად, რადგან მათ შუა ლოგიკურად ისე მცირე სხვაობაა, რომ მისი შემჩნევა მხოლოდ ჩასაფრებულ ფილოლოგს შეუძლია VI „...ხალხი აბსოლუტურად კიმაყოფილი მთავრობის არც არის და არც არასოდეს იქნება...“ თქვენ გადაგიშლიათ მეორე „არც“ რაც არ მიმაჩნია სწორად, რადგან გრამატიკაში ორი გამეორება ჰქმნის ერთ დადასტურებას. ასე რომ მეორე „არც“ მოსაშლელი არ არის. VII შესწორდა სიტყვა „მოთხოვნილები“ „მოთხოვნილებებით“ VIII „იგი მუდამ იმის ცდაშია“ თანახმად თქვენი მოთხოვნისა შესწორდა და დაიწერა „ცდილობს“ თუმცა მათ შუა დიდი შინაარსობრივი სხვაობა არ არის. IX „არა მარტოსთან“ მინიშნებული სიტყვის ამოკითხვა ჩემს „ხელოვნებას“ არ ხელენითება. X „არავის არ მოუტანს ხეირს“ „არავის მოშლა წინადადებას ვერაფერს შესძენს, მაგრამ მე ვშლი თქვენი მოთხოვნის თანახმად. XI წინადადებაში: „კარგი იქნებოდა, რომ ასეთ სწავლა ჩვენს მთავრობასაც მიეღო“ იძლევით მითითებას „სწავლა“ შევცვალოთ „გაკვეთილით“ რაც არ ხერხდება (ამაზე ქვემოთ) XII „...წავიდეს ხალხის წინაშე მთელ რიგ დათმობებზე“ „მთელი რიგი“ გადაგიშლიათ კარგი ბატონო, ასე იყოს, თუმცა არც ისე უჭირდა დიდად. XIII „...წარმოებული ღოვლათის იმოდენა ნაწილი“ „იმოდენა“ შეგიცვლიათ „იმხელათი“ ეს სიტყვები ერთმანეთის მიმართ სინონიმურია და მათი ერთმანეთით შეცვლა ვერაფერს გვაძლევს. XIV „მოთხოვნილებანი“ შეგიცვლიათ „მოთხოვნებით“ რაც იმის მაჩვენებელია, რომ ნართანიანი მრავლობითის მიმართ მწყრალად ბრძანდებით. მართალია, იგი ძველია, მაგრამ ჯერ-ჯერობით აქვს არსებობის უფლება და იმასაც მოგახსენებთ, რომ გრამატიკა არის ულმობელი მეცნიერება და მისი გალიზიანება არაფერს შეგძნთ. მას ხომ „კეისარიც ემორჩილება“. XV „თვალებში შეჰქოფინებს თავის შეფს“ იძლევით მითითებას, რომ „შეჰქოფინებს“ შევცვალო სიტყვით „შეციცინებს“ რაც არ ხერხდება (ამაზე ქვემოთ) XVI „ყოველნაირად ცდილობს“ „ყოველნაირს“ ხაზი აქვს გადასმული, რატომ? XVII „იღებს წარმოებული ღოვლათის იმოდე-

ნა ნაწილს“ იმოდენას ცვლით „იმ“ სიტყვით. იმოდენა გვიჩვენებს საგნის განსაზღვრულ ნაწილს, ხოლო „იმ“ მთლიანად საგანს. „იმ“ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი: ბევრი, ცოტა, უამრავი. აქ უფრო გამართლებულია „იმოდენა“ და არა „იმ ოდენობით“ XVIII, გამიგონია და „მსმენია“ სინონიმებია და მათი ერთმანეთით შეცვლა დანაიდების შრომაა, ნონეშვილის ერთ-ერთი ლექსი ასე იწყება „გამიგონია, მთვარიან ლამეს ... არავის წარმოუდგენია პრეტენზია მისთვის რომ „გამიგონია“ „მსმენიათი“ შეცვალა. ასე, რომ „გამიგონიას“ შეცვლა „მსმენიათი“ დანაიდების შრომა იქნება. XIX „გახდებას“ შეცვლა „იქნებათი“ არ არის ლოგიკური აუცილებლობა XX „ბიზნესის ნაშიერია თანამედროვე „მაღაზია“ XXI „... დემოკრატიის სუფევისკენ მიჰყავს ადამიანი“ თქვენ მიგვითითებთ, რომ „სუფევისკენ“ ამოვილოთ და დემოკრატიას დავურთოთ „კენ“ თანდებული ჩემს მიერ გამოყენებული სიტყვა „სუფევა“ ნიშნავს: მეფობას, არსებობას, ბატონობას, ყოფნას. (იხ. ქართ. ენის გნმარტებითი ლექსიკონი ტ. VI გვ. 1149) თქვენი რჩევის მიღებით მე საქმეს დავაზარალებ, რადგან „კენ“ თანდებულს გრამატიკაში აქვს მხოლოდ ერთი ფუნქცია: უჩვენებს მოქმედების მიმართულებას „სუფევა“ კი რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელია და „კენ“ თანდებულსაც ირთავს. ასე რომ მას არავინ და არაფერი არ დაუზარალებია. უფრო განავრცო წინადადებაში გამოთქმული აზრი. XXII წინადადება „ცხონებული ილია“, რომელიც სტალინის (ვფიქრობ რომ ობიექტური) შეფასებით „მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებდა, გვასწავლის“ წინადადება დახაზულია - რატომ? XXIII III გვერდზე მეორე აბზაცში მოითხოვთ „დემოკრატიის შუქურა“ ჩავსვა ბრჭყალებში. ეს უკვე ნორმად ქცეული მოთხოვნაა. იგი დიდი ხანია პოლიტიკურ ბრჭყალებშია მოქცეული და გრამატიკულს როგორ დავამადლი. XXIV „ჭერსაო“ შესწორდა არის „ჭერსო“ XXV ..., მისგან ძალიან დიდ შრომას მოითხოვს“ „ძალიან დიდს“ ხაზი აქვს გასმული, რატომ? ხომ არ ფიქრობთ, რომ ცოტა შრომა იკმარებს პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, ან შეიძლება წინადადებისგან მარტო პრედიგატივებით და სუბსტანტივებით კმაყოფილდებით და მეორე ხარისხოვან წევრებს ზედმეტად მიიჩნევთ. XXVI III გვერდის IV აბზაცში გადაგიშლიათ წინადადება „მრავალი კაცისგან მრავალგზის ნალანდავ-ნაგინები“ ... რატომ? თუ ფიქრობთ, რომ სტალინს ლანდლავ-გინება აკლია, - ცდებით. იმდენი ოქრო და თვალმარ-

გალიტი რომ მოგცეთ ღმერთმა რაც სტალინს ლანძღვა-გინება აქვს და შემდეგ მონტესუმას განძიც დაგიმატოს, დამერწმუნეთ, რომ პირველად მიღებულ განძთან, მეორედ მიღებული, ფეტვის მარცვალის ოდენა მოგეჩვენებოდათ. XXVII გადაშლილი გაქვსთ წინადადება: „რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველ ცხოვრებაში და საუბედუროდ ახალშიც აქვს“ რატომ? თუ ფიქრობთ, რომ მანკუერ მხარეებს ძველ ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონდა, ან ახალში შეზღუდულად გრძნობს თავს, მაშინ თქვენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ შეხედულებებს ობიექტურად მოაზროვნე კაცი უარყოფითად შეაფასებს.

H. B. ფრანკის სახელთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ წიგნი: „რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიისა და რევოლუციაზე“. მასში არის სემიონ და არა სიმონ ფრანკის ესეები. ჩემს მიერ გამოყენებული ციტირებაც იმ წიგნიდანაა ამონქერილი.

გაკვეთილით ცვლით სწავლას. გაკვეთილი ჯერ კიდევ არ არის სწავლა. იგი მხოლოდ საშუალებაა სწავლის შეძენისა. საშუალება და შეძენა ლოგიკურად სულ სხვადაგვარი შინაარსისა არიან. გაკვეთილზე სწავლა შეიძლება შეიძინო ან ცარიელ-ტარიელის თავით გამოხვიდე აუდიტორიიდან. გაკვეთილებს ისეთი ყმან-ვილებიც ესწრებიან, რომლებიც მისგან ვერაფერს ღებულობენ, მაგრამ რა ქნან? სახლიდან მამები მოერექებიან, სკოლაში წადით იქნება კაცები გამოხვიდეთო, ქუჩაში გაყუდებას მიღიციელი არ ანებებს, წადით და საქმეს მიხედეთო. სკოლის ეზოში დირექტორი არ აყენებს, წადით გაკვეთილები მოისმინეთო. გაკვეთილს კი ის-მენენ მაგრამ უცხო ენად გადაქცეულ ალგებრას ვერ გებულობენ და ტყვილა ხევენ მერხებზე მამასისხლად ნაყიდ შარვლებს. აი თქვენი გაკვეთილი.

სიტყვის „შეპფოფინებს“ შეცვლა „ციცინით“ არ მოხერხდა, რადგან არც ერთი ბიბლიოთეკის არც ერთ ლექსიკონში (რომელ-ბზედაც მე ხელი მიმინვდა) იგი არ აღმოჩნდა, აღმოჩნდა სახელი ციცინო, რომელიც შეიძლება წოდებითში დასმული ციცინი იყოს (ამის მიკვლევა ენათმეცნიერების საქმეა და არა უბრალო პუბლი-ცისტისა) სიტყვა „ციცქირი“ გურულ დიალექტში ნიშნავს „მსუნავი თვალით ცქერას, რაც ჩვენს საქმეს არ შეეფერება. ხოლო „ფოფი-ნი“ განმარტებულია ასე: „სიყვარულით და ალერსით შეჰყურებს“ (იხ. ქართ. ენის განმ. ლექსიკონი ტომი VII გვ. 1267) ამდენად მე თქვენი მოთხოვნა ვერ დაგაკმაყოფილე, რადგან ამის უფლებას

ენის განვითარებისა და გამოყენების ტრადიცია არ მაძლევს.

რაც შეეხება სტატიას და მის არქიტექტონიკას, მისი თემა ბურჯუაზიული და სოციალისტური დემოკრატიების თანაარ-სებობაა, იდეა კი – მათ შორის არსებული წინააღმდეგობების გადალახვა უთოფოდ და უზარბაზნოდ. ამ თემაზე საუბარს არა მარტი ქართული, არამედ სხვა ქვეყნების მედიის საშუალებებიც გვერდს უვლიან, რაც არ შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს სსრკ-ს დაშლით გახარებული ბურჯუაზიის იდეოლოგები ხმის ჩახლეჩა-მდე გაჰკივანი: „დამარცხდა სოციალიზმი“. ადამიის ხნის კაცი ვარ და სოციალიზმი არც დამარცხებული მინახავს სადმე და არც გამარჯვებული. ისტორიკოსების წყალობით ვიცი, რომ პირველ-ყოფილ ადამინთა გაერთიანებებში ცხოვრობდნენ ტოლადგანაწი-ლების პრინციპით, რომელსაც სპეციალისტები პირველყოფილ კომუნიზმს უწოდებენ. კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად იგი დაიმალა და არსებობს როგორც მსოფლმხედველობა, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ისევე როგორც ყველა და ყველაფერი, იბრძვის არსებობის შენარჩუნებისათვის.

ძნელია თანაცხოვრება იმ ხალხთან, რომლებიც „მიხაკისფერ ჭირს“ და „წითელ ეპიდემიას“ სოციალიზმს ეძახიან ხოლო „ნა-ცებს“ და „ქოცებს“ დემოკრატებად თვლიან. მაგრამ რას იზამ?! ხალხს ვინ გამოგიცვლის, ან რად გინდა რომ გამოგიცვალოს: შენი ვერაფერი სიკეთეს გიკეთებს სხვისი რა ხეირს დაგაყრის?

„ვინ მოგვცემს, კაი კაცებსა, ან კაი საქმეს სილამა?“

მინა არ აღმოაცენებს, არც ჩამოხტება ციდამა“.

თუ თვითონ არ გავკეთდებით ჩვენი გულით და გონითა“  
გვასწავლის ვაჟა-ფშაველა

ამჯერად გადავხედოთ, თუ როგორ კეთდება ჩვენი უურნა-ლისტიკა, რომელიც უძლიერესი საშუალებაა ხალხის იდეური, პოლიტიკური, ესთეტიკური პატრიოტული, ინტერნაციონალური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

მედია პირველ რიგში უნდა იცავდეს ჭეშმარიტებას და ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს აკავშირებდეს მასთან. არავითარ სიკეთეს არ აძლევს ქვეყანას ვინმეს მოტყუება, თითქოს ჩვენ უდიდესი და-მცველები და გამტარებლები ვიყოთ დემოკრატიის მოთხოვნებისა. რა გააკეთა საქართველომ ისეთი რომ 2017 წლის ივნისში აშშ-ს პრეზიდენტს დონალდ ტრამპს ათქმევინებს: „საკართველოს დამოუ-კიდებლობა და დემოკრატია მთელი მსოფლიოსთვის სამაგალითოა“.

რა კი მედიაზეა საუბარი გავიხსენოთ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი და ბერიკაციის მიერ გაზირ „საქართველოს და მსოფლიოს“ რედაქციაში წარდგენილი პუბლიკაციოური სტატია „ბურჟუაზიული და სოციალისტური დემოკრატიები“ რომელიც რედაქციის კოლეგიას მიუგდია გვერდზე (ალბათ დიდ ცოდვად ჩათვალეს სოციალისტური დემოკრატიის ხსენება ამ გაგანია ბიზნესის ხელში) როცა ბებერმა თავისი სტატია მოითხოვა, შეახსენეს, რომ რედაქცია შემოსულ მასალებს უკან არ აბრუნებს. ბებერი გვამი დაარიგეს, დამოძღვრეს თავიანთებურად.

მაგრამ ბებერს სცოდნია, რომ რედაქცია ვალდებულია ხელნაწერი ნაშრომი წესრიგში მოიყვანოს და დაამუშაოს გამოსაქვეყნებლად. რა წესრიგში მოიყვანა გაზირის რედაქციამ ის სტატია ზემოთ იყო საუბარი ამის შესახებ.

როცა ბებერმა თავისი სტატია სხვისი ხელით ნახა მიჯღაბნილ-მოჯღაბნილი, გაკვირდა თავის უმზითვო „კაროუნას“ ხელი სტაცა და წავიდა. როცა მდგომარეობას გადახედა მიხვდა ბებერი, რომ სასიძო „ოსიკო“ მზითვად მოითხოვდა ვიღაცის ლანძღვა-გინებას, წყევლა-კრულვას, ან ქება-დიდებას.

„საქართველო და მსოფლიო“ ობოლი მარგალიტი არავის ეგონოს, მას უამრავი ტყუპის ცალი ჰყავს, რომლებიც თავის უფროს ძმასთან ერთად ლანძღვა-გინებით იკლებს ყველას ვისაც მათზე აუგი წამოსცდება.

მე არც ეფემიზმის მიმდევრი ვარ და არც ვულგარიზმის აპოლოგეტი. საუბარი უნდა იყოს თავისუფალი და შეუზღუდავი, მაგრამ საკმაოდ მორიდებული. არც თავშეუკავებლობა შეიძლება და არც იმოდენა მორიდებულობაა საჭირო, ზოგი კაცი რომ ყოველ სიტყვაზე მზად არის ბოდიში მოიხადოს.

თუ გამოსავალი არ არის, ე.ი. ზარალდება წინადადება უხეში გამოთქმის გარეშე მაშინ უნდა გამოვიყენოთ უხეში გამოთქმაც (თუმცა სასურველი არ არის) ამის მაგალითებს უხვად იძლევა როგორც ქართული ისე მსოფლიო ლიტერატურაც.

ისე უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთს სძულს როგორც წყევლა, ასევე გინებაც და ადამიანი ორივეს უნდა ერიდოს.

შეცდომა უნდა გასწორდეს, დიდი იქნება თუ პატარა. მაგრამ მისი გამოსწორება ოსტატისთვის დამამცირებელი არ უნდა იყოს.

მკითხველს შევახსენებ: რომ „რედაქტორი არის ხელნაწერი ნაშრომის საბოლოოდ წესრიგში მომყვანი, გამოქვეყნებასა და

დაბეჭდვაში პასუხისმგებელი“ (იხ. ლიტ. მცოდნეობის ძირითდი ცნებები გვ. 375 ანდრო ჭილაია).

ჩემი სტატიის დაუბაჭდაობა ეს არის რედაქციის მიერ დაკის-რებული საქმისადმი უპასუხისმგებლო მოქმედება და დანაშაულის გადაბრალება-გადმობრალების გულუბრყვილო პოლიტიკა.

არავითარი ჯავრი არა აქვს მკითხველს და არც შეიძლება ჰქონდეს იმისი, რომ პრინტერზე ხშირად სტატია 3-ჯერ 4-ჯერ ხდება გადასაწერი შეცდომები, ზოგი ხელოსანმა დაუშვა ზოგი მანქანამ, მაგრამ მკითხველმა უნდა მიიღოს ყოველნაირად გასწორებული და გალამაზებული სტატია. ავტორს რომ ყველაფერი შეეძლოს მაშინ ამდენი „პრინტერშიკები“ და რედაქტორები თავისი თანამშრომლებით საჭირო აღარ იქნებოდნენ.

იმ დაჯლაბნილი სტატიის ავტორს თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი სკოლაში გაუტარებია, მაგრამ ისე დაჯლაბნილი როგორი სახითაც მან თავისი „კაროჟნა“ დაიბრუნა რედაქციიდან, ჯერ არაფერი უნდახავს.

გალაქტიონს უთქვამს: „სიტყვა? სხვა არის ფიქრი ამაზე, ლოგოსი... აზრი მისი რაც არის“.

როცა ასეთ კაცს ასე დაუჯლაბნეს ნაწერი, რედაქციის მუშაკებმა, საკითხავია, რას უზამენ ისინი იმ სტატიის ავტორის შეგირდების ნაწერებს? – იმ შეგირდებისა რომლბისთვისაც მას გაჭირვებული სამიანები ძლიერს გაუმეტებია. – რას უზამენ და ვერაფერს, რადგან ისინი ასეთ რედაქციას საზარბაზნე მანძილზე არ მიეკარებიან. და თავის აზრს და შეხედულებას არ გაუმჯღავნებენ. თუ წუხილს კაცი საკუთარ თავში იტოვებს და აზრს არ ამხელს, თუ იგი გულში ილიას სიტყვებს იმეორებს „ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის ჩემი კაცობის გულისდუღილის სიტყვანი გულში მებადებიან, მაგრამ უხმოდვე გულში კვდებიან“ მაშინ სადღა არის ის თქვენი „პერესტროიკით“ მოტანილი „გლასნოსტი“ და ათასგვარი დემოკრატიული უფლებები?

ზელიმ ჩაკვეტაძე

25-XI-2018.



გაუმარჯოს იმ პეპერ ხარს, ჟაჟან-ცყველით რომ  
უნდა გაიტანოს ადამიანებისათვის სასიცოცხლო  
კვალი და თუ სატანა გზას გადაუჭრის, რეპით  
გამოვატრავს მუცელს.

## სარჩევი

ბებერი ხარი და „წენვა – გლეჯის ბაზარი“	2
წინასიტყვაობა	3
მშიერი ერი და მაძღარი ბერი	10
დემოკრატიის შუქურა და მისი არქიტექტორების პათეოლოგია	13
ქართული დემოკრატია და მისი საგანმანათლებლო საქმიანობა	17
ქართული დემოკრატიის პარადოქსები	21
რუსები, რუსისტები, რუსოფონები და რუსოფილები	24
პოლიტიკური დალტონისტები	27
ქართული დემოკრატიის საქველმოქმედო მუშაობა	30
პერესტროიკა და ქართული პოლიტიკური აზროვნება	33
ვინ არის დამნაშავე?	37
შაური – შენ, შაური მე, შაური მამაშენს	42
მონარქისტები და პრეისტორია	45
ბურჟუაზიული და სოციალისტური დემოკრატიები	48
ქართული დემოკრატია და სტომაქის კაცები	54
„ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!“	58
მენტორული სენტენციები და შეგირდისეული ნოტაბენე	68